

მედიკალინური

შრომები „სწავლავს“

ქართული თარგმანები

II



მაია ზარამიძე

ზოსიმეს „სწავლაჲს“ ქართული
თარგმანები

||



გამომცემლობა

„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ბათუმი - 2009

ნაშრომში მოცემულია VI საუკუნის პალესტინელი მოღვაწის - ზოსიმეს „სწავლაჲს“ ორი ქართული რედაქციის - ეფთვიმე ათონელისა და თეოფილე ხუცესმონაზვნის თარგმანების ტექსტოლოგიური და ფილოლოგიური ანალიზი („სწავლაჲს“ ორივე თარგმანის ტექსტი ლექსიკონითურთ გამოვეცით 1999 წელს), განხილულია აღნიშნული თარგმანების შემცველი ყველა ხელნაწერი, შესწავლილია მათი ენობრივი თავისებურებები და მიმართება ბერძნულ წყაროსთან.

ნაშრომი საინტერესოა ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის სპეციალისტთათვის.

რედაქტორი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე

რეცენზენტები - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ციალა ქურციკიძე

ISBN 978-9941-409-36-3

© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2009

შესავალი

სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია ასკეტიკა - ასკეტიკურ-მისტიკური ლიტერატურა, რომლის წარმოშობა-განვითარება დაკავშირებულია ასკეტიზმთან.

ასკეტიზმი (ή ασκησις - ბერძნ. ვარჯიში, წვრთნა) ეწოდება ქრისტიანული ცხოვრების სახეობას, რომელიც გამოიხატება ყოველგვარ სიამოვნებაზე თავშეკავებაში, ამ სოფლისაგან განდგომაში ზნეობრივი სრულყოფის, იმქვეყნიური სასუფეველის მოპოვების მიზნით. ასკეტიზმი, მორწმუნის თვალსაზრისით, არის ბრძოლა ამქვეყნიური ვნებების წინააღმდეგ.¹ ასკეტური ცხოვრების ფორმები ერთნაირი არ იყო. ერთმანეთს მკვეთრად ემიჯნებოდა განდეგილობა და სამონასტრო ცხოვრება. განდეგილობა ეფუძნებოდა ქრისტიანული მოძღვრების უმთავრეს პრინციპს - ღმერთის სიყვარულს, რომელიც უგულუბელყოფს მოღვაწის მთელ ამქვეყნიურ ცხოვრებას. სამონასტრო ცხოვრება ქრისტიანული რელიგიის ამ ძირითად ცნებასთან ერთად გულისხმობს მოყვასის სიყვარულს, მასზე ზრუნვას და ამდენად განდეგილის ცხოვრებაში ადგილს უთმობს ამქვეყნიურ საქმიანობასაც.² „ასკეტიკა გამოხატავს ქრისტიანთა ცხოვრების გარეგნულ სახეს, მისტიკა კი განიხილავს რელიგიური სულიერი ცხოვრების შინაგან მხარეს, მის უშუალო მიმართებას ღმერთთან“.³ სწორედ სამონასტრო ცხოვრებამ განაპირობა ასკეტიკური მწერლობის წარმოშობა. ასკეტური თხზულებების უმრავლესობაში მოთხრობილია ბერ-მონაზვნების ცხოვრების წესი, მათი ავტორებიც უმეტესად ბერები არიან. „გამომდინარე აქედან, ასკეტური მწერლობა უფრო ინტენსიურად იქ განვითარდა, სადაც ასკეტიზმი იყო გავრცელებული. პირველ საუკუნეებში სამონასტრო

საქმემ უფრო მეტად მცირე აზიაში პოვა გავრცელება... ამის შედეგად ასკეტური მწერლობის წარმომადგენლები უფრო მეტად მცირეაზიელი მოღვაწეები იყვნენ“.⁴

ასკეტური მწერლობის გავრცელებული ჟანრია აპოფთეგმური ლიტერატურა. ამ ჟანრის ნიმუშებს წარმოადგენდნენ საგანგებო კრებულები, რომლებშიც თავმოყრილი იყო უძველესი დროის, არაუგვიანეს მეხუთე საუკუნის, საეკლესიო მოღვაწეების - ასკეტების სენტენცია-აფორიზმები-ბრძნული გამონათქვამები, მსჯელობა ამა თუ იმ ზნეობრივ თემაზე, თქმულება-მოთხრობები მათი ცხოვრების, თავგადასავლების ცალკეულ ეპიზოდებზე. ეს მოღვაწეები უმეტესად მოწესეები, ბერ-მონაზვნები არიან, „ზოგნი დიდად ცნობილნი ეკლესია-მონასტრების მამანი (განსაკუთრებით მეგვიპტელნი) და ზოგნი უცნობნიც, რომელთა სახელები ხშირად არც არის აღნიშნული. მამათა და მოწესეთა შესახებ ნაამბობნი, ანუ თხრობანი, როგორც მათ ძველად ეძახდნენ, თვითმხილველი ავტორების კალამს კი არ ეკუთვნიან, არამედ ისეთი გამოთქმელების ნაწარმოებებს წარმოადგენენ, რომლებიც უმთავრესად გადმოცემების ლიტერატურულ დამუშავებას ეწევიან“.⁵ ასეთ კრებულებს ბერძნულად ეწოდებოდათ Ανθρων αγιων βιβλιος და Αποφθεγματα των αγιων γερουτων.

შენიშვნა: ბერძნულ ტექსტში ასპირაციისა და მახვილის ნიშნებს ვერ ვუთითებთ ტექნიკური მიზეზების გამო.

ბერძნულ-რომაულად ასეთ წიგნებს პატერიკიც ერქვა, ქართულად მათ „მამათა ცხოვრებას“ და პატერიკებსაც უწოდებდნენ. ამ ხასიათის კრებულები სხვადასხვა ენაზე შენახულა. რამდენიმე ასეთი კრებულის ბერძნულ-ლათინური ტექსტები გამოცემულია მინეს პატროლოგიაში.

სხვადასხვა ბერ-მონაზვნის ცხოვრების ეპიზოდებს, ზნეობრივი ხასიათის მოთხრობებს შეიცავს მეექვსე საუკუნის პალესტინელი საეკლესიო მოღვაწის - ზოსიმეს⁶ თხზულება - „სწავლაჲ“.⁷

ქართული ასკეტიკური ლიტერატურის წარმოშობასაც ხელი შეუწყო სამონასტრო ცხოვრებისა და იდეოლოგიის განვითარებამ, რომელიც საქართველოში დაიწყო სირიელი წმინდა მამების შემოსვლის შემდეგ - მეექვსე საუკუნიდან.⁸ მეექვსე საუკუნიდანვე ჩნდება ჩვენში პირველი ნიმუშები მისტიკურ-ასკეტიკური მწერლობისა. ასეთია შიო მღვიმელის „სწავლა“. მეშვიდე საუკუნიდან ცნობილია მარტვირი საბაწმიდელის თხზულება „სინანულისათჳს და სიმდაბლისა,“ რომელიც კკეკელიძეს ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებად და „ქართული ასკეტიკის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად“ მიაჩნია. „ამავე დროიდანაა საგულეებელი ამ ტიპის ლიტერატურის თარგმნაც“.⁹

ქართული სასულიერო მწერლობა მდიდარია ნათარგმნი ასკეტიკურ-მისტიკური ძეგლებით. „მეათე საუკუნემდე ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობა საკმაოდ დამუშავებული ყოფილა ჩვენში. ამ დროს ნათარგმნი ასკეტიკურ-მისტიკურ თხზულებათაგან ზოგი ისეთია, რომელნიც და რომელთა ავტორები მწერლობის ისტორიაში ცნობილი არ არიან“.¹⁰

ბერძნული ენიდან ქართულად თარგმნილ ასკეტიკურ ლიტერატურაში აღსანიშნავია X-XI საუკუნეების მოღვაწეების - ეფთვიმე მთაწმიდლისა (ათონელის) და თეოფილე ხუცესმონაზვნის მიერ ნათარგმნი თხზულებანი.

ეფთვიმე მთაწმიდელი (955-1028 წ.წ.) არის „ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი, ჩვენი კულტურული წარსულის ერთი უდიდესი პიროვნება, რომელმაც განსაკუთრებული კვალი დატოვა ქართული მწერლობის ისტორიაში“ (კკეკელიძე). იგი იყო მწერალი, მთარგმნელი, რედაქტორ-კომენტატორი. ეფთვიმე, როგორც წერს მისი ბიოგრაფი – გიორგი მთაწმიდელი, „გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძავად წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენაჲ და ქუეყანაჲ... რომლისა-იგი ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებაჲ, ვითარცა ნესტჳ ოქროჲსაჲ ჳმამალალი, ოჯრის ყო-

ველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა“.¹¹ ცნობილია ეფთვიმეს ორიგინალური ძეგლი „ლოცვაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმი ქართველისაჲ,“ რომელიც, როგორც თხზულება, პატარაა, მაგრამ როგორც „ლოცვა“, ძალიან გრძელია“. ეფთვიმეს ბერძნულადაც დაუწერია თავისი ბერძენი მოწაფისათვის სამონაზვნო ცხოვრების წესები.¹² ეფთვიმე თარგმნიდა არა მარტო ბერძნული ენიდან ქართულად, არამედ ქართულიდანაც ბერძნულად. უთარგმნია „ბალაჰვარი და აბუკურაჲ და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან ბერძულად“.¹³ ეფთვიმეს „ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციის ავტორი - ბასილი ბაგრატიც ძე გაოცებული და აღტაცებულია ეფთვიმეს მთარგმნელობითი მუშაობით: „ფრიად საკვირველ არს, თუ ესოდენთა მოღუაწებათა თანა ვითარ აღწერნა ესოდენნი თარგმანებანი, გინა თუ ესოდენთა თარგმანებათა თანა ვითარღა უძლო აღსრულებად ესოდენთა მოღუაწებათა“.¹⁴ როგორც აღნიშნავს ელმეტრეველი, „ეს განცვიფრება დღესაც, XX საუკუნის დასასრულსაც, არ შენელებულა, პირიქით, უფრო გამძაფრდა“.¹⁵ „არ არის არც ერთი დარგი სასულიერო მწერლობისა, რომელშიც ექვთიმეს არ ეთარგმნოს ესა თუ ის თხზულება“.¹⁶ ამ დარგებს შორისაა ასკეტიცაც.

თეოფილე ხუცესმონაზონი ძველი ქართული მწერლობის ცნობილი წარმომადგენელია,¹⁷ რომლის თხზულებების შემცველი ხელნაწერები ძირითადად დაცულია ათონზე, უკანასკნელ ხანს სპეციალისტებს მიეცათ შესაძლებლობა თეოფილეს ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის შესწავლისა. 1982 წელს აკად. კკეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა მიიღო ათონის კოლექციის ქართულ ხელნაწერთა მიკროფირები, რომლებიც სხვა ძვირფას ხელნაწერებთან ერთად შეიცავს თეოფილეს თხზულებებსაც - ძირითადად ავტოგრაფებს, რომელთა ანდერძ-მინაწერებში დაცულია ცნობები თეოფილეს ცხოვრების შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ Ath 20(29).¹⁸ თეოფილეს ცხოვრება და მოღვაწეობა ამ ახალი მასალების საფუძველზე გაშუქებულია

ელმეტრეველის შრომებში: თეოფილე ხუცესმონაზონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღდგენის ცდა; ხელნაწერი Ath 29 - როგორც თეოფილე ხუცესმონაზონის ბიოგრაფიის წყარო.⁹ ივლოლაშვილმა აღმოაჩინა თეოფილეს რამდენიმე ლექსი.²⁰

თეოფილე XI საუკუნის II ნახევრის მოღვაწეა, რომლის „მოდლური და გამზრდელი“ ყოფილა გიორგი მთაწმიდელი. ლიტერატურული მოღვაწეობა დაუწყო საქართველოს მეფის - გიორგი მეორის ბრძანებით არაუადრეს 1073 წლისა. ცხოვრობდა კონსტანტინეპოლში - ტრიანდაფლივის მონასტერში, სადაც უთარგმნია და გადაუწერია Ath20(29), 36, 37 ხელნაწერებში მოთავსებული მეტაფრასული საკითხავები, წარუმღვარებია ვრცელი შესავალი, დაურთავს ანდერძი და პოეტური ჰიმნები.²¹ თეოფილეს უცხოვრია და უმოღვაწია შავ მთაზე, ათონში. ივლოლაშვილი და ელმეტრეველი არ იზიარებენ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდს, რომ თეოფილე III4 წელს არსენ იყალთოელთან, ეფრემ მცირესთან და იოანე ტარიქისძესთან ერთად შემოსულა საქართველოში (კვეკელიძე). „ჯერჯერობით დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ თეოფილემ სიბერის წლები საქართველოში გაატარა და ვერც იმას ვიტყვით, მან როდის და სად განისვენა საუკუნოდ“.²² „მოდურებითნი ჰსწავლანი მისნი დიდნი ქართუელთა ექმნა სიმდიდრე წარუპარველი“ - ასე ახასიათებს ანტონ ბაგრატიონი თეოფილეს ღვაწლს.²³

თეოფილემ ბერძნულიდან თარგმნა სასულიერო მწერლობის სხვადასხვა ჟანრის თხზულებები. „მან, ერთ-ერთმა პირველმა, გაცნო ქართველებს ბიზანტიური მეტაფრასული მიმდინარეობის არსი და სვიმეონ ლოლოთეტის მიერ გარდაკაზმული აგიოგრაფიული საკითხავების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც შეამკო საინტერესო ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობებით“.²⁴ თეოფილეს თხზულებათაგან ნაწილი შესწავლილია.²⁵

ეფთვიმესა და თეოფილეს მიერ ბერძნულიდან თარგმნილ ასკეტურ-მისტიკურ ძეგლთა შორისაა ზემოთ აღნიშნული ზოსიმეს

„სწავლაჲ“. ბიოგრაფიული ცნობები ზოსიმეს შესახებ არ მოგვეპოვება ცნობილია, რომ იგი მოღვაწეობდა პალესტინაში VI საუკუნეში. ზოგიერთი ცნობა ზოსიმეს შესახებ მოცემულია PG-ში დაბეჭდილი „სწავლაჲს“ ტექსტისათვის ლათინურ ენაზე წამძღვარებულ პეტრე პოსინის შენიშვნებში. პოსინი აღნიშნავს, რომ მან გამოიძია, შეისწავლა ყველა სადავო საკითხი „სიტყვების“ ავტორობის, მათი შექმნის დროისა და ადგილის შესახებ. თხზულების (მასში მოხსენიებული საეკლესიო მოღვაწეების, ქალაქებისა და მონასტრების) მიხედვით, აგრეთვე ზოსიმეს თანამედროვე ზოგიერთი თვითმხილველის, მისი ძმობის წევრისა და გულმოდგინე მსმენელის გადმოცემის მიხედვით PG-ში გამოქვეყნებული თითხმეტი სიტყვის ავტორად მიჩნეულია წმინდა მოძღვარი ზოსიმე (ზოსიმეს საერთოდ წარმოუთქვამს 40 სიტყვა).

ზოსიმე დახასიათებულია როგორც მქვერმეტყველი, რომელიც სიტყვების წარმოთქმისას არასოდეს დაუბრუნდებოდა უკვე ნათქვამსა თუ დაწერილს.

ამ შენიშვნებში ზოსიმეს მიეწერება „მარიამ მეგუპტელის ცხოვრების“ ავტორობა. უარყოფილია აზრი, თითქოს ზოსიმე მარიამის გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ ცხოვრობდა (მითითებულია ამ ცნობის წყარო). სინამდვილეში ზოსიმემ 30 წელზე მეტ ხანს იცოცხლა, ვიდრე მარიამმა. ამ თხზულების ავტორად მიჩნეულია სოფრომ იერუსალიმელი (VII ს.), იგი ქართულად თარგმნა ეფთვიმე ათონელმა, დაუცავს X საუკუნის ხელნაწერს. A95.²⁶ „მარიამ მეგუპტელის ცხოვრებაში“ მოთხრობილია, რომ პალესტინაში ცხოვრობდა ბერი ზოსიმე, რომელმაც 50 წელი გაატარა დაყუდებულმა. მარიამმა მოუთხრო ზოსიმეს თავისი საერო ცხოვრება. მარიამ მეგვიპტელმა 47 წელს იცხოვრა უდაბნოში და იქვე გარდაიცვალა, იგი დამარხა ზოსიმემ.²⁷

„სწავლაჲ“ სამოძღვრო ხასიათის თხზულებაა, რომელშიც თემატიკისა და სხვადასხვა შინაარსის ეპიზოდის მიხედვით პირობითად შეიძლება გამოვყოთ 90-მდე თხრობა. მეტია ისეთი საკითხავები, რომლებშიც გადმოცემულია მსჯელობა რომელიმე ზნეობრივ

თემაზე (ღვთისმოშიშება, ურისხველობა, სიმშვიდე, სიყვარული, სიმდაბლე, მიმტყეველობა...), გაკიცხულია მანკიერებანი. ნაკლებია (20-მდე) ბერ-მონაზონთა სულიერი ცხოვრების ეპიზოდების ამსახველი თხრობები. თხრობები შეიცავენ რჩევა-დარიგებებს, შეგონებებს. მთხრობელის ზოგად მსჯელობას, რჩევა-დარიგებას მოსდევს რომელიმე ბერის ცხოვრების ეპიზოდი, როგორც კონკრეტული მაგალითი: „ხოლო დასამტკიცებლად სიტყუა ამის იტყოდა“ E 55,1. „და სიმტკიცისათჳს საქმისა ამის იტყოდა თხრობასა“ T 55,1.

შენიშვნა: E და T სიმბოლოებით აღნიშნავთ ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანებს. საილუსტრაციო მასალას ვუთითებთ მუხლისა და სტრიქონის მიხედვით.

ასეთი ეპიზოდების ამსახველ საკითხავებს ერთვის მოქმელის, მთხრობელის ერთგვარი კომენტარი, ხშირად საკმაოდ ვრცელი:

„იხილეთ-ღა, რას იქმს სათნობაჲ, ვითარსა წარმატებასა მოიყვანებს მოქმედთა მისთა“ E 164,10” აჰა ესერა, სიმშუდემან და სიტკბოებამან სულისამან იხილეთ-ღა, თუ რაჲ შეუძლო ყოფად“ T 137,1 ზოსიმე, როგორც მთხრობელი, ეფთვიმეს თარგმანში მოიხსენიება ოთხჯერ, თეოფილესთან - ერთხელ („ნეტარმან მამამან ზოსიმე გამოისახა სასწაული ჯუარისაჲ პირსა თჳსსა და იტყოდა ესრეთ“ E 1,1. „და იტყოდა ნეტარი ზოსიმე საკურველებით“ E 18,1). სხვაგან ყველგან ორივე თარგმანში მთხრობელზე ნაცვალსახელით არის მითითებული:

„და იტყოდა ნეტარი იგი“ E 12,1, „და იტყოდა იგი“ T 109,1. ასევეა ბერძნულ წყაროში, მაგრამ ამ შემთხვევებშიც რომ ზოსიმე იგულისხმება, ჩანს შესაბამისი ლათინური თარგმანიდან, სადაც ბერძნულ-ქართული ტექსტების ნაცვალსახელს ზოგჯერ შეესატყვისება „ზოსიმე“.

ამ ჟანრის ნაწარმოებები გამოჩნული იყო მოსასმენად. ორიგინალში მათ ეწოდებათ „სიტყვები“, „საუბრები“. ბერძნულად $\Delta\alpha\lambda\omicron\upsilon\gamma\omicron\mu\omicron\iota$, ლათინურად *alloquia*. პოსინი ზოსიმეს თხზულების შესახებ აღნიშნავს, რომ ეს სიტყვები შეიცავს 14 სააუდიტორიო სწავლას (*Continet id alloquia quatuordecim studio auditoris*).²⁸

ასეთი დანიშნულება ამ თხრობებისა უნდა განსაზღვრავდეს მათ თავისებურ დასაწყისს, რომელსაც გწინუა „პატერიკული თხრობის ფორმას“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ „ამ ტიპის ნაწარმოებების დასაწყისში ჩანს ორი ან სამი პირი: ერთი - ვისაც ეხება ეს თხრობა, მეორე - თვითმხილველი და მესამე - ავტორი, ვინც იწერს ტექსტს. ზოგჯერ ავტორი და თვითმხილველი ერთი პირია“.²⁹

მთხრობელი - ზოსიმე ყოველთვის არ არის თვითმხილველი იმისა, რასაც გადმოსცემს. იგი ხშირად სხვის, რომელიმე ბერის, წმინდა მამების მონათხრობს ჰყვება:

„და იტყოდა: ძმა ვინმე მითხრობდა, ვითარმედ“ E 118,1.

*„იკსენებდა ნეტარი იგი ვისმე, რომელსა მიეთხრა მისდა,
ვითარმედ“ T 118,1.*

ზოგჯერ მთხრობელი გადმოსცემს IV-V საუკუნეების რომელიმე საეკლესიო მოღვაწის, უმეტესად ეგვიპტელი სულიერი მამების გამონათქვამებს. თხზულებაში მოხსენიებული არიან ანტონი, ამონა, ბასილი, ეგნატი, ევაგრე, მაკარი, პახომი, პიმენი, სერგი, სისოი („ვითარცა თქუა წმიდამან მაკარი“ T 147,16; „ისმინეთ ამისთვის რად-იგი მითხრა ნეტარმან სერგი მამასახლისმან“ E 133,1..). ხსენებული მამების თხრობები შესულია ანბანურ პატერიკში.³⁰

ზოგი თხრობა შევითხვაზე პასუხის სახით არის წარმოდგენილი („ხოლო ჰკითხეს ძმათა ნეტარსა მას, თუ ვითარ ვინ იყოს... ჰრქუა მას ბერმან“...E 108,1).

„სწავლაჲს“ რამდენიმე თხრობის - საკითხავის წყარო ჩანს მამათა წიგნები, რომლებიც ძალიან გავრცელებული ყოფილა მაშინ. ბერ-მონაზვნებისათვის იგი სულიერ საზრდოს წარმოადგენდა. ერთ-ერთი ბერის შესახებ ნათქვამია:

„უყუარდა იგი ნეტარსა ფრიად, ვიდრედა ყოვლადვე მას იკითხავნ და თქუამცა ვინ, თუ სული და აღმოფშვნავა მისი წიგნი იყო წმიდათა მამათაჲ“ T 122,8.

მთხრობელი იმოწმებს ამ წიგნს: „აღმომიკითხავს „მამათასა“ შინა, ვითარმედ“ E 55,3.

„ვიკითხვედით რაჲ, „მამათასა“, მივემთხუენით თავსა მას ბერისა მისთჳს“ E 122,5.

ამ მხრივ საინტერესოა, რომ ზოსიმეს „სწავლაჲს“ ზოგიერთ თხრობას პარალელი აღმოაჩნდა „სწავლათა“ ჟანრის სხვა თხზულებებში.

ერთ-ერთ ვრცელ საკითხავში (ET 53-64) ზოსიმე მსმენელებს მოუთხრობს იმის შესახებ, რომ ღვთის მცნებები თავისთავად არ არის მძიმე. ჩვენი, ადამიანების, ბოროტი ნება და სურვილები ამძიმებენ მათ. სულს სურს საუკუნო ცხოვრება, მაგრამ საწუთროს ამაოება და არარაობაც უყვარს. ამიტომ გაურბის ჭირს, მიელტვის შვებას. ხშირად მთელ თავის ქონებას ადვილად თმობს მტრის, ავაზაკის შიშით მცირე ხნის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, რასაც იგი ღვთის შიშით არ გააკეთებს. ამ მსჯელობას ზოსიმე ურთავს ძვირფასი თვლებით მოვაჭრის ამბავს, რომელიც მას სმენია „კაცთაგან სარწმუნოთა“ - თეოფილეს თარგმანის მიხედვით, ხოლო ეფთვიმეს თარგმანით - „აღმოუკითხავს „მამათასა“ შინა“: როცა ძვირფასი თვლების პატრონმა შეიტყო, რომ მენავენი უპირებდნენ ზღვაში გადაგდებას მისი ქონების ხელში ჩასაგდებად, თვითონ გადაყარა მთელი თავისი სიმდიდრე ზღვაში. მენავეები განვიფრდნენ და „განქარდა ბოროტი იგი განზრახვად მათი“. ზოსიმე სვამს კითხვას: *„რადგათჳს უკუე არა ძალ-უე შიშსა ღმრთისასა ესოდენ, ვითარცა ექუა წმიდამან ვინმე, რაოდენ-იგი ძალ-უე შიშსა ზღჳსასა“ T 54,3.*

თეოფილეს თარგმანის ერთ-ერთ გვიანდელ ხელნაწერში (A 688-XVII ს. ბოლო) ხაზგასმული სიტყვის ნაცვლად იკითხება *„ძალღთაჲსა“*. ეფთვიმე უფრო ვრცლად გადმოსცემს ამ თხრობას და ზოსიმეს კომენტარსაც: სიკვდილის შიშმა თვლებით მოვაჭრეს გაუადვილა მოქმედება, რომელიც, ღვთის შიშით რომ ექმნა, მძიმედ და ძნელად მოეჩვენებოდა: *„და ადვილ-ყო წინაშე მისსა საქმე იგი შიშმან სიკუდილისამან, რომელი-იგი უკუეთუმცა შიშისათჳს ღმრთისა ენება ექმნად, მძიმე და ძნელმცა უჩნდა“ E 63,4.*

ამ თხრობასთან დაკავშირებით საინტერესოა იოანე სინელის (VI ს.) „კლემექსის“ ერთი ადგილი, სადაც აგრეთვე ლაპარაკია ღვთის შიშზე: „გუეშინოდენ უფლისაგან, ვითარცა გუეშინის მჭეეთაგან, რამეთუ ვიხილენ კაცნი, რომელნი წარვიდის პარვად და ღმრთისაგან არა შეიშინეს. ხოლო ჯმაჲ ძაღლთაჲ რაჲ ესმა ადგილსა მას, შეშინდეს და მეყსეულად შეიქცეს. და რომელი-იგი ვერ ქმნა მიშმან ღმრთისამან მათ თანა, იგი ქმნა შიშმან ძაღლთამან“ (A.285, 15r.) ვიმოწმებთ „კლემექსის“ ეფთვიმესეული თარგმანის მცინცამის მიერ გადაწერილი ტექსტიდან).

როგორც ვხედავთ, მსჯელობა, შინაარსი ერთნაირია, ოღონდ მაგალითად მოხმობილი ამბავი - სხვა. თუოფილეს თარგმანის გვიანდელი ხელნაწერის „შიშსა ძაღლთაჲსა“ „კლემექსიდან“ დამოწმებული ადგილის გამოძახილი უნდა იყოს. ზოსიმეს „სწავლაჲს“ ტექსტში ორივე თარგმანის თხრობას „ავაზაკთმთავარი“ მოსეს შესახებ პარალელი აღმოაჩნდა ანბანურ პატერიკში, სადაც მოსეს განეკუთვნება 15 თხრობა.³¹ ზოსიმესთან მოსეს ეპიზოდი ორჯერ არის მოხმობილი - სიმდაბლეზე და გულისწყრომისას დუმილის შესახებ მსჯელობის დროს. თავის მხრივ, ტექსტის ეს მონაკვეთები განსხვავდება ერთმანეთისაგან მოცულობითა და სტილით. შინაარსი დაახლოებით ერთნაირია (ET 37; 84). აღნიშნულ საკითხავში მოთხრობილი ეპიზოდი პატერიკში უფრო ნათლად არის გამოცემული: ჩანს, რატომ გააგდეს მოსე ეკლესიიდან. ეს ის მოსეა, რომელიც ახალგაზრდობაში ავაზაკთმთავარი იყო, იწოდებოდა ეთიოპელად, მონანიების შემდეგ მონასტერში განმარტოვდა (ცხოვრობდა 325 - 400 წწ.)³²

ანონიმური პატერიკის თხრობებში შესატყვისი აღმოაჩნდა ზოსიმეს თხზულების მხოლოდ ეფთვიმესეული თარგმანის ერთ თხრობას. საყურადღებო ისაა, რომ ამ თხრობის ნაწილს პარალელი ემებნება ეფთვიმესეულ პატერიკში (A 35, იხ. აქვე, გვ.16). სავარაუდოა, რომ აღნიშნული ანონიმური თხრობა ზოსიმეს ეკუთვნოდეს.

თავი პირველი ზოსიმეს „სწავლაჲს“ ქართული თარგმანები და მათი ბერძნული წყარო

ზოსიმეს „სწავლაჲ“, როგორც ეფთვიმეს მიერ ქართულად ნათარგმნი ძეგლი, მოხსენიებულია ეფთვიმეს მამის - იოვანეს ანდერძში (23-ე თხზულებად) და გიორგი მთაწმიდლის „იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ (26-ე ადგილას).³³ „სწავლაჲ“ ეფთვიმეს 990 წელს უკვე თარგმნილი ჰქონია: იგი შემოუნახავს Ath 79 ხელნაწერის იმ ნაწილს, რომელიც ეფთვიმეს 990 წლის ავტოგრაფიდან არის გადაწერილი 1042-1044 წლებში.³⁴ კკველიძე მიუთითებს, რომ ზოსიმეს „სწავლაჲ“ ქართულად 993 წელს უკვე თარგმნილი იყო.³⁵

აქამდე ზოსიმეს „სწავლაჲ“ მხოლოდ ერთი - ეფთვიმესეული თარგმანით იყო ცნობილი (A 1104, Ath 79). „სწავლაჲ“ აღმოჩნდა ჩართული თეოფილეს მიერ თარგმნილ ზემოთ აღნიშნულ „პატერიკში“ - მეორე („სწავლანი შუენიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი სისრულისათჳს სათნოებათაჲსა“) და მესამე („სწავლანი და თხრობანი სულიერნი წმიდათა მამათანი და ვითარმედ ჯერარს ჩუენდა ყოვლითა ძალითა მიდევნებად დაყუდებასა“) თავების ნაწილების სახით. აქ იგი ცალკე თხზულებად არ არის გამოყოფილი - ჩართულია სხვა მამების თხრობებში.

ამგვარად, ამჟამად გვაქვს ზოსიმეს „სწავლაჲს“ ორი ქართული თარგმანი: ეფთვიმესეული - ცალკე თხზულებად და თეოფილესეული - პატერიკის მისსავე თარგმანში ჩართული.

„მამათა ცხოვრება“ უთარგმნია ეფთვიმესაც (A 35). მოსალოდნელი იყო, რომ ეფთვიმესეულ პატერიკშიც იქნებოდა ჩართული „სწავლაჲ“, მაგრამ თეოფილესეული „მამათა ცხოვრებისაგან“

განსხვავებით, ეფთვიმეს თარგმნილი პატერიკი არ შეიცავს ზოსიმეს თხზულებას.

მდვალმა ერთმანეთს შეუდარა პატერიკის ეს ორი თარგმანი. თეოფილესეულ თარგმანში გამოავლინა ადგილები, რომლებსაც შესატყვისი არ აქვთ ეფთვიმეს თარგმანში. ამის საფუძველზე ავტორმა დაასკვნა, რომ ეფთვიმეს „მისთვის ჩვეული წესის მიხედვით გამოუკრებია მასალა და ამ გზით შეუქმნია იმავე რედაქციის შემოკლებული ვარიანტი“.³⁶ შევნიშნავთ, რომ ამ დაკლებულ ადგილთაგან ნაწილი წარმოადგენს სწორედ ზოსიმეს თხზულებას. იმ აპოფთეგმებს, რომლებსაც შესატყვისები არ მოეპოვებათ ეფთვიმესეულ პატერიკში, პარალელები აღმოაჩნდათ მის მიერვე თარგმნილი „სწავლაჲს“ ტექსტში. მამასადამე, ეფთვიმესეულ პატერიკს აკლია ტექსტის ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ცალკე თხზულებად არსებულ ეფთვიმესვე თარგმნილ „სწავლაჲს“. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეფთვიმემ ჯერ „სწავლაჲ“ თარგმნა, შემდეგ პატერიკი, რომელშიც აღარ შეიტანა მის მიერ აღრევე თარგმნილი „სწავლაჲ“. მაგრამ საყურადღებოა, რომ ტექსტის ორ ფრაგმენტს აღმოაჩნდა შესატყვისი პატერიკის ეფთვიმესეულ თარგმანში. ამ ვარაუდის მიხედვით მოსალოდნელი იყო, რომ ეფთვიმე პატერიკში არც ამ ფრაგმენტებს შეიტანდა, როგორც მის მიერ აღრე თარგმნილი თხზულების ნაწილებს. ჩანს, ბერძნულ ენაზე არსებობდა სხვადასხვა რედაქცია პატერიკისა: ერთი შეიცავდა ზოსიმეს „სწავლაჲს“ მთლიან ტექსტს, მეორე - ორიოდ ფრაგმენტს. ეფთვიმემ სწორედ ეს მეორე რედაქცია თარგმნა. ამ ფრაგმენტთაგან ერთს მხოლოდ ეფთვიმესეულ პატერიკში აღმოაჩნდა შესატყვისი, „სწავლაჲს“ ბერძნულ წყაროსა (პატროლოგიისეულ ტექსტსა) და თეოფილესეულ თარგმანში კი - არა.

„სწავლაჲს“ ეფთვიმესეული თარგმანი (A 1104)

ამისთჳს უკუე იტყოდეს მამანი, ვითარმედ: „ვერ ძალ-უც კაცსა, ვიდრემდის აქუნდეს სიტკბოებაჲ იგი სოფლისაჲ გულსა თჳსსა,

თუმცა აქუნდა სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ“ E 83,1.

პატერიკის ეფთვიმესეული-თარგმანი (A 35)³⁷

თქუა ბერმან: „არა დაემკვდრების ერთსა გულსა შინა

სიტკბოება და სიყვარული ამის | სოფლისა და ღმრთისაჲ“ 193 რ.

ერთსა და იმავე შინაარსს ეფთვიმე განსხვავებულად გადმოსცემს: „სწავლადს“ ტექსტში შედარებით ვრცლად, პატერიკში - შეკუმშულად. პირველში მთხრობელი რამდენიმეა („იტყოდეს მამანი“), მეორეში - ერთი („თქუა ბერმან“); პირველ ნაწყვეტში აზრი რთული და ქვეწყობილი წინადადებით არის გადმოცემული, გამოკვეთილია დაპირისპირება სოფლისა და ღმრთის სიტკბოებისა; „სწავლადს“ ტექსტის „სიტკბოებას“ პატერიკისაში ენაცვლება „სიტკბოება და სიყვარული“.

მეორე ფრაგმენტს შესატყვისი მოეპოვება როგორც პატერიკის ეფთვიმესეულ (A 35), ასევე თეოფილესეულ (A 1105) თარგმანში და „სწავლადს“ ბერძნულ წყაროშიც. „სწავლადსა“ და პატერიკის ეფთვიმესეული თარგმანების ეს ფრაგმენტები კიდეთ უფრო მეტად სხვაობენ ერთმანეთისაგან.

„სწავლადს“
ეფთვიმესეული თარგ-
მანი (A 1104)
და იტყოდა ვი-
თარმედ: „უკუეთუ ვინ
ცხონდეს სოფელსა
ამას წელთა მათუსა-
ლადსთა და არა ვლოს
წრფელსა ამას გზასა,
რომელი ვლეს წმიდა-
თა (ესე იგი არს, რად-
თა იგინებოდის და
შეურაცხებოდის
და მოითმენდეს), ვერ-
სადა წარემართოს,
არამედ ოდენ დღეთა
თუსთა წარჰკდის
ამაოდ“ E 47,1-6
პატერიკის ეფთვი-
მესეული თარგმანი (A
35)

თქუა ბერმან:
„უკუეთუ ვინმე ცხოვ-
რებდეს წელიწადთა
მრავალთა და უფ-
როფს-ლა მათუსალადს-
სა და არა განვლოს
გზად იგი წრფელი,
რომელი განვლეს მა-
მათა და ყოველთა
წმიდათა, ცუდად წა-
რჰკდის დღეთა მისთა.
რამეთუ გზასა მას მე
ამას ვიტყუ-სიმდაბ-
ლით მოთმინებად გი-
ნებისაჲ და ქირვე-
ბისაჲ“ 192v-193r.
პატერიკის თეოფი-
ლესეული თარგმანი
(A 1105)
და იტყოდა იგი,
ვითარ-მედ: „უკუეთუ

ცხოვნდეს კაცი დღეთა
მათუსალადსთა და
წელთა და წარვლოს
გზად იგი წრფელი,
რომელი ვლეს ყოველ-
თა წმიდათა, (ხოლო
ვიტყუ მე კდემასა და
შეურაცხებასა და
ზღვევასა და სხუასა
მას ყოველსავე ძურთა
შემთხუევასა), ვერ წა-
რემართოს იგი ვერცა
დიდად და ვერცა
მცირედ, არამედ ცუ-
დად დღენი ოდენ
თუსნი წარჰკდნეს“ T
47,1-11.

ამ პარალელური ადგილებიდან ჩანს, რომ აქაც ეფთვიმე ერთსა და იმავე შინაარსს სხვადასხვაგვარად გადმოსცემს: განსხვავებულია თხრობის, საკითხავის დასაწყისი; „სწავლაჲს“ ტექსტში პატერიკთან შედარებით მეტი ჩანს ზოგიერთი სიტყვა - „სოფელსა ამას“, „ვერსადა წარემართოს“. ეს უკანასკნელი დასტურდება „სწავლაჲს“ ბერძნულ წყაროში (ὁσ μὴ πίειν) და თეოფილესეული პატერიკის ტექსტშიც („ვერ წარემართოს“); „სწავლაჲს“ ტექსტის ფრაგმენტში შესატყვისი არა აქვს პატერიკისეული თარგმანის ზოგიერთ სიტყვას: „უფროჲსდა“, „მრავალთა“, „მამათა“, „ყოველთა“. ეს უკანასკნელი დასტურდება „სწავლაჲს“ ბერძნულ ტექსტსა და პატერიკის თეოფილეს თარგმანშიც (παυτες οὐ αἰοιοί - „ყოველთა წმინდათა“); ორივე ნაწყვეტში არის წინადადება, რომლითაც განმარტებულია, ახსნილია, თუ რას გულისხმობს ავტორი წმინდა მამების, წმინდანთა მიერ განვლილ „წრფელ“ გზაში. ეს განმარტება ეფთვიმესეულ პატერიკში თხრობის ბოლოსაა („რამეთუ გზასა“...), „სწავლაჲს“ ტექსტში იგი თხრობის დასაწყისშია, შედის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, დამოკიდებულსა და მთავარს შორის ჩართული წინადადების სახით („ესე იგი არს“...). ასევეა თეოფილესეულ თარგმანშიც („ხოლო ვიტყვ“...) და შესაბამის ბერძნულ წყაროში (λεγω δεηϋν).

უნდა ვიფიქროთ, რომ ფრაგმენტების ეს განსხვავებანი ეფთვიმე კი არ შეიტანა პატერიკში, არამედ თვით ბერძნული პატერიკი შეიცავდა მათ.

ბერძნულ წყაროში ტექსტი დაყოფილია 14 თავად, სიტყვად (უსათაურებოდ), თავები დანომრილია.

ქართული თარგმანები მნიშვნელოვნად სხვაობს პატროლოგიაში დაბეჭდილი ტექსტისაგან.

შენიშვნა: თეოფილესეული „მამათა ცხოვრების“ (და ამდენად მასში შესულ „სწავლაჲს“) ბერძნულ წყაროს ვერ მივაკვლიეთ. ქართული რედაქციების შედგენილობისა და ბერძნულთან მიმართების

შესახებ ვმსჯელობთ პატროლოგიის 78-ე ტომში დაბეჭდილ ტექსტთან (Migne, Patrologia...) მათი მიმართების მიხედვით.

დასახელებულ ბერძნულ ტექსტთან შედარებით მეტი ჩანს საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთები.

ბერძნულ ტექსტში შესატყვისი არა აქვთ ქართული თარგმანების შემდეგ პარალელურ ადგილებს:

E: „და იტყოდა, ვითარმედ... ზოროტა მათ ნებათა ჩუენთასა“ 38-39. - T: „და იტყუს იგი, ვითარმედ... ნებათაებრ ჩუენთა უკეთურთა“ 38-39.

E: „აგინა ვინმე საყუარელსა... არღარა აღიმრვოდის“ 48-51,4. - T: „და იტყოდა იგი... არა აღშფოთნებოდის“ 48-51,4.

E: „ხოლო მას ესმნეს რად... აღსრულებაჲ მათი“ 52,7-77. - T: „ესმა რად ესე... მრავლითა მშუდობითა“ 52,7-78,24.

E: „და მოვართუ მას... გესლი უკეთურებისაჲ“ 84-107. - T: „ამას ზედა კულად მოვართუ... რისხვად აღატყდებოდა“ 84-107

E: „და ეტყოდა ნეტარი იგი... დადვის ჩუენთუს“ 117. - T: „ხოლო მრავალგზის იტყუნ... დასდებს მისთუს“ 117

E: „და რადთა შეერაცხენ იგინი... საუკუნეთა გურგუნთა“ 121. - T: „და უკუეთუ ვნებული იყოს... სასუფეველსა ცათასა“ 121.

E: „ხოლო ვითარცა-იგი... მისიგა სული“ 132-134,2. - T: „ხოლო ვინაჲთგან... სულთა მათთა“ 132.

E: „ხოლო წარმოიღო... შეწუხებაჲ მოყუსისაჲ“ 138-147. - T: „ოდეს მე ვიყავ... შეწუხებაჲ მოყუსისაჲ“ 138-147.

E: „ამისთუს ვთქუ... ცხორებაჲ შენი“ 151-155,6. - T: „ჯდა ოდესმე... ცხორებაჲცა შენი“ 151-155,6.

E: „ვსხედით უკუე... ამათ სიტყუათასა“ 156. - T: „და ვსხედით... სარგებელიცა მათი“ 156.

E: „რომელ არა თუ ოდენ... იგი ნიჭნი“ 164-168. - T: „რომლისათუს არა თუ ოდენ... ნიჭთა თუსთაჲთა“ 164-168.

E: „ამისთვის უკუე იტყოდეს მამანი... უკუნითი უკუნისამდე, ამინ“ 183-194. - T: „ბერმან თქუა... კურთხეულ ხარ უკუნისამდე“ 184-194.

„სწავლაჲს“ ბერძნული წყარო და ქართული თარგმანები განსხვავებულია დასასრულით: ბერძნული ტექსტის დასასრულს შეესატყვისება თეოფილესეული „მამათა ცხოვრების“ მეორე თავის დასასრული, რომელიც „სწავლაჲს“ ნაწილია: „ესე ყოველი ჩუენცა განვიცადოთ, ძმანო, და სწავლაჲ წმიდათა მამათაჲ გულსმოდგინედ შევიწყნაროთ და ძალისაებრ მსგავსებასაცა მათსა შეუდგეთ სადიდებელად უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ უკუნისამდე, ამენ“ T 184,4-12. მაგრამ თეოფილესთან „სწავლაჲს“ ტექსტი აქ არ მთავრდება. როგორც აღვნიშნეთ, მესამე თავის ნაწილიც „მამათა ცხოვრებისა“ ზოსიმეს თხზულებას წარმოადგენს. ეფთვიმეს თარგმანის დასასრულის შესატყვისის თეოფილეს „მამათა ცხოვრებაში“ უფრო წინაა - ჩართულია მეორე თავში (37v-38r). ბერძნულში ამ ნაწილის შესაბამისი არ არის. შედგენილობის მიხედვით გარკვეული განსხვავება თვით ქართულ თარგმანებს შორისაც გვაქვს. ეფთვიმეს თარგმანში არის ადგილები, რომელთა შესატყვისი არ არის ბერძნულსა და თეოფილეს თარგმანში:

„და ნუ ხედავთ უნდოებასა მხლისასა. გეტყუ თქუენ, ვითარმედ: ყოველივე სოფელი ესრეთვე შეურაცხა მას, რამეთუ ნუ უნდოებასა მხლისასა მიხედავთ, არამედ ესე გულისწმა-ყავთ, ვითარმედ სხუაჲ არარაჲ აქუნდა მას“ E 9. „ამისთვის ვთქუ: თუ მრავალგზის რეცა მიზეზი მოიღის ეშმაკმან და ამისთვის ჯერ-არს კრძალვად“ E 151.

„ამისთვის უკუე იტყოდეს მამანი, ვითარმედ: ვერ ძალ-უც კაცსა, ვიდრემდის აქუნდეს სიტკბოებაჲ იგი სოფლისაჲ გულსა თქსსა, თუმცა აქუნდა სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ. და კჳალად: უკუეთუ იხილოს გემოჲ სიტკბოებისა ღმრთისაჲ, მოსძაგდის მას ყოველივე

ამის საწუთროდსაჲ, ვითარცა წერილ არს სახარებასა, ვითარმედ:
„ვერვის ჯელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად“ E 183.

მეორე მხრივ, თეოფილეს თარგმანშიც დასტურდება ადგილი, რომლის შესატყვისი არ არის ბერძნულსა და ეფთვიმეს თარგმანში:

„და რამეთუ ვითარცა-იგი ცუდად და მაჯანად არა ჯერ-არს დაბნევაჲ საჭმართაჲ თ-ზნიერ ჯმარებისა კეთილად, ესრეთვე არცა დაგდებაჲ ჯერ-არს თავისაჲ და სიკუდილი, რამეთუ ესე მათი არს, რომელთა წარწეჴმიდნენ საცნობელნი გონებისანი, არამედ ჯერ-არს მოლოდინებაჲ ყამსა და რადთა განმზადებულ ვიპოვნეთ“ T 5.

„და იტყოდა იგი, ვითარმედ: ვიყავ ოდესმე ნეტარსა თანა დიონისიას და ვსხედით რაჲ ერთად, სთხოა ვინმე ძმამან ევლოგაჲ და მისცა მას, რაოდენ ძალ-ედევა. ხოლო ვინაჲთგან არა ეგოდენი მიეცა, რაოდენსა იგი ეძიებდა...“ T 48,1-7.

ბერძნული ტექსტის რამდენიმე ადგილს შესატყვისი აქვს მხოლოდ თეოფილეს თარგმანში:

„და იტყოდა იგი, ვითარმედ: ეზინოდაო ევაგრეს თავისათჳს თჳსისა: ნუსადა ესაგებოდის მას ქრისტე და ეტყოდის: უზადრჯკო ევაგრე, სნეულ ხარ ზუაობითა და ამჰმარტავანებითა, ხოლო მე მოვივლინე წამალი საკურნებელი - შეურაცხებაჲ და არა განიკურნე“ T 28.

„და იტყოდა იგი, ვითარმედ: უფალმან უწყის განაღა, რომელი-იგი განიკითხავეს გულთა და თირკუმელთა, რომელ დადაცათუ ყოველი სოფელი მაქებდეს და მნატრიდეს, ჩემი ყოველივე ღირს არს ძაგებისა და კდემისა და ნერწყუვისა. ხოლო უკუეთუ სთჳჳა შენ, თუ ესე და ესე გიქმნიეს, მე ვთჳჳა, ვითარმედ: და რაჲ არს ჩემთაგან საქმეთა კეთილ, რაჲთამცა ეგეოდენ იყო ბოროტ“ T 30.

„ესე ყოველი ჩუენცა განვიცადოთ, ძმანო, და სწავლაჲ წმიდათა მამათაჲ გულსმოდგინედ შევიწყნაროთ და ძალისაგებრ მსგავსებასაცა მათსა შეუდგეთ სადიდებელად უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა

იესუ ქრისტესა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ უკუნისამდე, ამენ“ T 184,4-12.

როგორც ვხედავთ, „სწავლაჲს“ ქართული თარგმანები და ბერძნული წყარო შედგენილობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ქართული თარგმანები ვრცელ რედაქციებს წარმოადგენენ. სავარაუდებელია, რომ ცალკე თხზულებად არსებული „სწავლაჲსა“ და პატერიკში ჩართული ამავე თხზულების ბერძნული ტექსტები, რომლებიდანაც თარგმნიდნენ ეფთვიმე ათონელი და თეოფილე ხუცესმონაზონი, განსხვავდებოდა პატროლოგიაში დაბეჭდილი ტექსტისაგან.

პატერიკების შემადგენელი თხრობების ცალკე თხზულებებად არსებობა სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილი ფაქტია. ც.ქურციკიძემ და მ.დვალმა გაარკვიეს, რომ პატერიკულ კრებულში (A 35, A 1105) შემავალი ოთხი აპოფთეგმა ცალკე თხზულებების სახითაც არსებობს.³⁸ ასეთივე შემთხვევა გამოავლინა გ.ნინუამ.³⁹

პატერიკებში შემავალი თხრობების ცალკე თხზულებებად არსებობა საინტერესო და მომავალში შესასწავლ პრობლემად არის ჩათვლილი, რადგან იგი „პირველ რიგში პატერიკების შედგენილობასთან დაკავშირებულ საკითხებს აღძრავს, პატერიკების სასულიერო მწერლობის სხვა დარგებთან დამოკიდებულებაზე გვაფიქრებს“.⁴⁰

თავი მეორე ხელნაწერები და მათი ურთიერთმიმართება

I. ეფთვიმეს თარგმანის შემცველი ხელნაწერები

ეფთვიმეს თარგმანი დაცულია A 1104 და Ath 79 ხელნაწერებში.⁴¹

ა) A 1104 ხელნაწერი (ლიტერით A) წარმოადგენს აგიოგრაფიულ-ასკეტიკურ კრებულს, თარიღდება XI საუკუნით. შესრულებულია ეტრატზე ნუსხურით, სათაურები მრგლოვანით, ქიისფერი მელნით. ეტრატის ზოგიერთ ფურცელზე ტექსტი გადალეულია; გადამწერია იოვანე მელი. ხელნაწერი საბერძნეთიდან ჩამოუტანია ილია ფანცულაიას.⁴² შედგება 341 ფურცლისაგან. აქვს როგორც რვეულებრივი, ისე ფურცლობრივი პაგინაცია. ზოსიმეს თხზულებას უჭირავს 64 ფურცელი, იწყება 91-ე (ადრინდელი, გადამწერისეული პაგინაციის მიხედვით 88-ე - (38) გვერდზე, მე-13 რვეულში და მთავრდება 154-ე (გადამწერისეული პაგინაციით 151-ე - რნა) გვერდზე, მე-20 რვეულში.

ძეგლის სათაური („სწავლად წმიდისა მამისა ჩუენისა ზოსიმესი“), ისევე როგორც ამ კრებულში შესული სხვა თხზულებების სათაურები, შესრულებულია მრგლოვანით. მთელი ტექსტის მანძილზე მხოლოდ ერთი სიტყვის ნაწილი - „მრავალ“ (მრავალსა 135v) წერია მრგლოვანით. მრგლოვანითვეა შესრულებული თხზულების ბოლო სტრიქონი - მინაწერი: „ქრისტე, შეიწყალე მამად იოანე“ 154v.

ხელნაწერში ბევრია გაცხოველებული ადგილი, მთელი გვერდებიც კი: 91r, 93r, 94v, 96r, 97r, 100v, 102v, 126v, 127v, 130v, 139r, 142v, 143v, 149r, 150v, 152v, 153r, 154v. ეტყობა გაცხოველების შემდეგაც წაშლილა ნაწერი, გადასულა სტრიქონები: ამას მოწმობს გვერდები, რომლებიც ნაწილობრივ არის გაცხოველებული, ზოგი ადგილი კი ამჟამად ძნელად იკითხება (98v, 99r, 100v, 101r...). აღდგენილი სტრიქონები ზოგჯერ ადრინდელ სტრიქონთა შორისაა

ჩაწერილი (94v, 95v, 98v, 99r, 101r...), ზოგჯერ კი სტრიქონი, სიტყვა, მარცვალი, ასო ზემოდანაა ჩაწერილი სტრიქონზე (92v, 93r, 96r, 97r, 100v...). გაცხოველებულ ადგილებში თავდაპირველი ნაწერის ქარაგმები ხშირად გახსნილია, გამცხოველებელი სრულად წერს სიტყვებს, რაც უფრო იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ იგი, რაკი წერს წვრილად, ცდილობს მიჰყვეს უფრო მსხვილად ნაწერ სტრიქონებს. ზოგჯერ ხდება პირიქითაც: სიტყვები, რომლებიც თავდაპირველ ნაწერში სრულადაა წარმოდგენილი, გაცხოველებულში დაქარაგმებულია: *მათ (მთ) 99r, მან (მნ) 139r, ამინ (ან) 154r ...* გამცხოველებელს უჭირს გადასული ნაწერის ამოკითხვა. სწორედ ესაა აღნიშნული რამდენიმე მინაწერში, რომელთაგან ზოგი სრულად აღარ იკითხება: „*კითხვისა ღონე არა... 147r; „ნაწერსა ზედა წერად ყოვლად არა ეგებოდა, თუთ ხედავთ ყოველნი და შემოსილსა შინა... მე ჭირი დიდი მინა[ხავს]“ 146v* ერთ-ერთი მინაწერი ეტრატის ცუდ ხარისხზე მიანიშნებს: „*ყოველი ბოროტი ეტრატისგან არს, თუარა წამალი კარგი არს“ 96v.*

თავდაპირველი ნაწერის ცუდად, არასწორად ამოკითხვის შედეგი უნდა იყოს რამდენიმე განსხვავებული იკითხვისი (ზოგჯერ გარკვევით ჩანს ადრინდელი ნაწერის კვალი): *მამადმთავარი (მამათმთავარი-გაცხ.) 124r, არიანა (არიან-გაცხ.) 146v.*

გაცხოველებულ ადგილებში დასტურდება სხვადასხვა სახის შეცდომა: შეუვვრდა 146v; და და იყო 146v...

გადაშწერი ცდილობს გაასწოროს შეცდომა: ამატებს გამორჩენილ ასოს, მარცვალს, სიტყვას, შლის ზედმეტს, გამეორებულს (122r, 137v, 125v...). განსაკუთრებით ბევრია ჩამატების შემთხვევა, ასე მაგალითად, ჩამატებულია: *იგი 125v, არამედ უფროესად 122r, შეიძენს 133r, იტყუს 114r, არს 114r, ჩუენ 119r, მათ 115r, და 136r, - ვად(გოდვად) 118r, -იან (არიან) 124r, -მეა(არამეა) 118r, -სა(შეწევნასა) 123r, -ისა(ზნელისა) 106r, ჩემისაგა 100r და სხვ.*

მიუხედავად გადაშწერის ასეთი ყურადღებისა, მაინც გაპარულა შეცდომები: *ჯელ-ყვეს კაცმან 125v* - უნდა იყოს: *ჯელ-ყვის; მანმან*

(ძმამან) 146r; მპარვამან (მპარავმან) 148v (შეცდომა დაშვებულია სიტყვის გადატანისას: მპარ-ვმან), აქუდა (აქუნდა) 148v და მრავალი სხვა (ყველა ასეთი შემთხვევა მითითებულია ტექსტზე დართულ შენიშვნებში).

აღნიშნული ხელნაწერი საინტერესო ჩანს სიტყვათა ზოგიერთი, უჩვეულო, დაქარაგმებით: ბევრი სიტყვა საერთოდ ისეა დაქარაგმებული, როგორც სხვა ძეგლებში, მაგრამ აქ გვხვდება, ჩვენი აზრით, რამდენიმე განსხვავებული დაქარაგმებაც: *თქდ(თქუმად)* 101v, *ჯხეთად (ჯოჯობეთად)* 102r, *შგმდ(შემდგომად)* 107v, *უფრდ, უფსდ (უფროჯსად)* 125r, 126r..., *შთა(შენთა)* 140r, *მს (მარადის)* 129r, 154r, *შდა (შენდა)* 143r, 147r. ეს უკანასკნელი დაქარაგმება დადასტურებულია შატბერდის კრებულშიც.⁴³

ბ) Ath 79 (ლიტერით B). ათონური კოლექციის №79 ხელნაწერი სხვადასხვა დროს აღწერეს ა.ცაგარელმა (1886 წ.), ნ.მარმა (1900 წ.), რ.ბლეიკმა (1932 წ.). აღნიშნული ხელნაწერი მიაჩნდათ ეფთვიმეს 990 წლის ავტოგრაფად (ა.ცაგარელსა და რ.ბლეიკს - მთელი ხელნაწერი, ნ.მარს - მისი ნაწილი).

მას შემდეგ, რაც აკად. კვეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა მიიღო ათონური ქართული ფონდის ხელნაწერთა მიკროფირები (1982 წ.), გაირკვა Ath 79 ნუსხასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი.

მდოლაქიძემ ფოტოპირების მიხედვით აღწერა ხელნაწერი, დეტალურად შეისწავლა მისი შედგენილობა, პაგინაცია, ხელნაწერში შემავალი თხზულებების თანმიმდევრობა, ანდერძები, თავისი ზუსტი ადგილი მიუჩინა ამ ნუსხაში ხელნაწერთა ინსტიტუტის A 1769 ორფურცლიან ფრაგმენტს და საერთოდ ახლებურად გააშუქა Ath 79 ნუსხის შექმნის ისტორია.⁴⁴

მოკლედ წარმოვადგენთ მ. დოლაქიძის კვლევის შედეგებს: ხელნაწერში ამჟამად 131 ფურცელია, შედგება 12 თხზულებისაგან; ნუსხა არ წარმოადგენს ეფთვიმეს ავტოგრაფს. ამ მცდარი აზრის საფუძველი თავის დროზე გახდა ეფთვიმეს 990 წლის ანდერძი, რომელიც მოთავ-

სებულია 97v-ზე, რიგით მერვე თხზულების შემდეგ: „*მე, გლახაკმან და ნარჩევმან ყოველთა კაცთამან და ყოვლისა ბრალისა თანამდებმან ეფთიმე ვთარგმნე წმიდაჲ ესე წიგნი ბერძულისაგან ქართულად წმიდისა მამისა ჩემისა იოვანესითა... აწ გვედრები, ვინცა იკითხვიდეთ, ლოცვასა მოგჳსენენით პირველად მამაჲ ჩემი იოვანე და მე უღირსი ესე ეფთიმე...*“; ეფთვიმეს ანდერძს უშუალო გაგრძელების სახით ერთვის გადამწერის - იოანეს ანდერძი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ხელნაწერი გადაწერილია კონსტანტინე მონომახის მეფობისა და გიორგი ათონელის დეკანოზობის დროს - 1041-1044 წლებში.

ეფთვიმესა და იოანეს ანდერძებს „უნდა შევხედოთ როგორც ერთ მთლიანობას... ანდერძები შექმნილია სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე“. იოანემ გადაწერა 990 წლის ავტოგრაფი ეფთვიმეს ანდერძითვე, რომელსაც დაურთო თავისი ანდერძი. მდოლაქიძე ვარაუდობს, რომ ეფთვიმეს „ავტოგრაფი შეიცავდა მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ანდერძით მთავრდება. ხელნაწერის მეორე ნაწილი, რომელშიც ექვთიმეს თხზულებებია თავმოყრილი, დაემატა კრებულს ავტოგრაფის გადაწერის შემდეგ“. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ეფთვიმეს ანდერძი, „რომელიც ხელნაწერის ბოლოს დართული ანდერძის ტიპური მაგალითია“, ამჟამად ხელნაწერის შუაშია და არა ბოლოში.

ზოსიმეს „სწავლაჲს“ თარგმანს უჭირავს ხელნაწერის 68v-86v. რიგით მეხუთე ძეგლია. იგი შედის ეფთვიმეს ავტოგრაფიდან გადაწერილ ნაწილში. თხზულების დასასრული, რომელიც მას ამ ხელნაწერში აკლდა, აღადგინა A 1769 ფრაგმენტის პირველმა ფურცელმა (ამავე ფურცელზეა ეფრემის „სწავლათა“ სათაური და დასაწყისი).

ხელნაწერის 68v აშიაზე გადამწერის ასეთი შენიშვნაა: „*ზოსიმეს და ეფრემის სწავლათა თავთავი წითლით ეწერა დედასა და მე არა მაქუნდა*“. ამ შენიშვნით ირკვევა, რომ დედაწმი, ეფთვიმეს ავტოგრაფში, რომლიდანაც იწერდა იოანე, ზოსიმეს და ეფრემის თხზულებათა თარგმანების სათაურები წითელი მელნით ყოვილა დაწერილი.

ზოსიმეს „სწავლადს“ თარგმანს მოსდევს ბოლოთქმა: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, გლახაკისა ეფთჳმისთჳს, რომელმან წმიდაჲ ესე წიგნი ვთარგმნე“ 8v.

ხელნაწერის ორივე ანდერძში ეფთვიმე თავის თავს მოისხენიებს „გლახაკად“. „გლახაკს“ უწოდებს იგი თავის თავს ბასილი კესარიელის „სწავლათა“ მისეული თარგმანის ანდერძშიც, ხოლო ხელნაწერის გადამწერს „კურთხეულს“ უწოდებს. როგორც აღნიშნავს ცქურციკიძე, ეფთვიმე იცავს ეტიკეტს: თავის თავსა და თავის ღვაწლზე თავმდაბლად და მოკრძალებით ლაპარაკობს.⁴⁵

ამ ხელნაწერშიც დასტურდება გადამწერის მიერ ასოთა ჩამატების რამდენიმე შემთხვევა. ჩამატებულია ასოები შემდეგ სიტყვებში: *პოოს 68r, იპოოს 71r - მეორე დ; ეკლესიისა 72r - მეორე დ; მოიქის 71v - მესამე დ; ესრეთ 69r - დ; აღჳდა 74v - დ ვად 69v - დ.* მაგრამ მაინც გაპარულია ზოგიერთი შეცდომა: *წარწყმდე (წარწყმდე) 69v, მდლიერ (მადლიერ) 70r, მოვდის (მოვიდის) 73v, წარვდა (წარვიდა) 84v, წუხლსა (წუხილსა) 75v, უფროესად (უფროჲსად) 76r, მყავ (მყავ) 82r, წგნები (წიგნები) 84r* და სხვ.

ტექსტობრივი, შინაარსობრივი განსხვავება A და B ხელნაწერებს შორის მეტად უმნიშვნელოა. დასტურდება მხოლოდ ორი შემთხვევა:

„არავინ მჯედრად განწესებული აღწერილი B 86v) შეექცის სოფლისა ვაჰრობათა“ 192,5.

„...რაჲმს ვისმე შეემთხჳოს მოყუსისა (მეორისა A 137r) მიმართ მკსინვარებაჲ და არა კმა-ეყოს პირველი იგი...“ 144.

კონტექსტის მიხედვით პირველ მაგალითში სწორია A ნუსხის წაკითხვა, მეორეში - B ნუსხისა. შევნიშნავთ, რომ A-ში ეს ადგილები გაცხოველებულია. ამ ადგილების ბერძნულთან შედარება არ შეგვიძლია, რადგან ბერძნულში მათ პარალელი არ ემეზნებათ.

II. თეოფილეს თარგმანის შემცველი ხელნაწერები

როგორც აღვნიშნეთ, ზოსიმეს თხზულების თეოფილეს თარგმანი შესულია „მამათა ცხოვრების“ მისეული რედაქციის შემცველ ნუსხებში: A 1105 (XI ს.), A 1339 (XII ს.), A 528 (XII ს.), A 168 (XVI-XVII სს.), A 688 (XVII ს. ბოლო), A 169 (1745 წ.).

აღნიშნულ ნუსხებს შორის მეტ-ნაკლებად გვხვდება ტექსტობრივი (შინაარსობრივი) განსხვავებანი: გადამწერები ცვლიან სიტყვებს, ერთმანეთში ერევათ გრამატიკული ფორმები, თავისებურად იაზრებენ, შეცდომით კითხულობენ გრაფიკულად მსგავს ან ქარაგმით დაწერილ სიტყვებს. ამის გამო აზრი ზოგჯერ ბუნდოვანია, შეცდომაც აშკარაა. ზოგიერთ ხელნაწერში ბევრია სიტყვათა დაკლებისა თუ შემატების შემთხვევა. იშვიათად ადგილი აქვს სინონიმთა მონაცვლეობასაც. აღნიშნული ცვლილებები დასტურდება ხან მხოლოდ ერთ რომელიმე ხელნაწერში, ხან ორი ან მეტი ნუსხა დგას ერთმანეთთან. დავახასიათებთ ამ თვალსაზრისით ცალკეულ ნუსხებს.

ა) A 1105 (ლიტერით A). ხელნაწერი შედგება 457 ფურცლისაგან; შესრულებულია ქაღალდზე XI საუკუნის თავისებური ნუსხურით (სათაურები სინგურით). ხელნაწერი მეტად დაზიანებული და ჭიისაგან დახრულია. აქვს სადა ტყავით შემოსილი მაგარი ყდა, ორი შესაკრავით. გადამწერია ბერი კლიმი.⁴⁶

A ხელნაწერში დაცული „სწავლაჲს“ ტექსტი სხვა ნუსხების ტექსტებთან შედარებით ადრინდელია (XI ს.) და სრული. უჭირავს ხელნაწერის შემდეგი გვერდები: 37v-38r; 46r-67r; 78r-79v. ძეგლში ჩანს გვიანდელი შესწორებების კვალი: მხედრულით ჩამატებულია რამდენიმე სიტყვა: *მცირ 47*, *კაცი 59*, *მისი 48*. განსხვავებული ხელით ჩანს ჩამატებული - *უკუეთუ 54* და სხვ.

A ნუსხაში დასტურდება სხვა ნუსხათაგან განსხვავებული რამდენიმე ადგილი, რომლებშიც შეცვლილია სიტყვები, სახელის ბრუნვისა თუ რიცხვის, ზმნის პირის ფორმები და ამის შედეგად

შეცვლილია ან ნათელი არაა ფრაზის შინაარსი. იშვიათად სინთაზური მნიშვნელობის სიტყვები ენაცვლება ერთმანეთს: ...ოდეს-ღმრთისა მიერ უწყებულ იყო მისდა T 14,7.

BDEF ნუსხებში ხაზგასმული სიტყვის ნაცვლად ადგილზე ბრძანებულ (C-ს აკლია ეს ადგილი).

ბერძნულშია: ... δια τον θεομεν αυτω διμεντα χριστου 1684,
შდრ. ეფთვიმეს თარგმანი: ...რომელ უწყუნა ღმერთმან E 14,7.

კონტექსტის მიხედვით აშკარად ჩანს A ნუსხის შეცდომა რომელთა საფუძველი გრაფიკულია. ერთმანეთშია არეული ნუსხურად მსგავსი დაწერილობის მქონე სხვადასხვა სიტყვა, რომლებსა ალბათ, ქარაგმით იყო დაწერილი: ერთი მხრივ - გონებისა ბუნებისა,⁴⁷ მეორე მხრივ - რომელსა ვერ - ჰირველსავე. მეორე მხრივ თხვევაში გადამწერმა ორი სიტყვა ერთ სიტყვად აღიქვა:

აღძრვანი არიან გონებისანი (ბუნებისანი A) და ძალ-უც გონებისანი მჭურვალესა ერთსა შინა ჟამსა შეწირვად ღმრთისა, რომელსა ვერ (ჰირველსავე A) შესწირავს სხუად გონებად მცონარი ორმოცდაათი წელსა T 12,2-7.

ამ შეცდომებს ეფთვიმეს თარგმანიც გამოავლენს:

განყოფილებანი გონებათანი არიან... რომელი ვერ უწყუნის სხუად მან გონებამან დაჯსნილმან ერგასის წელ E 12,2-8.

...გამოიცდების ამით ნებად და გონებად (განგებად A) კაცისად 104,13.

ეფთვიმეს თარგმანსა და ბერძნულში შესაბამისი ადგილი დასტურდება. ფრაზის შინაარსის მიხედვით აშკარაა A ნუსხის შეცდომა.

A ხელნაწერში შეცდომა ზოგჯერ დაშვებულია იმის გამო, რომ გადამწერი მსაზღვრელს უთანხმებს ბრუნვაში არა იმ სიტყვას რომელსაც იგი კონტექსტით ეკუთვნის, არამედ სხვას:

გარნა ყოველსავე ზედა მცირისა (მცირესა A) მის სიგოცხლო შეძინებისათჳს ყოველსავე უგულუბელს-ვჰყოფთ 52r.

A ნუსხის მცირესა გამოწვეულია წინა სიტყვით - ყოველი ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვით: ყოველსავე ხედა მცირესა. კონტექსტის მიხედვით კი მცირე მომდევნო სიტყვის მსაზღვრელია: მცირისა სიციცხლისა.

A-ში შეცვლილია ზმნის პირისა და რიცხვის ფორმა, ქვევის ფორმა:

რად ვიტყუ(იტყუთ A), თუ თხზვიდეს გულისსიტყუათა? T 19,13.
ბერძნული არ ამართლებს A ნუსხის წაკითხვას: και τις λευα, 1684, C.

...ადვილად ჳელთ მივდოს, არა თუ შენ დამამტკიცოლ (დამიმტკიცოლ A) და განმადლიერო, უფალო 48r. A-ს შეცდომა კონტექსტით ნათელია.

გამოტოვებულია უარყოფითი ნაწილაკი „არა“, რომელიც აუცილებელია წინადადების შინაარსის მიხედვით:

უკუეთუ ცხოვნდეს კაცი დღეთა მათუსლაღსთა და ჳელთა და არა (om A) წარვდოთს გზაჲ იგი წრფელი, რომელი ვლეს ყოველთა წმიდათა, ...ვერ წარემართოს იგი ვერცა დიდად და ვერცა მცირედ, არამედ... T 47,3.

კონტექსტით აშკარაა, რომ ხაზგასმული ზმნა უნდა იყოს უარყოფითი ფორმით, როგორც სხვა ნუსხებშია (BCDEF). ბერძნულშიც უარყოფითი ფორმაა ზმნისა: μη ὀνεισεῖ 1689, A.

ჩვენ ვარაუდით, გამოტოვებული უნდა იყოს A ნუსხაში სიტყვა „შანთსა“ შემდეგ წინადადებაში:

უკუეთუ არა მოიგო სიმშუდე, მსგავს იყო შენ ძუნსა რკინისასა, რომელსა სცემნ მჭედელი ფრიად T 49,10.

საინტერესოა, რომ B ნუსხაში აშიაზე სტრიქონის გასწვრივ მიწერილია ნუსხურით „ძ“, ხოლო მის ქვემოთ ჯერ „შან“, მერე „შანთ“ მხედრულით. ყველა სხვა ხელნაწერშია: ...მსგავს იყო შენ ძუნსა შანთსა.

ზემოთ აღნიშნული განსხვავებების გვერდით A-ში გვხვდება კალმის შეცდომებიც: *დარმიწუართე (დამიწუართე) 62v, რაღსათუზ*

განთავსებულ (განლიგებულ A) ხარ, სულო ჩემო? 50, და სხვ. შევნიშნავთ, რომ სხვა ნუსხებთან შედარებით A-ში ამ სახის შეცდომები ძალიან ცოტაა.

ბ) A 1339 (ლიტერით B). ხელნაწერი თარიღდება XII საუკუნით, შეიცავს 262 ფურცელს, ნაწერია ქალაღდზე. ხელნაწერი თავ-ბოლო ნაკლულია, მეტად დაზიანებული და კიდებშემოცვეთილია. ჩასმულია ტვიფრული ტყავით შემოსილ ხის ყდაში. აშიებზე ფანქრით დახატულია ბერები და სხვ.⁴⁸

ზოსიმეს თხზულებას უჭირავს ხელნაწერის 17r, 40v-61r, 72r-74r გვერდები.

რაიმე მნიშვნელოვანი ტექსტობრივი სხვაობა, რომელიც მხოლოდ B ნუსხისათვის იყოს დამახასიათებელი, ამ ხელნაწერში არ დასტურდება.

ბრძანებულ ვართ... თუთ ჭორცთა (თავთა B) ჩუენთა მოძულებად T 4,13.

ბერძნული მხარს არ უჭერს B ნუსხის წაკითხვას: $\tau\omicron\sigma\ \sigma\alpha\mu\alpha\tau\omicron\varsigma$ 1682, C. შევნიშნავთ, რომ ეს ადგილი B-ში გადასწორებულია: გადაწებებულია ქალაღდი, რომელზეც წერია „თავთა“.

ორიოდე შემთხვევაა სიტყვათა გამოტოვებისა - წინადადებაში არ დასტურდება ნაცვალსახელი და საკავშირებელი სიტყვა, რომლებიც სხვა ნუსხებში დაცულია:

ნათლითა შენითა ვიხილეთ ჩუენ (om B) ნათელი T 97,16.

ვითარცა (om B) სხუაჲ ყოველი მივეც დავიწყებასა, ესრეთვე და იგიცა დამვიწყებებს T 16,6.

B-ში შეცვლილი ჩანს მსაზღვრელის ბრუნვა:

წარემართოს ღმრთის მსახურებასა შინა ღმრთისა (ღმრთისასა B) კაცი T 3,2.

სიტყვაში „ღმრთისასა“ ბოლო მარცვალი „სა“ დამატებულია. ჩანს, გადამწერმა ეს სიტყვა ბრუნვაში შეუთანხმა წინა სიტყვას: მსახუ-
რებასა შინა ღმრთისასა. შინაარსის მიხედვით კი იგი მომდევნო

სიტყვის მსაზღვრელია: ღმრთისა კაცი და ამდენად საჭირო არ არის „სა“ დაბოლოება. ბერძნულშია: ο του Θεου αμφιστοιος 1681. A.

B ნუსხაშიც არის ჩასწორებული ადგილები. გადაშწერი ამატებს გამორჩენილ სიტყვას: *რაოდენი-იგი ევნო ჩუენთჳს ქრისტესსა T 46,4.*

ზოგი შეცდომა გაუსწორებელია: *გამოსთხევს (გამოსხევს B) T 68,16. ვიწყე წურთად წიგნსა მას (მის B) იგავთასა T 138,5.*

გ) A 528 (ლიტერიით C). ხელნაწერი დათარიღებულია XII საუკუნით. შედგება 443 ფურცლისაგან, ნაწერია ქალაღზე, ნუსხურით, ორ სვეტად⁴⁹ „სწავლადს“ ტექსტი მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 1r-15v, 25v-28r, 37v-38r, იგი ნაკლებია. აკლია დასაწყისი სიტყვებამდე: „და იტყოდა იგი, ვითარმედ“ T 19,1. სიტყვებიდან: „არა ძალ-უც შიშსა ღმრთისასა...“ T 54,3 - ვიდრე სიტყვებამდე: „...დენ მრავლითა მშჳდობითა“ T 78,24. სიტყვებიდან: „...ნადსკნელთა, მდგომარე იყოლა სიმრავლე კნინლა აურაცხელი“... T 119,4. - ვიდრე სიტყვებამდე: „...უკუეთუ ვინ მოჰკუეთნეს მიზეზნი იგი“ T 140,4. სიტყვებიდან: „თჳლა ბერმან: ვითარცა სახედ...“ - ბოლომდე T 193-194.

C-ში შეცვლილია სიტყვა:

უკუეთუ ცხოვნდეს კაცი დღეთა მათუსალაღსთა და წელთა და არა წარვლოს გზად იგი წრფელი, რომელი ვლეს (ობილეს C) ყოველთა წმიდათა... T 47,5.

C ნუსხის შეცდომა აშკარაა, რაც დასტურდება კონტექსტით, ბერძნული ტექსტითა⁵⁰ და სხვა ხელნაწერებით. ბერძნულშია: ...ηϋ δνδσσϲ οι αϲοι 1689, A.

სხვა ნუსხებთან შედარებით C-ს აკლია სიტყვები:

მერმე შემვივრდა იგი მღებჳა (om C) ფერგთა ჩემთა და მრჳლა მე T 114,1.

ბერძნულში არის: προσπιτει μοι και κατεϲων τους ποδς μου 1692, C.

წარმოუდგა და აგინებდა მას (om C) გინებითა უკუნანადსკნელითა T 119,3.

C-ში ზოგჯერ მეტია სიტყვა, უფრო ხშირად კავშირი, იშვიათად სხვა მეტყველების ნაწილი:

რადთამცა თუთ თავით თუხით გუაქუნდა (add და C) საქმე იგი T 100,13.

გნებავს თუ (add და თუ C) არა, პატივ-მეც მე T 80,8.

C-ში შეცვლილია სიტყვათა რიგი:

დღესა ერთსა ოდესმე ძლეულ იქმნა (~ძლეულ იქმნა ოდესმე C) T 119,1.

...მოვიგონე შენთვის ქმნად (~ქმნად შენთვის C) ეგვიპტის საქმე T 162,9.

დასტურდება რამდენიმე შეცდომაც, რომელთა საფუძველი, ჩვენი ვარაუდით, გრაფიკულია:

უკუეთუ ვინმე შეუშუას ვისთვისმე გულისსიტყუაჲ ძური გულად (გულითად C) თუსა T 19,3.

უკუეთუ არა, ვერარას წარჰმართებს, არამედ კულადცა იწყენ (იწყენს C) კულადცა ეცადენინ T 94,10.

ამ წინადადებაში ერთმანეთშია არეული სხვადასხვა ზმნის II ბრძანებითისა (დაწყება) და აწმყოს (წყენა) მწკრივთა ფორმები. კონტექსტის მიხედვით უნდა იყოს „იწყენს“ ზმნის მეორე ბრძანებითის მესამე პირის ფორმა - იწყენ. ეს ჩანს მეორე ზმნის ფორმითაც - ეცადენინ (იგულისხმება: ისევ, კვლავ დაიწყოს და კვლავ შეეცადოს).

დ) A 168 (ლიტერით D). ხელნაწერი გვიანდელია, თარიღდება XVI-XVII საუკუნეებით. შედგება 471 ფურცლისაგან; ქაღალდი გაყვითლებული და დალაქავებულია. ერთი ფურცელი ლურჯი ფერისაა. ხელნაწერს აქვს შავი ტყავით გადაკრული ტვიფრული ხის ყდა, რომლის ყუა და წიბოები შავი ტყავითვეა რესტავირებული; აქვს საცავი ფურცლები. ხელნაწერი ახლად რესტავირებულია, განსაკუთრებით დაზიანებული იყო დასაწყისი და ბოლო ფურცლები. ნაწერია ნუსხურით, ორ სვეტად; სათაურები - სინგურით,

დასაწყისი ასოები - მთავრულით და ზოგჯერ სინგურით. გადამწერია იოანე ხელნაწერს აქვს ანბანური რვეულებრივი პაგინაცია.⁵¹

ზოსიმეს თხზულებას უჭირავს ხელნაწერის 36r-v; 44r-67r; 78v-80v გვერდები. ტექსტი სრულია, ახლავს მინაწერები აშიებზე:

„ღმერთო, შემოწყალე (შე) მე, ცოდვილი (ცი) ზაქარიაჲ (ზქრიჲ), ამენ. ვინცა მიემთხვნეთ, შენდობაჲ ყავთ ჩემ გლახაკისათჳს ონ ჩემნო“ 67r;

ღმერთო, შეიწყნარე პავლე, დედა, მამა, ჩემი ძმანი 79r.

D-ში მეტია სიტყვათა დაკლების, დამატების, შენაცვლების შემთხვევები. გვხვდება ლექსიკური შენაცვლების რამდენიმე მაგალითი. ამ მხრივ ზოგჯერ ამკარაა შეცდომა:

ყოველივე ნებაჲ ვყო მტერისა ჩემისა ეშმაკისაჲ (უზადრუკისა D) T82.16. ბერძნულშია: ...το φελημα του εχθρου του διαβολου ποιησα 1689, D.

ვითარცა დაჰრეკეს (დაჰკრეს D) კარსა, ვაგრძენ T 127,4.

ბერძნულშია: ... και επει εκρουσαυ την θυραν 1693, D.

მოთმინებაჲ შობს წმიდად ლოცვასა და უჭირველად (უეჭუელად D) და განსუენებით T 91,3. კონტექსტი არ ამართლებს D ნუსხის წაკითხვას. ეფთვიმეს თარგმანშია: მოთმინებაჲ შობს წმიდად და უჭირველად და განსუენებით ლოცვასა E 91,3.

D-ში შეცვლილია ზმნის პირის, რიცხვის, მწკრივის ფორმა:

დაუტეობთ შეწუხებასა... და ვსხედთ (დავსხდით D) და ვწმასნით გულისსიტყუათა T 64,17.

ჩანს, D-ს გადამწერმა ერთ სიტყვად წარმოადგინა კავშირი და ზმნა.

D-ში ბევრია სიტყვათა კლების მაგალითი. ეს ითქმის განსაკუთრებით ნაცვალსახელებზე, ნაწილაკებზე, კავშირებზე, რომლებიც წინადადებაში ზოგჯერ აუცილებელია:

...ესოდენი მადლი მისცა რომელთა ჰრწმენა და ჰრწამს მისა მიმართ, რომლისა არა (om D) არს რიცხჳ T 1,7.

სახიერ არს უფალი ჩუენი (om D) T 22,11.

გვხვდება სიტყვათა მეტობის შემთხვევებიც:

ჰმადლობდა (add ეგ D) ამისთვის T 165,8.

მეტია „მარგალიტა“ შემდეგ წინადადებაში:

იყო ვინმე კაცი, მოქმედი და მოვაჭრე ქვათა პატიოსანთაჲ (add მარგალიტა D) T 55,7. ამ შეცდომის საფუძველი უნდა იყოს მომდევნო ტექსტი: აქუნდა მას სიმრავლე ქვათა პატიოსანთა და მარგალიტა T 55,9.

D-ში ხშირად შეცვლილია სიტყვათა რიგი სხვა ხელნაწერებით მოღწეულ ტექსტებთან შედარებით:

და საკუთართაგა თანა მონათა ღმრთისათა აღირაცხა T 99,11-12
ეს ადგილი D-ში ასე წარმოდგენილი:

და საკუთართაგა მონათა თანა აღირაცხა ღმრთისათა D56r.

ხშირად შეცვლილ რიგს გადაშწერი ასწორებს სხვა ნუსხის მიხედვით; სიტყვებს თავზე წააწერს რიგის აღმნიშვნელ ასოებს. ასეთი ჩასწორებული ადგილი D-ში ბევრია.

D-ს გადაშწერი საერთოდ ხშირად ასწორებს შეცდომებს: ჩამატებს გამორჩენილ სიტყვებს. ასე მაგალითად, ხაზგასმული სიტყვები ჩამატებულია შემდეგ წინადადებაში:

არა არს ეგ D 152r; ამაჲს ეწოდების მრჩობლ მრისსანე T 14,6.

მაგრამ ზოგიერთი შეცდომა მაინც გაუსწორებელი რჩება:

სიტყუათა შენთა დაამტკიცებდინო (დაამტკიცებდი ნუ D)
ცხორებაგცა შენი T 155,5.

შეცდომა გამოიწვია იმან, რომ გადაშწერმა პირის ნიშანი **ღ** და სხვათა სიტყვის **ღ** აღიქვა უარყოფით ნაწილაკად - „**ღუ**“.

გვხვდება კალმის შეცდომებიც: *სრულეებით (სურულეებით D) T 168,6, დასტურად (დასტურა D) T 53,3, ესრეთვე (ესრრეთვე D) A55r, ინება (ინნება D) A55r* - ორი უკანასკნელი შეცდომა დაშვებულია სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის დროს, სიტყვის გაკვეთისას.

ე) **A 688** (ლიტერით **E**). ხელნაწერი გადაწერილია XVII საუკუნის ბოლოს. გადაშწერია ბერი ზაქარია (იგივე ზენონი).⁵²

ზოსიმეს თხზულების ტექსტი მოთავსებულია 25r-v; 30v-47r; 55r-57r გვერდებზე. ტექსტობრივად E ნუსხა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება სხვა ნუსხათაგან, მაგრამ მასში ძალიან ბევრია სიტყვათა გამოტოვების შემთხვევა. სიტყვის გამოტოვება, ცხადია, მეტ-ნაკლებად ცვლის აზრს:

იგი-ა მტკიცედ (om E), ვითარმედ ესე (om E) ესრეთ არს? T 59,2

შორის შემასა ფრიადსა (om E) იხარებს ცეცხლი T 138,7.

გვხვდება სიტყვათა მეტობის შემთხვევაც:

ხოლო მორწმუნე იგი სული თუთ შრომათავე შინა (add თუხთა E) და ლუაწლოთა მორწმუნე არს T 103,13.

შეუდგეთ სადიდებელად უფლისა (add და ღმრთისა E) და მაცხოვრისა ჩუენისა T 184,8

იშვიათად გვხვდება ლექსიკური მონაცვლეობის შემთხვევაც. მონაცვლეობენ სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები:

იგია, მამო, რომელ დიდად (ფრიად E) სარგებელ მეყო მე ოდეს-მე საკითხავი T 125,3

ვითარმცა არა მიანიჭა ღმერთმან (უფალმან E) ესევეითარსა გონებასა უხუებად კეთილთა მისთად T 18,4.

გრაფიკული საფუძველი უნდა ჰქონდეს სიტყვათა მონაცვლეობას შემდეგ მაგალითებში:

ვითარცა თქუა მამამან (დიდმან E) მოსე T 140,8.

ყოველივე იგი განზრახვად საულისი (სულისა E)... T 107,8.

ერთმანეთშია აღრეული ნუსხური დაწერილობის გრაფიკულად მსგავსი სიტყვები. ასეთი შეცდომა მით უფრო მოსალოდნელი იყო, თუ ეს სიტყვები ქარაგმით იყო დაწერილი.

E-ში შეცვლილია სხვა ნუსხათა სიტყვათა რიგი:

რადთა უჩუენო კაცთა თავი შენი (~ თავი შენი კაცთა E) T 119,4.

და საკუთართაცა თანა მონათა ღმრთისათა (~ მონათა ღმრთისათა თანა E) აღირაცხა T 99,13.

გადამწერი ზოგჯერ სიტყვებს ზემოდან წააწერს გადაადგილების აღმნიშვნელ ასოებს - თავის ნაწერს ასწორებს იმ ნუსხის მიხედვით, საიდანაც იწერს.

ვ) A 169 (ლიტერით F). ხელნაწერი 1745 წლით არის დათარიღებული, შეიცავს 425 ფურცელს, ქალაქი გაყვითლებულია და ლაქიანია, აქვს ყავისფერი ტყავით გადაკრული ტვიფრული ხის ყდა. ხელნაწერი ახლად არის რესტავირებული. ნაწერია ნუსხურით, ორ სვეტად, სათაურები სინგურით. ერთი ფურცელი დაუწერელია, დატოვებულია ცარიელი ადგილები ნაკლული ტექსტის შესავსებად, რაზეც მიუთითებს გადამწერის მინაწერები. ზუსტად ეს ადგილებია ნაკლული A 168 ხელნაწერშიც, რაც მიუთითებს, რომ იგი A 169 ხელნაწერის გადამწერს დედნად გამოუყენებია, შედგენილობითაც ზუსტად მისდევს A 168-ს. ხელნაწერის დამკვეთია ენისელთ მოურავის ძე ნეკრესელ მიტროპოლიტი იოანე, გადამწერები იოანე და თომა.⁵³

ზოსიმეს თხზულებას უჭირავს ხელნაწერის შემდეგი გვერდები: 16r, 37r-58r, 68v-70v. F ნუსხაში სხვა ნუსხების ზოგიერთი სიტყვა შეცვლილია გრაფიკულად მსგავსი სიტყვებით - დაშვებულია შეცდომა: ...სადა-იგი არღარა იყენენ შოთონი და ამბოხნი (ამბორნი F) მის ქალაქისანი T 186,8.

ვად მე, უზადრუკსა, რამეთუ მეგულების (მეგობრის F) სიკუდილი T 14,21.

შეკვანდა სიყარულსა და მშუდობასა (დამშუდებასა F) T 82,4.

ჩანს, ამ წინადადებაში გადამწერმა ორი სიტყვა ერთ სიტყვად აღიქვა.

შენაცვლებული ჩანს სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები:

გულსმოდგინებასა ხედავს ღმერთი ჩუენსა და მას ზედა განგუყფოს (მოგუანიჭებს F) მადლოთაცა და ნიჭთა T 98,13.

რამეთუ რომელთაცა იცნან (იცან F) უძღურებაჲ თუხი T 35,1.

F-ში ზევრია სიტყვათა გამოტოვების შემთხვევა:

დაეჩუევის იგი კეთილად (om F) ქმნასა T 93,4.

ცოდ იქმნა და ამაღლ (om F) ყოველივე მოსწრაფებაჲ T 97,9.

გადამწერს გამორჩენია ერთსა და იმავე სიტყვებს („გინა“) შორის მოთავსებული სიტყვა „განრისხებული“:

იტჯრთავს ძმასა ვისმე გინა განრისხებულსა (om F), გინა შეწუხებულსა T 117,7.

ხ) ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ის შემთხვევები, რომლებითაც რომელიმე ერთი ნუსხა განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან. ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე ცვლილება - განსხვავებული წაკითხვა, სიტყვათა კლება ან მატება, შეცდომაც კი ორი ან მეტი ნუსხისათვის არის დამახასიათებელი. ასეთი შემთხვევები ამ ნუსხათათვის გვაგარაუდებინებს საერთო წყაროს:

AB: ჩუენ არცა თუ ერთისა კდემულეზისა სიტყუასა თავსვიდებთ T 46,6.

CDEF ნუსხებშია „ერთსა“, სწორედ ამ ფორმას უკერს მხარს კონტექსტი: გადამწერმა აღნიშნული მსაზღვრელი ბრუნვაში შეუთანხმა არა „სიტყუასა“, რომელსაც იგი კონტექსტით ეკუთვნის, არამედ მასთან ახლო მდგომ სიტყვას: „კდემულეზისა“.

AC: ვითარ იწყო ბრალობად თავისა თუსისა (om AC) და იტყოდა T 37,6.

AE: ხოლო უკუე კუალად (ყოვლად AE) ჯერ-არს შეწუხებაჲ T 64,1.

სხვა ნუსხებთან ხშირად F დგას:

BF: გულისსიტყუათა ვკერავთ და ვწმასნით ვითარცა განლიგებულნი და განცოფებულნი (განცუბრებულნი BF) T 25,17.

შემდგომად რაოდენთამე ჟამთა (დღეთა BF) შემემთხუა მე იგი კესარიას T 113,1.

„დღეთა“ არ მართლდება ბერძნული წყაროთი, იქ იკითხება $\kappa\alpha\iota\rho\omicron\nu$ 1692. C.

გრაფიკული საფუძველი უნდა ჰქონდეს BF-ის განსხვავებულ წაკითხვას შემდეგ მაგალითებში:

და დაიყოვნა მუნ მყოვარ (და იყო მუნ მრავალ BF) ჟამ T 172,6.

აჩუნა... ნებაჲ წადილისა კეთილიცა და სრული და (სრულიადი BF) და ფრიადცა დიდი და მალალი T 181,6.

სხვა ნუსხებთან შედარებით BF-ს აკლია ან მეტი აქვს სიტყვა: ნაცვალსახელი (ნაწევრის, ნაწილაკის, განსაზღვრების ფუნქციით), ზმნიზედა, კავშირი:

მოვიდეს რაჲ ტკბილი ღგი (om BF) და წრფელი T 189,9.

განვედ გარე (om BF), ჰინდოო შავო T 37,5.

წინაწარმეტყუელთა ზედა ჩემთა (add შორის BF) ნუ უკეთურობთ T 104,22.

სიგლახაკესა უჯმს მიცემაჲ თავისაჲ (add თჯისაჲ BF) T 190,20.

CF: არა ვიტყუ პელაგონსა მას და ზღუასა ბოროტთა ჩუენთასა (ჩემთასა CF) T 32,3.

შდრ. ბერძნ.: ...το πελαγιος των ημων κακων 1685, D. ბერძნული წყარო მხარს არ უჭერს CF-ის წაკითხვას. შდრ. ეფთვ.: ...სიღრმენი ბოროტთა ჩუენთან E 32,2.

...რომლისაგანაც ვინ (om CF) ძლეულ არნ T 52,6.

მოუძღურდების ვნებაჲ იგი სიძვისაჲ (add და CF) T 140,14.

DF: სიმშუდემან და სიტკბოებამან სულისამან იხილეთ-და, თუ რაჲ შეუძლო ყოფად მოწყალებათა (მწყობრთა DF) თანა ღმრთისასა T 137,5.

შეინანეს მათ და თქუეს ურთიერთას: ჭემმარიტად (ვითარმედ DF) ესე კაცი არს ღმრთისაჲ T 124,5.

ბერძნულშია: Αληθιας (ჭემმარიტად) 1693, D.

სული ესე (om DF) უბადრუკი... იგნობს... T 74,7.

DF-ს სხვა ნუსხათაგან განასხვავებს ერთნაირი გრამატიკული ფორმებიც:

ვინ ამისთჯს ჰბრძავს ვისცა (ვისაცა DF) T 2,5.

აღმტკივდა (აღმტკიოდა DF) ოდესმე თუალი ჩემი T 116,1.

DE: მისცა ერთი დრაჰკანნი და აკლდა (და დააკლდა DE) ჯერეთ საფასოსა A 66v;

და მისთვის აღწერილია იგი (om DE) თხრობა გუაუწყებს T 99,15.

CE: გრაფიკული საფუძველი უნდა ჰქონდეს CE ნუსხების განსხვავებულ იკითხვისებს:

მუშაკთა იმიზდებნ (იმზადებნ CE) T 191,20.

ეტყობა, გადამწერთ აღარ ესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა. D-ს გადამწერს ჯერ დაუწერია „განჰმზადებნ“, შემდეგ „განჰ“ წაუშლია.

მსგავს იყო შენ ძუნსა (ძუნსა CE) რკინისასა T 49,10.

CE ნუსხებშიც ხშირია სიტყვათა კლებისა და მატების შემთხვევები:

გამოგიყვანო შენ ამიერ (om CE) საპყრობილით T 177,11.

და გამოვისახე სასწაული პატიოსნისა (om CE) ჯუარისაგ T 116,3.

რამეთუ იყო იგი მეცნიერ მათდა და საცნაურ (add მათდა CE) სათნოებისათჳს მისისა T 178,3.

EF ნუსხები იშვიათად არიან ერთად:

იძულებით ლოცვაგ და (om EF) ჭირით და მოთმინებაგ შობს წმიდად ლოცვასა T 91,2.

მოვიდა ჩუეულებისაებრ და მომეხზა (add მე EF) და იწყო ამბორის-ყოფად ჩემდა T 119,3.

იშვიათად სამი ნუსხა დგას ერთმანეთთან, მივუთითებთ ზოგიერთ მაგალითს:

BCF: აკლია მთელი წინადადებები და სიტყვები:

აჰა, ესერა ვხედავთ ჯუარსა ქრისტესსა და წმიდათა ვნებათა მისთა აღმოვიკითხავთ (om BCF) დღითი-დღე T 46,1.

და მისგა მას, რაოდენ ძალ-ედევა ხოლო ვინაეფთჳნ არა ეგოდენი მიეცა (om BCF) რაოდენსა ეძიებდა T 48,4.

ხაზგასმული წინადადებები ამ ნუსხებში არ იკითხება. გვხვდება სიტყვათა მატებისა და შეცვლის შემთხვევები:

ჯელ-ყო საულ მოკლვაგ ნეტარისა დავითისი (add და BCF) რაგ არა უყო T 107,5.

არნ ოდესმე, რომელ არცა ერთისა რაჟ მიზეზისა მიერ აღშოთონის კაცი; კულაად (არამედ BCF) არნ ოდესმე... T 147,8.

BDF: არა უტევა (აუფლა BDF) კაცსა ვნებად T 104,18.

მისცემენ მას სატანებრსა მას ჯელოვნებასა (გესლოვნებასა BDF) და არლარა უჯმს... T 76,6.

C-ს ეს ადგილი აკლია, არც ბერძნულშია შესატყვისი. შდრ. ეფთვიმეს თარგმანი:

ასწავებნ მას ჯელოვნებასა მას საეშმაკოსა E 76,5.

შეცვლილია ბრუნვა, დამატებულია სიტყვები, შეცვლილია რიგი: მაშინ განაღო ზანდუკი (ზანდუკები BDF) იგი თჳსი T 60,1.

მონაგებსა ჩუენსა ყოველსავე (ყოველივე BDF), რაჟცა გუაქუს, ჯორცნი ჩუენნი უმჯობეს არიან T 4,6.

თხზავს გულისსიტყუათა (add საეშმაკოთა BDF) T 74,13.

BEF: კეთილად უკუე თქუა ვინმე ბრძენთაგანმან (ბერთაგანმან BEF) T 52,2.

ბერძნ.: τὸν τοῖτον 1689. B, შდრ. ეფთვიმეს თარგმანი: ...ბერმან E 52,1.

და რამეთუ ვითარცა-იგი ცუდად და მაჯანად (ურგებად BEF) არა ჯერ-არს დაბნევაჟ საჯმართაჟ T 4,6.

აჟ სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებია შენაცვლებული. D-ში ორივე დასტურდება: „ურგებად და მაჯანად“.

აკლია მთელი წინადადება, გამორჩენილია ორ ერთსა და იმავე სიტყვას შორის მოთავსებული ადგილი:

უკუეთუ არა ვითარ წეს გუეყუს ჩუეულება, რომელ შიშისათჳს ზღჳსა ანუ (om BEF) შიშისათჳს ბარბაროზთაჟსა ანუ... ყოველსავე შეურაცხ-ვჳყოფთ T 53,14.

სხვა ნუსხები შედარებით იშვიათად უდგანან ერთმანეთს გვერდში:

CDE: დასძინებს ძალსა და (om CDE) დაჰმატებს T 90,7.

რამეთუ ვერ დაეკრძალა ეგჟ (om CDE) წუთთა მმასა მას T 171,8.

CDF: ვერ წარემართოს იგი ვერცა დიდად და (om CDF) ვერცა მცირედ T47,9.

და იტყოდა (add იგი CDF) მისთვის T48,8.

CEF: აწ უკუე ვითარცა-იგი ყოველნი (შნი CEF) ჰქმენ T 161,1.

და ვითარცა (om CEF) სხუად ყოველივე მივეც დავიწყებასა T 161,6.

„ვითარცა“ არც B-ში დასტურდება.

DEF: და მისთვის აღწერილიცა იგი თხრობაჲ (ცხოვრებაჲ DEF) გუაუწყებს T 99,15.

იგი არცა (add სხუასა DEF) კაცსა ავნებს T 68,19.

„სხუასა“ B-ში ჩამატებულია.

ჰმადლობდა და (add რამეთუ DEF) შექმნილ ხარ მოციქულთა მოწაფედ T 72,7.

„სწავლაჲს“ თეოფილესეული თარგმანის შემცველი ხელნაწერების ურთიერთშეჯერებით გამოვლინდა, რომ ნუსხები ხშირად ერთმანეთთან დგანან. გვიანდელი - BCDEF ნუსხები უმეტეს შემთხვევაში ერთნაირად სხვაობენ ადრინდელი (XI ს.) - A 1105 ნუსხისაგან. ისინი ზოგჯერ ერთმანეთის შეცდომასაც იმეორებენ, რაც მოწმობს მათ მომდინარეობას ერთი და იმავე წყაროდან.

თავი მესამე
„სწავლაჲს“ ქართული თარგმანების მიმართება
ბერძნულ ტექსტთან

I ქართული თარგმანების ტექსტობრივი მიმართება
ბერძნულ წყაროსთან

„სწავლაჲს“ ქართული თარგმანების ბერძნულ წყაროსთან შედარებით გამოვლინდა ქართველი მთარგმნელების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება დედნისადმი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეფთვიმეს მიერ ბერძნულიდან თარგმნილი ბევრი ძეგლის მაგალითზე გარკვეულია ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებანი. ეფთვიმე ითვლება ისეთ მთარგმნელად, რომლისთვისაც, ეფრემ მცირის თქმით, დამახასიათებელია „შემატებაჲცა და დაკლებაჲცა“. როგორც აღნიშნავს კ.კეკელიძე, „იშვიათია ისეთი თხზულება, რომელიც ექვთიმეს გადმოეღოს იმ სახით, რა სახითაც ის მოცემულია დედანში, უმეტეს შემთხვევაში ის იძლეოდა სრულიად ახალ რედაქციას ამ თხზულებისას“.⁵⁴ „ეფთვიმეს ამგვარი მთარგმნელობითი სტილი დაფუძნებული იყო მაშინდელი საზოგადოების ძველ ლიტერატურულ ტრადიციებზე, რომლებიც სწორედ ამგვარ მთარგმნელობით მეთოდს უჭერდა მხარს“.⁵⁵ ამ ორიგინალური მეთოდით თარგმნა ეფთვიმემ ბერძნული ენიდან ბევრი თხზულება, რომელთა ნაწილი შესწავლილი და გამოცემულია. ეფთვიმეს მთარგმნელობითი ხერხები სხვადასხვა ძეგლის მაგალითზე შესწავლილი აქვთ კ.კეკელიძეს, რ.მიმინოშვილს, ც.ქურციკიძეს, ნ.მელიქიშვილს, მზ.ბეზარაშვილს, მ.მაჭავარიანს, თ.ოთხმეჯურს...⁵⁶

ეფთვიმეს ეს თავისუფლება, მის მიერ ქართულ თარგმანში შეტანილი ცვლილებები, მატება თუ კლება არ იწვევდა დედნის და-

მახინჯებას. „მთავარი, არსებითი მხარე დედნისა, როგორც იდეური, ისე მხატვრული, თარგმანში გადმოდიოდა“.⁵⁷

თეოფილე ხუცესმონაზონი მოზიარე და გამგრძელებელია თავისი აღმზრდელისა და მოძღვრის - გიორგი მთაწმიდლის მთარგმნელობითი მეთოდისა (ივ.ლოლაშვილი). თეოფილეს მთარგმნელობითი მეთოდის დასახასიათებლად შესანიშნავ ცნობებს გვაწვდის თვით თეოფილეს ანდერძი, დართული სვიმეონ ლოლოთეტის ჰაგიოგრაფიული საკითხავების - სექტემბრის თვის მეტაფრასების მისეულ თარგმანზე.⁵⁸ ამ ანდერძიდან ირკვევა, რომ თეოფილე ბერძნულიდან თარგმნიდა სიტყვა-სიტყვით, ზუსტად. „მე თავით ჩემით არარაგ დამიწერია, არცა რაგ ჩამირთავს და არცა დამიკლია... არამედ... ვითარცა მიპოვნია წიგნთა შინა მართალთა და ფრიადცა წარჩინებულთა, ესრეთვე ქართულად დამიწერია“ - წერს თეოფილე და აფრთხილებს მკითხველებს, რომ თუ ვინმე გადაწერს თეოფილეს თარგმანიდან, „ვითა აქა პოოს, ეგრეთ წერდინ შეუცვალელებლად... ნუცა სიტყუასა სცვალეზნ, ნუცა თავსა, ნუცა წერტილსა“. თეოფილე ეკუთვნის იმ მთარგმნელთა რიცხვს, რომლებიც საერთოდ ნაკლებად ცვლიან დედანს და მის ძლიერ გავლენასაც განიცდიან.⁵⁹ თეოფილეს ზემოთ დამოწმებული ანდერძიდან ისიც ჩანს, რომ, მართალია, თეოფილე ზუსტად თარგმნიდა ბერძნულიდან, მაგრამ მონურად, ბრმად არ მიჰყვებოდა მას. ამავე დროს, რამდენადაც შეეძლო და რამდენადაც „ქართული ენაგ თავს იდებდა“, ითვალისწინებდა მშობლიური ენის ბუნებასაც.⁶⁰ უცხო ტექსტის თარგმნისას მისთვისაც არ იყო უცხო „შემატება-კლების“ მეთოდის გამოყენება, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვაობა დედანსა და თარგმანებს შორის უმნიშვნელოა. განსხვავებანი თხზულებას შინაარსს ან მიზანდასახულებას კი არ უცვლიან, არამედ ამა თუ იმ ეპიზოდის მხატვრულად გადმოცემას ემსახურებიან.⁶¹

ზოსიმეს „სწავლაჯს“ ქართული თარგმანები ნათლად წარმოაჩენენ ეფთვიმე მთაწმიდლისა და თეოფილე ხუცესმონაზვნის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებებს.

1. ორივე თარგმანში გვხვდება PG-ში დაბეჭდილი ბერძნული ტექსტისაგან ერთნაირად განსხვავებული ადგილები, დაკლებულია ან შეცვლილია ერთი და იგივე სიტყვა ან ფრაზა.

ა) ქართულ თარგმანებში ბერძნულ წყაროსთან შედარებით მეტი ცალკეული სიტყვები-მსაზღვრელები, გარემოებები, მიმართვა:

ერთსა უკუე დღესა ვიხილე, ვითარ ეპყრა მას წმიდაჲ ბარძიმი E 159,1

ვხედვედ უკუე დღესა ერთსა, რამეთუ ეტურთა წმიდაჲ ბარძიმი T 159,1

Βλεπω ουν αυτον κατεχοντα ποτηριον 1697. B.

ქეშმარიტად მიდრეკილ ვართ გზისა მისგან წრფელისა E 46,6

ქეშმარიტად მიდრეკილ ვართ გზისა მისგან წრფელისა და საღმრთოებსა T 46,7.

Εξετραπημεν της ευθειας οδου 1689, A.

ვფუცავ ჯუარსა შენსა, ქრისტე E 82,13.

ძალმან ჯუარისა შენისამან, ქრისტე T 82,13

Μα τον τιμιον σταυρον 1689, D.

არც ერთი ხაზგასმული სიტყვა ქართული თარგმანებისა ბერძნულ რედაქციაში არ დასტურდება. ორივე თარგმანში ბერძნულთან შედარებით მეტი ჩანს დამოკიდებული წინადადება, რომლითაც დაზუსტებულია შინაარსი მთელი რთული ქვეწყობილი წინადადებისა:

ვერ ძალ-მიც დაგებად მისდა, რამეთუ ვფუცე ჯუარსა, რადეთა არა დავევლ E 82,9.

ვერ ძალ-მიც დაგებად... რამეთუ ვფუცე ჯუარსა ქრისტესსა, რადეთა არღარა დავევლ მას უკუე T 82,9.

Ου δυναμαι διαλλαγειν αυτω οτι αμοισα εις τον σταυρον 1689, D.

ბერძნულ ტექსტში არ ჩანს, რა შეჰფიცეს ჯვარს.

მეტი ჩანს ერთი და იმავე ინფორმაციის შემცველი სხვადასხვა წინადადება:

რამეთუ სნეულსაცა არა სწადინ... სუმად წამალთა მათ მწარეთაჲ, არამედ ესენებადცა მათი აღუშლინ გულსა გარნა განთავისუფლუ-

ბისათჳს სენთაგან მისცის თავი თჳსი კელთა მკურნალისათა E 24,4-5.

და რამეთუ არცაღათუ სნეულსა ეჳამების... არცაღა სუმაჲ მწარესა მას სასუმელსა სანავდლოსა, არამედ უფროდსღა მოეგსენოს რაჲ გული ეხეზვის. გარნა... ამისთჳსცა მისცემს თავსა კელთა მკურნალისათა T 23,4-6.

Ουδεν γαρ ο νοσων ηδεια... η λαβειν καθαρισον... εκδιδωσιν εαυτον τω ιατρο 1685.4.

ქართული თარგმანების ამ წინადადებათა შესატყვისი დაუცავს სომხურ პატერიკს (სომხური პატერიკის შესაბამის ადგილს იმოწმებს ილ.აზულაძე „ზეზვა“ სიტყვის მნიშვნელობაზე მსჯელობისას).⁶² სომხური და ქართული პატერიკების ურთიერთმიმართების საკითხისათვის ამ ფაქტსაც გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს: ილ.აზულაძე სომხურ „მამათა ცხოვრებაში“ ქართულის კვალს ხედავდა.⁶³

...ესემცა არა გუეჳმნა, გარნა შენდობა ყავ E 135,6.

...ამას არა ვიეჳმოდეთ, არამედ მცნებისათჳს უფლისა შეგჳნდვე ჩუენ ძმათ T 135,9-11.

Ουκ αν εποισυμεν ταυτα· Παλιν εκεινος სჳრიჯე 1696, B.

კონკრეტული შინაარსის შემცველი სიტყვები ან ფრაზები მეტია ქართული თარგმანების შემდეგ მაგალითებში:

ხოლო მას, ესმნეს რაჲ სიტყუანი მისნი, რეცა აღიძრა გული მისი E 14,8.

რომელსა ესმა რაჲ შერისხვაჲ იგი ძმისაჲ, აღიძრა გულისწყრომად T 14,10.

...Οστις ακουσας φησι· Παρεκινηθη ας επι αγαθω 1684, A.

ვითარცა მოწაფემან მშჳდისა მის და მდაბლისამან მიეც განწყნებული იგი და წარვლე E 80,14.

ვითარცა მოწაფემან მშჳდისა მის და მდაბლისა ქრისტესმან მიეც ზუერი მათი და ბეგარი და წარვლე მშჳდობით T 80,14.

Ουκουσ ως μαθητης του πραου και ταπεινου δος, και παρελθωμεν μετ ειρηνης 1689, C.

ამ უკანასკნელ მაგალითში ეფთვიემეს თარგმანში ბერძნულ ტექსტთან შედარებით მეტია ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა „განწესებულნი“, რომლის შესაბამისად თეოფილესეულ თარგმანში გვაქვს კონკრეტული მნიშვნელობის ორი სინონიმური სიტყვა: „ზუუერი“ და „ზეგარი“.

საერთოდ ქართული თარგმანების იმ ადგილებში, რომლებიც ბერძნულ წყაროსთან შედარებით მეტია, შინაარსი უფრო ზუსტად, კონკრეტულად არის გადმოცემული.

ბ) ორივე თარგმანში ბერძნულთან შედარებით აკლია ერთი და იგივე მსაზღვრელი სიტყვა, ზმნიზედა, მიმართვა:

უწყει, ძმაო E 150,1.

იგი, ძმაო, და მეცნიერ ხარ T 150,1.

Οιδας, αδελφε μου (=ჩემო) 1696, D.

აჯსოსა ღმრთისმოყუარებასა შენსა..? E 114,6.

აჯსოვსა ღმრთისმოყუარებასა შენსა..? T 114,6.

μεμνηται η Θεοφιλια σου, πατερ (=მამაო)... 1692, D.

და მრჯუა მე E 130,3.

და მან მრჯუა მე T 130,4.

λεγει μοι εσμεως (=მეყსეულად) 1696, A.

ბერძნული ტექსტის ოთხი ერთგვარი წევრიდან ქართულ თარგმანებში გადმოღებულია მხოლოდ ორი:

წიგნები ამისთვის მოვიგებთ, რადგან ვისწაოთ მათგან სიმდაბლე და სიმშუდე E 150,4.

წიგნთა ამისთვის მოვიგებთ, რადგან ვისწაოთ მათგან შეყუარებად სიმდაბლე და სიმშუდე T 150,6.

...δια τουτο κτωμεθα βιβλια, ινα μαθωμεν εξ αυτων αγαπιη, ταπεινωσιν, πραοτητα. ειρηνην 1696, D.

გ) ქართულ თარგმანებში გვხვდება ბერძნულთან შედარებით ერთნაირად შეცვლილი ადგილები. ასეთ შემთხვევაში არ იცვლება

ბერძნულში გადმოცემული შინაარსი - შევვლას უფრო სტილისტური ხასიათი აქვს.

ბერძნულთან შედარებით ქართულ თარგმანებში დაკონკრეტებულია შინაარსი:

და იწყო შემუსრვად შხალეზისა მის E 7,3.

და იწყო შემუსრვად შხლისა T 7,3.

Kai ηρξατο σιντριβειν αυτα 1681, B.

რადგა უყვეს უმეტესი ეშმაკთა ესვეითარსა მას სულსა, ვითარ იგი ავნებს თავსა თჳსსა? E 45,8.

რად ავნოს მეტი ეშმაკმან სულსა, როოდენ იგი თჳთ ავნებს თავსა თჳსსა? T 45,9.

Τι πλεονδυναται ποιησαι δαιμον τη τοι αυτη ψυχη οιον ποιει αυτη εα στην 1688, D.

ბერძნულში საერთოდ არ არის „ავნებს“ ზმნის შესატყვისი, ΠΟΙΕΙ ნიშნავს „ქმნის“, „აკეთებს“.

ბერძნული ტექსტის ორი, ერთი და იმავე ზმნიდან ქართულ თარგმანებში შესატყვისი აქვს ერთს:

შეუჟუღეგოცეესა ვითარცა მათ ბრძენსა მას? და მრქუა მე: ნუ ყოს ღმერთმან! რამეთუ არცა მენება მე ესე E 130,2-5.

შეგოცეესა ავაზაკთა მათ, ვითარცა ბერსა მას შეუქციეს? და მან მრქუა მე: ნუ ყოს ღმერთმან! და რამეთუ... არცადა მენება იგი T 130,3-7.

ხაზგასმულ ნაცვალსახელებში იგულისხმება წინა კონტექსტის „შექცევაჲ“ (ლაპარაკია მპარავთა მიერ წაღებული ნივთების დაბრუნებაზე). ბერძნულშია:

υπεστρεψαν ως και οι επι τω γερωντι; λεγει μοι εσθεως... ου γαρ τουτο ημελον ινα υποστρεψωσι 1696, A.

ბერძნული ტექსტის ერთ მონაკვეთში ოთხჯერ არის გამოყენებული ერთი და იგივე ზმნა φελω, ქართულ თარგმანებში მას ენაცვლება. სინონიმური მნიშვნელობის ზმნები. ეფთვიძეს თარგმანში - ორჯერ, თეოფილესთან - ერთხელ:

არა გუჯმს შენ მიერ კურნებად, არა მეტმარებთან ჩუენ წამალნი შენნი, არამედ წყლოულებათა შინა ჩუენთა გუნებავს დალჳობად და მორჩილ ეშმაკთა ყოფად E22,4-9.

არა მნებავს განკურნებად შენგან, არა მიჯმს წამალი შენი, დალჳობად მნებავს წყლოულებათა შინა ჩემთა, მორჩილებად მნებავს ეშმაკისად და არა შენი T 22,5-9.

Ου φελω ιαθῆναι σπο σου. ου φελω διξασθαι τα φαρμακα σου· σαπιη αι φελω εν

τοις τραυμασι μου σπηκοος φελω γενεσθαι των δαιμονων ουκ τον Κυριον 1684, D.

ქართულ თარგმანებში ბერძნულისაგან დაშორების ერთნაირი შემთხვევებია შემდეგ მაგალითებში:

შემინდე, მამაო, ღმრთისათჳს ET 114,3.

Συχαρησον... αββα δια τον κυριον (=უფლისათჳს) 1692.

ესოდენი მაღლი მოსცა E 16.

ესოდენი მაღლი მისცა T 15.

Μεγαλην (=დიდი) χαριν παρεσχη 1681, A.

ქართულ თარგმანებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი ბერძნულის შემდეგი ადგილი:

Ελεγε παλιν ο μακαριος, οτι οντος μου εν μοναστηριω εν Τυρω προ του εξελθειν με... 1693. C.

ნაცვალსახელი მთ ქართულ თარგმანებში ერთნაირად გაგებულა მსაზღვრელად, რომელიც უკავშირდება მომდევნო სიტყვას - „მონასტერს“. ბერძნულში იგი უკავშირდება οντος ფორმას, εμου („ვარ“) ზმნის მიმღეობის გენეტივს, რომლის შესატყვისი ქართულში არის „ვიყავ რად“:

და იტყოდა, ვითარმედ: ვიყავ რად მონასტერსა ჩემსა კჳროს პირველ გამოსღვისა ჩემისა... E 122,2.

იტყოდა კუალად ნეტარი იგი, ვითარმედ: ვიყავ რად მონასტერსა ჩემსა წუთლა კჳროსს, პირველ გამოსლვადმდე ჩემდა... T 122,2.

ეს სავსებით ერთი და იგივე გადახვევები ბერძნულისაგან ქართულ თარგმანებში გვაფიქრებინებს, რომ თეოფილე იცნობდა ეფთვიმეს რედაქციას და ზოგ რამეს ამის მიხედვითაც ცვლიდა თავის თარგმანში. ნაკლებ საფიქრებელია, რომ ორივე მთარგმნელს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ასეთი, სავსებით ერთნაირი ცვლილებანი შეეტანათ თავის თარგმანში. საერთოდ კი უნდა ვიფიქროთ, რომ მათ ხელთ ჰქონდათ PG-ში გამოცემული რედაქციისაგან განსხვავებული ვარიანტი. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ზოგიერთი სხვა სახის განსხვავების არსებობა ქართულ თარგმანებში.

ქართულ თარგმანებში ზოგჯერ უფრო ხატოვნად არის გადმოცემული შინაარსი: ქურდობისთვის შეპყრობილი, დილეგში მყოფი ბერი ეუბნება მასთან სანახავად მისულ მეორე ბერს (რომლის ნივთებიც მოიპარა მან):

Δια σε ειμι ωδνε, αββα. 1700, B – შენთვის ვარ აქა, მამაო.

ქართულ თარგმანებში ვკითხულობთ:

შენთვის შეწყუ აეულ ვარ აქა, მამაო E 146,6.

შენთვის ვზი, მამაო, საპყრობილესა ამას შინა T 146,8.

ერთი და იგივე შინაარსი სხვადასხვაგვარად არის გადმოცემული სამივე ტექსტში - ბერძნულისა და ქართული თარგმანების პარალელურ ადგილებში:

გუდირს უკუე მადლობაჲ ძმისაჲ მის, რომლისა მიერ უძღუორებაჲ და სენი ჩუენი ვიცანთ E 21,9.

ამისთვის უმეტესად-ღა თანა-გაც მადლსა აღსარებად ძმისა, რამეთუ მის მიერ სცან სენი შენი T 21,8.

Και οφειλεις χαριν τω αδελφω οτι δι αυτου εγωας την οδον της νοσου σου 1684, D.

ამისთვის გვედრები, რათა ჰრქუა მას სიტყუაჲ კეთილი და დაარწმუნო დაგებად E .81,7.

გარნა გვედრები შენ, მამაო, მოუწოდე მას და ვყოთ სიყუარული T 81,7.

...αλλα παρακληθητι και λαλησον αυτω 1682. D.

ბერძნული ტექსტისაგან ამ საერთო განსხვავებათა გარდა საინტერესოა ბერძნულისაგან დაშორების ისეთი შემთხვევები, რომლებიც მხოლოდ ერთ-ერთი ქართული თარგმანისათვის არის დამახასიათებელი.

ქართული რედაქციების შედარებამ ბერძნულთან გამოავლინა რამდენიმე ადგილი, რომლებიც მეტი, დაკლებული ან შეცვლილია ერთ რომელიმე თარგმანში. დასტურდება შემთხვევები, როცა ეფთვიმე შორდება ბერძნულ წყაროს, თეოფილე მიჰყვება და პირიქით - თეოფილე შორდება ბერძნულს, ეფთვიმე - მისდევს.

ქვემოთ ასეთ შემთხვევებზე გვექნება საუბარი.

2. „სწავლაჲს“ ქართული თარგმანების ბერძნულ ტექსტთან შედარებით გამოვლინდა ბევრი შემთხვევა, როცა ეფთვიმეს თარგმანი შორდება ბერძნულს, თეოფილე მიჰყვება მას.

ა) შედარებით მეტია ისეთი შემთხვევები, როცა ეფთვიმე ცვლის ბერძნულ წყაროს, ზოგჯერ ნათელია ამ შეცვლის საფუძველი, მიზანი. ბერძნულ წყაროსა და თეოფილეს თარგმანთან შედარებით ეფთვიმესთან დაზუსტებულია, დაკონკრეტებულია შინაარსი: ნაცვალსახელი შეცვლილია მასში ნაგულისხმევი არსებითი სახელით:

მაგათ სიტყუათა იტყუ E 119,9.

ამას იტყუ T 119,11.

ταυτα λεγεις 1693. B.

წარილო წიგნი იგი E 148,9.

წარიხუნა იგინი T 148,9.

ελλαβεν αυτα: 1696. Δ.

მართალია, ეფთვიმეს თარგმანში წინა კონტექსტში ნახმარია ეს სახელები (სიტყუა, წიგნი), მაგრამ საკმაოდ დაშორებულია ამ ფრაზათაგან. ამდენად მათი გამეორება ეფთვიმეს მიერ ბუნებრივი ჩანს.

ეფთვიმეს თარგმანში ბერძნული წყაროს შეცვლის მიზანი გამეორების თავიდან აცილებათა:

ერთ-ერთ თხრობაში ლაპარაკია ბერზე, რომელიც ქურდობის გამო დააპატიმრეს. ბერძნულ ტექსტში η φυλακή (=დილეგი, საპყრობილე) შვიდჯერ არის გამოყენებული. ეფთვიმეს თარგმანში სამჯერ ნახმარია „დილეგი“, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში მას ცვლის ზმნიზედები „აქა“, „ამედ“ (E 175-177), თეოფილე შვიდივეჯერ იყენებს „საპყრობილეს“ (T 175-177).

ეფთვიმესეულ თარგმანში აზრი უფრო ხატოვნად არის გამოცემული, ვიდრე ბერძნულსა და თეოფილეს თარგმანში:

ვინ მოატყუა წმიდათა მოწამეთა გურგუნი დიდებისაჲ, გარნა მკლველთა მათთა? E 26,10.

ვინ მოატყუა წმიდათა მოწამეთა დიდებაჲ და გურგუნი, თჳნიერ მათთა მათ განმკითხველთა? T 26,10.

ბერძნულში ხაზგასმული სიტყვების შესაბამისად იკითხება ἀδικήσαντες 1685, B (= უსამართლობის ჩამდენი, ვნების მიმყენებელი). ცხადია, „მკლველნი“ მეტის მომცველია თავისი მნიშვნელობით, ვიდრე „განმკითხველნი“.

ვედრა, ვიდრელა გამოიყვანა იგი მიერ, რამეთუ ყოველნი პატივსკემდენ მას სათნოებისა მისთჳს მისისა და ისმენდეს მისსა E 178,1-5.

ვედრა დიდებულთაგანთა ვიეთმე, რამეთუ იყო იგი მეცნიერ მათდა და საცნაურ სათნოებისათჳს მისისა T 178,1-4.

παρεκαλεσε τινας των μεγαλων ην γαρ γωστος αυτοις δια την αρετην αυτου· 1700, B.

ბერძნულში და შესაბამისად თეოფილეს თარგმანშიც ზოგადად ნათქვამია, რომ დიდებულები იცნობდნენ ბერს როგორც სათნოს, ხოლო ეფთვიმესთან ხაზგასმულია, გამოკვეთილია, რომ ყველა პატივს სკემდა და უსმენდა მას სათნოებისათვის.

წარიპარა წიგნები მისი E 170,4.

წარიღო ყოველივე ჭურჭელი მისი T 170,4.

ελαβη τα σκευη αυτου 1697. D.

აქაც ცხადია, ქურდის მოქმედებას ეფთვიმესეული „წარიპარა“ უფრო შეესაბამება, ვიდრე ბერძნულის შესატყვისი „წარილო“.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ეფთვიმეს თარგმანის შემდეგ ადგილებზე:

სნეულსაცა არა სწადინ დაჭრად ჯორცთა მისთაჲ E 24,1.

არცალათუ სნეულსა ეკამების დაწუვად და დაჭრად ასოთა თჳსთაჲ T 24,1.

οὐδὲ γὰρ ο νοσῶν ἠδεναι εχει του τεμεισθαι... 1685, A.

ბერძნული ტექსტის ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობაა „არ სიამოვნებს“. ეფთვიმესთან შინაარსით შედარებით ნაკლებად დატვირთული სიტყვა გვაქვს: „არ სურს“, „არ სწადია“. ამ თხრობაში ლაპარაკია იმაზე, რომ სნეულს არ სიამოვნებს სხეულის დაჭრა, მწარე წამლის სმა, მაგრამ მაინც ემორჩილება მკურნალს. ცხადია, ბერძნული და თეოფილეს თარგმანი უფრო ემოციურად გადმოსცემენ შინაარსს.

ასევეა შემდეგ მაგალითში:

ესრეთ დავარწმუნე მას, რადთა ყოვლადვე არარად ჰრქუას ძმასა მას E 150,9.

და ვარწმუნე მწერალსა მასცა, რადთა ყოვლადვე არა აჭირვოს ძმასა მას T 150,9.

επιησα μη παντελας οχληθηναι τον αδελφον. 1697, A.

ბერძნულში გამოყოფილი სიტყვის მნიშვნელობაა თავის მობეზრება, შეწუხება, რომელიც ზუსტად გადმოუღია თეოფილეს, ეფთვიმესეული „არარად ჰრქუას“ ამ მნიშვნელობას ვერ გამოხატავს.

ქართული თარგმანების ბერძნულთან შედარებით გამოვლინდა ბევრი სხვა შემთხვევაც, როცა ეფთვიმე ცვლის დედანს, თეოფილე ზუსტად მიჰყვება მას.

ბ) ეფთვიმეს თარგმანში ბერძნულ წყაროსთან და თეოფილეს თარგმანთან შედარებით მეტი ჩანს ცალკეული სიტყვები - მსახლვერელები, ზმნიზედები, მიმართვები, რომლებითაც უფრო ნათლად, კონკრეტულად არის გამოხატული შინაარსი - დაკონკრეტებულია

მოქმედი, სამოქმედო, მოქმედების დრო, მიზანი და სხვ. დავიმოწმებთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს (ბერძნულ წყაროს არ ვუთითებთ: თეოფილეს თარგმანი ზუსტად მიჰყვება ბერძნულს):

ვინმეა დაარწმუნა ქრისტისა მდაბალსა E 36,2.

ვინ არწმუნოს მდაბალსა T 36,1.

იყო მრავლისა ბოროტისა სიტყუად ჩემთჳს, ვიდრელა ხენუთაცა სიტყუათამდე E 118,2

იყო სიტყუად ჩემთჳს მრავალსა, ვიდრე სიტყუადმდეცა ხენუთა და სამაგელთა სიტყუათა T 118,3.

ეფთვიმეს მიერ დამატებული მსაზღვრელი სიტყვის („ბოროტისა“) გარეშეც მომდევნო კონტექსტით აზრი ნათელია, მაგრამ ეფთვიმემ მაინც დააზუსტა შინაარსი.

დაუტევე ეგე და ვყოთ დღეს სიყუარული E 8,4

დაუტევე ეგე, რადთა მაგას ზედა ვყოთ სიყუარული T 8,4.

ამისა შემდგომად გამოვიდა ბერი და იყო ძმისა მის თანა ზრახვად E 173,1.

მოვიდა ბერი იგი მიერ და იყო სიტყუად ძმასა მას თანა T 173,1.

უკანასკნელ მაგალითში ხაზგასმული სიტყვებით ყურადღება მახვილდება დროზე: ერთმა ბერმა მეორის სენაკიდან მოიპარა ნივთები. პატრონი მივიდა ამ ბერთან ამბის სათქმელად. დაინახა, რომ მისი ნივთები სენაკში იყო მიმოხრეული - მპარავს ვერ მოესწრო მისი გადამალვა. მოსულმა არაფერი აგრძნობინა, გავიდა გარეთ, თითქოს „ჯორცთა საჭმარმან აიბულა“, რითაც ბერს მისცა საშუალება მოპარული ნივთების გადამალვისა. ეფთვიმე ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა ბერი სენაკში და სხვა რამეზე დაუწყო მას საუბარი.

ეფთვიმეს თარგმანში ბერძნულ დედანსა და თეოფილეს თარგმანთან შედარებით მეტია წინადადებები, რომლებშიც მოცემულია ერთგვარი კომენტარი, შეფასება საკითხავში გადმოცემული ამბისა.

ერთ-ერთ საკითხავში მოთხრობილია ბერზე, რომელმაც სენაკში მოსულ ქურდებს ყველაფერი გაატანა და უხაროდა კიდევ ერთვიმეს თარგმანში ერთგვარი შეფასება, კომენტარი ახლავს ბერის მოქმედებას:

...სიხარულითაცა აღივსო. ამისთვის ვიტყვოდე, ვითარმედ: უკუეთუ ვნებოს კაცსა, ესე ვითართაგან ფრიად შეიძენს E 131,5-8.

...არა თუ ქონებაჲ რადესადმე ავნებს, არამედ სიყუარული ნაქონებისა მის მიმართ და შემსჭუალვად მისდა გონებისად E 4,1-4.

...არა თუ ქონებაჲ რადესადმე ვის ავნებს, არამედ ვნებულად ქონებაჲ T 4,4.

ეფთვიმეს თარგმანში განმარტებულია, ახსნილია, კონკრეტულად რა იგულისხმება ბერძნული ტექსტის „ვნებულად ქონებაში“ (το προσπαθω εχειν 1681. A)

ერთ-ერთ თხრობაში განრისხებული გლეხი („მუშაკი“) საყვედურით მიმართავს უცნობ ბერებს, რომლებსაც გზა აერიათ და შემთხვევით გააფუქეს ნათესი. ეფთვიმეს გადმოაქვს თარგმანში ბერძნული ტექსტიდან საყვედურის გამომხატველი სიტყვები და თავის მხრივ უმატებს: „და სხუასაცა მრავალსა იტყოდა“ E 134,7, რითაც უფრო საგრძნობი ხდება „მუშაკის“ განრისხება.

ამა თუ იმ თხრობის დასაწყისში ბერძნულ წყაროში სხვათა სიტყვას ზოგჯერ არ ახლავს ავტორისეული ნათქვამი. ეფთვიმეს თარგმანში დამატებულია ავტორისეული სიტყვები და თხრობაც უფრო ნათელია:

იტყოდა კულად, ვითარმედ: უკუეთუ იხილონ ეშმაკთა... E 13,1.

ბერძნულსა და თეოფილეს თარგმანში თხრობა პირდაპირ სხვათა სიტყვით იწყება.

გ) ეფთვიმეს თარგმანში ცალკეულ სიტყვათა, წინადადებათა კლების უფრო მეტი შემთხვევა გამოვლინდა, ვიდრე მატებისა.

თუ ერთგან ბერძნულთან და თეოფილეს თარგმანთან შედარებით მეტი ჩანს ცალკეული სიტყვები, წინადადებები, მეორეგან დაკლებულია ისინი. ამ მხრივ რაიმე კანონზომიერების

დადგენა ჭირს. ეფთვიმეს თარგმანი ბერძნულთან და თეოფილეს თარგმანთან შედარებით მოკლეა.

შეპრისხნა მას ძმამან მისმან და ჰრქუა E 14,1

დაუფროხო მას ძმამან მისმან უზუღესმან და ჰრქუა T 14,2

κατεκραξεν ο ανελθος, αυτου ο μειζων λεγων 1681, D

თხზულებაში რამდენიმეჯერ არის ნახსენები აპოფთეგმების წიგნი (პატერიკი), რომლის ბერძნული სახელწოდება τα αποφθυματα των αγιων γερωντων 1693, C, ქართველ ავტორებს სხვადასხვაგვარად აქვთ ნათარგმნი: „მამათა“, „წიგნი მამათაჲ“, „წიგნი წმიდათა მამათაჲ“. ეფთვიმე ამოკლებს სახელწოდებას, აკლებს მსაზღვრელებს:

ვიკითხევდით რაჲ, „მამათასა“ E 122,5.

ვიკითხევდით ჩუენ „წიგნსა წმიდათა მამათასა“ T 122,6.

ხოლო ბერძან გურქუა ჩუენ E 135,1

მეესეულად გურქუა ჩუენ წმიდამან T 135,1

ესმეად ისუ ლეყი 1696, B.

ვითარ მე ვასწაო? E 16,9.

ვითარ ვასწაო, უფალო? T 16,12.

πας διδαξω, Κυριε; 1684, B.

და კუალად იგი რისხვით გუაგინებდა და ბერი ეტყოდა... E 136,1

კუალად იგი გუაგინებდა ჩუენ რისხვით და კუალად ბერი ეტყოდა... T 136,1

παλιν εκεινος σβριζε ματα θυμου και παλιν ο γερν ελεγειν. 1696, B.

აქ ეფთვიმე გამეორების ასაცილებლად აკლებს ბერძნულ წყაროსა და თეოფილეს თარგმანში ორჯერ გამოყენებულ ზმნიზებას.

ვიწყე გამოძიებად, თუ მიქმნიეს-ძი საქმე იგი E 158,2.

ვიწყე ძიებად გულსა შინა ჩემსა, უპუე ესევეითარი რაჲ საქმე მიქმნიეს T 158,2.

ბერძნულის მიხედვით აკლია την καρδιαν μου (=გულსა ჩემსა): *ηρξαμην ερευναν την καρδιαν μου 1697, A.* შინაარსის მიხედვით ეს

სიტყვები საჭიროა: აქ ლაპარაკია ბერზე, რომელიც თავის სენაკში დაბრუნებული იგონებს, ფიქრობს, „გულში გამოეძიებს“ მართლა ჩაიდინა თუ არა ის, რაც მეგობარმა ბერმა დააბრალა.

დედნის ერთგვარ წევრთაგან ეფთვიმეს თარგმანში თეოფილე-სეული თარგმანისაგან განსხვავებით ყველა არაა წარმოდგენილი:

უკუეთუ იხილონ ეშმაკთა, თუ იგინა ვინმე, ანუ შეურაცხიქმნა E 13,2.

უკუეთუ იხილონ ეშმაკთა, ვითარმედ იგინა ვინმე, ანუ შეურაცხიქმნა ანუ თუ რადმე იზღვდა T 13,1.

ბერძნული ტექსტის სამი ზმნიდან (σβιουσι, ητιμασθη, εζημισθη) ეფთვიმეს თარგმანში მესამის შესატყვისი არ იკითხება.

და აღიღის ჯელთა თჳსთა ნეტარმან მან წუელად თივისაჲ და იტყჳნ E 2.

და აღიღებნ იგი, რადცა დახუდის: თუ წუელად რადმე, თუ მკედის ნაწყუელი ანუ თუ სხუად რადმე უდარეხი-რე და იტყჳნ T 2,2.

ბერძნულში სამი ერთგვარი წევრია: καρφορ, ρακορ, αλλο τι ευτελερ 1681, A.

ხოლო ბერსა მას არა ენება მხილვად E 172,1.

ხოლო ბერმან არა ინება შერცხვნებაჲ ძმისაჲ მის, არცა მხილვად მისი T 172,1.

μη θελων ο γερωσ καταισχυσαι αυτον μηδε ελεγχαι 1697, D.

ეფთვიმეს თარგმანში არაა თარგმნილი καταισχυσαι (=შერცხვნებაჲ), არადა ეს სიტყვა აუცილებელი ჩანს - ხაზი სწორედ იმას ესმება, რომ ბერს არ უნდოდა შეერცხვინა მეგობარი.

ერთ შემთხვევაში თუ სხვათა სიტყვის წინ ბერძნულთან შედარებით მეტი ჩანს ავტორისეული სიტყვა, მეორე შემთხვევაში იგი არა გვაქვს - თხრობის ჩვეულებრივი დასაწყისი ბერძნული ტექსტიდან ეფთვიმეს თარგმანში არ არის გადმოღებული.

ეფთვიმე აკლუმს სხვადასხვა განმარტების შემცველ წინადადებებს:

მიიღო უკუე და მივიდა დილეგად ძმისა მის E 176,3.

ხოლო წარიღო იგი ბერმან, რადთა წარვიდეს საჰყრობილედ და ყოს სიყვარული ძმასა მას თანა T 176,3.

ην δε λαβων αυτα ο γερων ινα ελθων εις την φυλακην, ποιηση παρακλησιν τω αδελφω 1700, A.

უკუეთუ კულა დაწყებდა მოგებისა მათისაჲ შფოთი არს, ყოვლადვე არა მეტმარების წიგნი, რამეთუ... E 150,5.

...არღარა მოვიგებ წიგნთა, რადთა ოდენ არავის შეველალო, რამეთუ... T 150,8.

...ου θελω κτισασται βιβλιον· και μονον μη μαχησομαι 1696, D.

ზემოთ აღნიშნული დაკლებული სიტყვა-გამოთქმების, წინააღობების გარდა „სწავლაჲს“ ქართული თარგმანების შედარებამ ბერძნულ წყაროსთან ეფთვიმეს თარგმანში გამოავლინა დედნის შეკუმშულად თარგმნის შემთხვევები. ეფთვიმესაგან განსხვავებით თეოფილე ზუსტად მიჰყვება ბერძნულს. მაგალითად, აზრი შეკუმშულად არის გადმოცემული ეფთვიმეს თარგმანის შემდეგ ადგილებში:

გულსავსე იქმენ, ვითარმედ ყოველივე, რასაცა იტყოდე, მესმოდა და არაოდეს ვთქუ, თუ არა ესრეთ არს, არცა ოდეს დამარწმუნა ვინ... E 115,1.

გულსავსე უკუე იყავნ გული შენი, რომელ არცა ერთისაჲ დამეფარა, რაოდენიცა-რად გეთქუა, არამედ სადა და ვიეთ გეთხრა, ყოველივე მესმა და არაოდეს ვთქუ, თუ არა ეგრეთ არს, ვერცა ვინ მარწმუნა. T 115,1.

ხოლო მე ესე არა უწყოდე. წარვაგლინე ძმაჲ საფასითურთ. ცნა რად ესე მწერალმან მან, ვითარმედ მოიკიცხა ძმისა მიერ, განრისხნა და თქუა: წარვიდე და ვპრქუა მას, რად-იგი შეჰგავს მისდა თქულად, რამეთუ ესევითარი საქმე მიყო. E 149.

ხოლო მე ამისგან ვერარად ვცან, არამედ წარვგზავნე ძმაჲ ჩუენი წიგნსა თანა და საფასესა, რადთა მოიხუნეს იგინი. ცნა რად ესე

მწერალმან, რამეთუ მოიკიცხა მისგან, რომელმან-იგი წარუხუნა წიგნნი, აღშოთნა და თქუა: დასტურად წარვიდე მისა და შეურაცხყო იგი და უპატიოდ გავხადო ორთათჳს მიზეზთა: ერთად, რამეთუ განვიცხა მე და მეორედ, რომელ არა იყო მისი, იგი წარიღო T 149.

...გარნა განთავისუფლებისათჳს სენთაგან მისცის თავი თჳსი ჳელთა მკურნალისათა და ყოველივე მოითმინოს E 24,6-9.

...გარნა ყოველსავე ზედა არწმუნებს თავსა თჳსსა და აიძულებს, რამეთუ იცის, ვითარმედ თჳნიერ ამისა ვერ დაეჯსნების სენსა მას ამისთჳსგა მისცემს თავსა თჳსსა ჳელთა მკურნალისათა. რამეთუ მეცნიერ არს, ვითარმედ მცირედისა მისთჳს უგემურობისა განერეს იგი მრავალჯამეულსა ნავდელსა და საგრძელოსა სნებასა T24,6-14.

კლებისა თუ ბერძნული ტექსტის შეკუმშვის ყველა შემთხვევას ვერ ავხსნით მარტოოდენ ეფთვიმეს მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებებით. შეუძლებელია, ეფთვიმეს, რომელიც სხვა თარგმანებს ხშირად ავრცობდა სხვადასხვა განმარტებითი ხასიათის წინადადებით, აქ დაეკლო ისინი. ზოგი ასეთი კლების წყარო PG-ში დაბეჭდილი ტექსტისაგან განსხვავებული დედანი უნდა იყოს. მაგრამ მაინც შეიძლებოდა გამოგვეყო ადგილები, რომლებიც, ჩვენი ვარაუდით, თვითონ ეფთვიმეს შემოკლებული უნდა იყოს. ასეთებად შეიძლება ჩავთვალოთ ტექსტის ისეთი მონაკვეთები, რომლებიც ჩართული ჩანს ძირითად თხრობაში და რომელთა ამოღებით არ იცვლება და არ მახინჯდება ტექსტი. იცვლება ტექსტის მცირე მონაკვეთის მხოლოდ აგებულება, სტრუქტურა. ზოგჯერ ჩართული წინადადებისა თუ წინადადებების ამოღებით ერთიანდება გაწყვეტილი თხრობა, ტექსტი იკვრება, მთლიანდება. შინაარსს, რომელიც ამ შეკუმშულ ადგილებშია გადმოცემული, ეფთვიმე მეორეხარისხოვან ფაქტებად მიიჩნევს. ასეთებად მიგვაჩნია, მაგალითად, შემდეგი ადგილები:

მოვიდა უკუე ჩემდა და მოქუა მე... E 175,3.

არამედ მოვიდაო ჩემდა, - იტყოდა მამაე იგი და წინამძღვარი მონასტრისაჲ (ვინაჲთგან მრავალგზის მოვიდოდის ჩემსა) და მრქუა მე... T 175,4.

αλλ ελθων φησιν ο ηγουμενος προς με (επυκναζετο γαρ προς ημας), λεγει μοι 1700, A.

...და ვიკითხედით რაჲ „მამათას“, მივემთხუენით თავსა მას ბერისა მისთვის, რომლისა მივიდეს ავაზაკნი და ჰრქუეს, ვითარმედ... E 122,5-8.

...და ვიკითხედით ჩუენ „წიგნსა წმიდათა მამათასა“, რამეთუ უყუარდა იგი ნეტარსა ფრიად, ვიდრელა ყოვლადვე მას იკითხავნ და თქუამცა ვინ თუ სული და აღმოფშვნაჲ მისი წიგნი იყო „წმიდათა მამათაჲ“. ვინაჲ იგი მოისთულა და შეიკრიბა ყოველი სათნოებაჲ და აღმოვიტხვასა მას შინა მისსა თქუა მან, ვითარმედ: ოდეს მოვედ ბერსა მას თანა, რომლისა მოვიდეს ავაზაკნი და ჰრქუეს მას ვითარმედ... T 122,6-15.

...και αναγινωσκοντων ημων εις τα αποφθειγματα των αγιων γερωντων η γαπα δε ο μακαριος παντοτε διερχεσθαι αυτα, και σχεδον επνεεν: οθην και εξ αυτων εκαρπωσατο πασαν αρετην. "Οτε ηλθομεν εις τον γεροντα εκειν ον προς ον απηλθον οι λησται, και ειπον αυτω οτι... 1693, C.

ესე უწყოდეთ, ვითარმედ: არავინ იტყჳს ჭეშმარიტსა, გარნა რომელნი გუზრახვიდენ და შეურაცხ-გუყოფდენ ჩუენ და არავინ ესრეთ იტყჳს ცილსა... E 29-31,1.

ხოლო ესემცა ვიცით, რომელ არავინ იტყჳს ესრეთ ჭეშმარიტსა, ვითარ-იგი ძჳრის-მზრახვალნი ჩუენნი და იტყოდა იგი, ვითარმედ: უფალმან უწყის განაღა, რომელი-იგი განიკითხავს გულთა და თირკუმელთა, რომელ დაღაცათუ ყოველი სოფელი მაქებდეს და მნატრიდეს, ჩემი ყოველივე ღირს არს ძაგებისა და კდემისა და ნერწყვისა. ხოლო უკუეთუ სთქუა შენ, თუ ესე და ესე გიქმნიეს მე ვთქუა, ვითარმედ: და რაჲ არს ჩემთაგან საქმეთა კეთილს,

რატომღა ეგოდენ იყო ბოროტ. ვინაჲცა არავინ ტყუის სხუად... T 29-31,1.

...ΤΟΥΤΟ ΔΕ ΜΑΘΩΜΕΝ ΟΤΙ ΟΥΔΕΙΣ ΕΣΤΙΝ ΑΛΗΘΕΣΩΝ ΕΙ ΜΗ ΟΙ ΨΕΓΟΝΤΕΣ ΗΜΑΣ.

“Ελεγε δε-

Ο Κυριος, ο εταζων καρδιας και νεφρους, οιδεν οτι εαν παντες ανθρωποι ε παινωσι, και μακαριζωσι τα εμα παντα, αξια ψογου και αισχυνης εμπυσ ματων εισιν· εαν δε ειπωσι· Τουτο και εκεινο εποιησας· εγω, Τι γαρ το εμιον καλον; Ουδεις γαρ ψευδεται... 1685, C.

განხილული მასალის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ შეცვლილი, გავრცობილი, დაკლებული ადგილებით ეფთვიმე შორდება PG-ში დაბეჭდილ ტექსტს, თეოფილე მისდევს წყაროს. ეფთვიმეს თარგმანში შეცვლილი და დაკლებული ადგილები ჭარბობს გავრცობილს.

3. მართალია, თეოფილე ხუცესმონაზონი სიტყვასიტყვით თარგმნის ბერძნულიდან, მაგრამ ისიც, როგორც ათონის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი ზოგჯერ ცვლის კიდეც სათარგმნ წყაროს. როგორც უკვე მივუთითებდით, არც მისთვის იყო უცხო „შემატება-დაკლების“ მეთოდი, მაგრამ ეს განსხვავება დედანსა და მის მიერ თარგმნილ ტექსტებს შორის მეტად უმნიშვნელოა (გვ.42).

„სწავლაჲს“ ქართული თარგმანებისა და ბერძნული წყაროს შედარებით გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როცა თეოფილე შორდება ბერძნულ წყაროს, ეფთვიმე მისდევს მას.

ა) თეოფილე ხუცესმონაზონი ცდილობს მხატვრულად „გადაახალისოს“ ტექსტი.⁴ მსაზღვრელი სიტყვების, ზმნიზედების, მიმართვების, მთელი წინადადებების მიმატებით კონკრეტულად, უფრო სრულყოფილად არის გადმოცემული შინაარსი.

დავიმოწმებთ ბერძნული ტექსტის გავრცობის რამდენიმე მაგალითს, თეოფილეს თარგმანთან შესადარებლად მოვიტანთ ბერძნულ ტექსტსა და ეფთვიმეს თარგმანსაც:

დავიწერე გუარი და ვთქუ... E 116,3.

გამოვისახე სასწაულო პატიოსნისა ჯუარისაჲ თუალსა მას ზედა
და ვითქუ... T 116,3.

Εποησας τον σταυρον, και ειπον 1692. D.

ვაჲ მე, რამეთუ... E 14,19.

ვაჲ მე, უზადრუკსა, რამეთუ... T 14,20.

Ουαι μοι 1684. A.

დასცხერ სიფუდულისა მაგისგან E 14,3.

დასცხერ ცუნდრუკებისაგან, მზუათბარო T 14,4.

Παυσαι περπερος 1681. D.

კულადა სხუასა ჟამსა მივედ წმიდად ქალაქად E 81,1.

კულადა სხუასა ჟამსა ვიყავ ოდესმე წმიდად ქალაქად იერუს-
სალმმედ T 81,1.

Αλλοτε γενομενου μου εις την αγιαν πολιν 1689. C.

არამედ სიხარულითაგა აღივსო E 131,5.

არამედ უხაროდაცა და ჰმადლობდა დმერთსა T 131,4.

αλλα και εχαρη 1696. A.

ხაზგასმული დამატებული სიტყვებით, რასაკვირველია, თეოფი-
ლეს თარგმანი უფრო შთამბეჭდავად გამოხატავს ზერის კმაყოფი-
ლებას, სიხარულს, მაღლიერების გრძნობას.

მოვედით ადგილსა, სადა იყო საზუერე, ერისკაცთა მათ
ჩუეულებსაებრ მისცეს ხარკი იგი E 79,5.

მოვედით ადგილსა რასმე, სადა იყო საზუერე და ერისკაცთა
მათ, ვითარცა აქუნდა ჩუეულებაჲ, იხილეს რაჲ მეზუერე, მისცეს
ბაჟი მათი T 79,5.

*Και ηλθομεν εις τοπον οπου τελωνειον ην· και οι μεν κοσμικοι ειδοντ
ς την συνηθειαν εδοκαν το τελος 1689. C.*

ბერძნულსა და ეფთვიმეს თარგმანში არ იკითხება „მეზუერე“.
გამოდის, რომ ერისკაცებმა, როცა დაინახეს საზუერე (საბაჟო),
მისცეს ბაჟი. თეოფილეს თარგმანი უფრო ნათელია: მეზაჟეს მისცეს
ბაჟი.

ადმოვიკითხე თავი ესე, დამიკვრდა და ვიტყოდე E 126,4.

აღმოვიკითხე ეს, დამიკურდა სათნოებზე ბერისაჲ მის და ვიტყოდე T 126,4.

ανεγνωσ τουτο, και εμαμαζον τον γεροντα και ελεγον 1693, D.

წინა კონტექსტის გარეშე ბერძნულსა და ეფთვიმეს თარგმანში მთლად ნათელი არაა, თუ კონკრეტულად რა გაუკვირდა მოსაუბრეს, თეოფილე აზუსტებს - „სათნოებზე“.

ფრიადისა მის სათნოებისა მისისათჳს და სასწაულთა მათ, რომელთა იქმნოდა, ყოველსა მას ქუეყანასა ჰყვა... E 118,4.

დიდთათჳს სათნოებათა მისთა და მაღალთა მათ სასწაულთა, რომელთა იქმნოდა ღმერთი ჴელითა მისითა, ჰყვა იგი ქუეყანასა... T 118,6.

...δια την μεγαλην αυτου αρετην και τα σημεια α ποιει, ειχεν 1693, B.

ამ თხრობაში ლაპარაკია მოძღვარზე, რომელიც სასწაულებს სწადიოდა, მაგრამ თეოფილესთან გავრცობილია აზრი - მოძღვრის ხელით ღმერთი მოქმედებდა.

წინადადებების დამატებით ნაწილობრივ იცვლება და ზუსტდება ტექსტის შინაარსი:

ენება წარპარვაჲ სამოსლისა მის E 179,10.

მო-ვინმე-ვიდა წარლებად სამოსელისა მის, რომელი ედვა ქუეშე T 179,9.

Ιδου τις ερχεται μελων επαραι το ματιον 1700, C.

ბევრეულნი ბოროტნი გიქმნიან და დაგვიწყებიეს, რამეთუ სადა არიან... E 160,10.

ბევრეულნი ბოროტნი გიქმნიან სხუანი და დაგვიწყებიან; ვინ უწყის, თუ ესეცა ჰქმენ და დაგვიწყდა. სადა უკუე არიან... T 160,13.

μυρια κακα πεπρακται σοι, και επελαθουσ αυτων που εισιν α επιοησας χμες η προ δεκα ημερων_ 1697, B.

ბ) გავრცობილ ადგილებთან შედარებით ბევრად მცირეა ცალკეულისა სიტყვებისა თუ ფრაზების დაკლების შემთხვევები:

რად ჰბორგ, სულო ზემო? E 41,5.

რადსათჳს განლიგებულ ხარ, სულო? T 41,6.

Τι μαινοι, ψυχη μου: 1688, C.

უფალო ეესუ ქრისტე, ლოცვითა მისითა მილხინე მე E 116,3.

უფალო, ლოცვითა მისითა განმკურნე მე T 116,5.

Kyrie Iησου Χριστε δια των ευχων αυτου ιασσαι με: 1622, D.

რამეთუ ღმერთმან ჭეშმარიტებით გულსავსე-მყო E 163,1.

ხოლო აწ გულსავსე-მყო ღმერთმან T 163,1.

εν αληθεια γαρ επιηροφηρησε μοι ο Θεος 1697, C.

გ) ასევე ცოტაა თეოფილეს თარგმანში შეცვლილი ადგილები, ეს ცვლილებებიც მეტად უმნიშვნელოა:

დადაცათუ ყოველი სოფელი მაქებდეს და მნატრიდეს T 30,4.

Οιδεν οτι εαν παντες ανθρωποι επαινωσι και μακαριζωσι 1685, C.

ბერძნულშია: „ყოველნი კაცნი“, ეფთვიმეს თარგმანში შესაბამისი ადგილი არ დასტურდება.

საქმით და ჭეშმარიტებით ისწავენ მცნებანი ქრისტესნი E 43,1.

საქმით და სიტყვით ისწავენ უკუე, სულო, მცნებანი ქრისტესნი T 43,1.

Και πραγματι και αληθεια μαθε τας εντολας του Χριστου: 1688, C.

უკუეთუ კულა რადმე მოიწიოს, რომელ არა სათანო-გინდეს E 110,7.

გარნა უკუეთუ რადმე მოჰკედეს, რომელი შენ არა გინდეს T 110,6.

Εαν δε συμνη τι μη αρεσκει σοι 1692, B.

რომელმან შეურაცხ-ყვნის მრავალნი კენტინარნი E 51,4.

რომელი დაუტეობს მრავალსა ტალანტსა T 51,5.

οτε καταφθινει τις πολλων κεντηναριων 1689, A.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, თეოფილეს თარგმანში დადასტურებული ცალკეულ სიტყვათა შეცვლა არ სცილდება სინონიმურ მონაცვლეობას.

ასეთი სიმცირე დაკლებული და შეცვლილი შემთხვევებისა თარგმანში ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ თეოფილე უმეტესად ავრცობდა სათარგმნ ტექსტს.

„სწავლაჲს“ ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანების ურთიერთ-თან და ბერძნულ ტექსტთან შეჯერებამ გვიჩვენა შემდეგი:

1. ორივე თარგმანში გამოვლინდა ადგილები, რომლებიც ერთნაირად სხვაობენ PG-ში გამოქვეყნებული ბერძნული წყაროსაგან, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეფთვიმე და თეოფილე აღნიშნული ბერძნული ტექსტისაგან განსხვავებული დედნებისაგან თარგმნიდნენ.

2. ბერძნული ტექსტისაგან ერთნაირად განსხვავებული ადგილების გვერდით ქართულ თარგმანებში დასტურდება შემთხვევები, როცა ეფთვიმეს თარგმანი სხვაობს ბერძნული წყაროსაგან, თეოფილე ზუსტად თარგმნის ბერძნულიდან, და პირიქით: თეოფილეს თარგმანი განსხვავდება ბერძნული ტექსტისაგან, ეფთვიმე ზუსტად მიჰყვება მას.

საერთოდ, ეფთვიმეს თარგმანში დაკლება, შინაარსის მოკლედ, შეკუმშულად გადმოცემის შემთხვევები ქარბობს გავრცობას და შეცვლას. თეოფილეს თარგმანში პირიქით: გავრცობილი ქარბობს დაკლებულსა და შეცვლილ ადგილებს. ჩვენი ფიქრით, ესეც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ თეოფილე ცდილობს, არაფერი დააკლოს ბერძნულ დედანს.

3. იგივე სურათი ჩანს ქართული თარგმანების იმ ნაწილთა ურთიერთშეჯერებითაც, რომელთა შესატყვისები PG-ში დაბეჭდილ ტექსტში არ დასტურდება.

თეოფილეს თარგმანი უფრო ვრცელია. ეფთვიმეს თარგმანში შესატყვისები არა აქვს თეოფილეს თარგმანის რამდენიმე ადგილს: T5: სიტყვებიდან „და რამეთუ ვითარცა-იგი...“ - სიტყვებამდე: „...განზაღებულ ვიპოვნეთ“;

T 48,1-7: „და იტყოდა იგი...“ - „...გინებად მისა“;

T 73-74: სიტყვებიდან: „და უკუეთუ არცა...“ - სიტყვებამდე: „...თავადი აღმოაგდებს“;

T 78,10-24: „რამეთუ ვითარცა...“ - „...მრავლითა მშუდობითა“;

T 103: „და იტყოდა იგი...“ - „...საქმით აღსრულებად“;

T 184-185,5: „და რომელ-იგი ქმნა...“ - „...მოყუარე ღმერთი“.

ეფთვიმე თეოფილესთან შედარებით მოკლედ, შეკუმშულად გად-
მოსცემს შინაარსს: E55: სიტყვებიდან: „ხოლო დასამტკიცებლად...“ -
სიტყვებამდე: „...კოსტანტინეპოვლედ“;

E 56: „ხოლო დაემეგობრა...“ - „...მოხადის მას“;

E 58: „მივიდა უკუე ყრმაჲ...“ - „...მენავეთაჲ“;

E 60: „და ვითარ მთართუეს...“ - „...სოფლისა ამისგან“;

E 66: „ოდეს ძმამან უკუე...“ - „...იგი განვკურნოთ“;

E 121: „და რაჲთა შეერაცხნენ...“ - „...საუკუნეთა გურგუნთა“.

4. დედნისეული ტექსტის შეცვლის, გავრცობისა თუ კლების
შემთხვევაში ეფთვიმე ხელმძღვანელობს პრინციპით - განტვირთოს
ტექსტი არამთავარი, მეორეხარისხოვანი ამბებისაგან, უფრო
კონკრეტული, მიმზიდველი და შთამბეჭდავი იყოს თხრობა, რაც
ნაკლებად დამახასიათებელია თეოფილეს თარგმანისათვის, მაგრამ
ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თეოფილეს როგორც მწერალ-
სა და მთარგმნელს აკლია ოსტატობა; თეოფილესთვის მთავარია
პრინციპი - მიჰყვეს სათარგმნ ტექსტს, ზუსტად გადმოიღოს იგი.

II ქართული თარგმანების ენობრივი მიმართება ბერძნულთან

ზოსიმეს „სწავლაჲს“ ქართული თარგმანების მიმართება ბერძნულთან საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისითაც. ყურადღებას იპყრობს ამ მხრივ ბერძნული ინფინიტივისა და მიმღობის, აღწერითი და ორგანული წარმოების, პასივის, ნაცვალსახელების, რიცხვის, უშემასმენლო წინადადებების, სხვათა სიტყვის გადმოღების თავისებურებები.

1. ბერძნული ინფინიტივის გადმოცემისათვის

ცნობილია, რომ ბერძნული ენის ინფინიტივი ძველ ქართულში - V-XI საუკუნეების ძეგლებში გადმოდიოდა უმეტესად ვითარებითში დასმული მასდართ, იშვიათად სახელობითი ბრუნვის ფორმის საწყისით ან დამოკიდებული წინადადებით განასხვავებენ ცალკე აღებული მასდარისა და მასდარული კონსტრუქციის ხმარების შემთხვევებს - როცა მასდარს უკავშირდება სახელი.⁶⁵

ა) ძველი ქართული ენის სხვა ძეგლების მსგავსად „სწავლაჲს“ თარგმანებშიც ბერძნული ტექსტის ინფინიტივი უმეტესად გადმოიცემა მასდართ ვითარებით ბრუნვაში, რომელიც წინადადებაში ასრულებს სხვადასხვა წევრის - ქვემდებარის, დამატების (უმეტესად პირდაპირის), მიზნის გარემოების ფუნქციებს.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ასეთი მასდარი ქვემდებარედ გვხვდება გარდაუვალი ზმნებით გადმოცემულ შემასმენლებთან.⁶⁶ ასეა „სწავლაჲს“ თარგმანებშიც.

ვერ ბალ-მიც დაგებად მისდა E 82,7.

ვერ ბალ-მიც დაგებად და ყოფად სიყუარულისა T 82,6.

თხ მსხამაი διαλλαχῆσαι αυτω 1689, D.

თანა-გუაც ესევითარისა ამის დამდაბლობისა გულისწმის-ყოფად E 34,7.

თანა-გუაც ყოველითა ცნობად შემუსრვილებისა და სიმდაბლისა
ბუნებისა^{34,9}.

Και οφειλομεν ευγνωμιονες γενεσθαι της ταπεινωσεως ημων 1688, A.

პირდაპირ დამატებად მასდარი გარდამავალი ზმნით გადმოცე-
მულ შემასმენელს ახლავს.⁶⁷ „სწავლაჲს“ თარგმანებში იგი ხშირად
გვხვდება „იწყებს“ ზმნის სხვადასხვა მწკრივის ფორმასთან:

ვიწყე გულსავსე-ყოფად მისდა E 157,12; T 157,13.

ηρξαμιην πληροφορειν αυτον 1697, A.

ვიწყე გამოძიებად E 158,2.

ვიწყე ძიებად T 158,2.

ηρξαμιην ερευναν 1697, A.

ვითარებითში დასმული მასდარი უმეტესად გვხვდება მიზნის
გარემოებად:

არცა თუ მიმიშუა გულსავსე-ყოფად მისა E 163,3.

არცა თუ მიტევო შევრდომად მისა და გულსავსე-ყოფად T 163,4.

και ουδε αφηκε με πληροφορησαι αυτον 1697, C.

მივიდა ბერი გამოცდად მისა T 7,1.

δοκιμασαι μελων 1681, B.

მო-ვინმე-ვიდა წარლებად სამოსლისა მის T 179,9.

Θελων παραι το ιματιον 1700, C.

იმვითად ინფინიტივი გადმოღებულია საწყისით სახელობით
ბრუნვაში:

ბერს არა ენება მხილება მისი E 172,1.

*ბერმან არა ინება შერცხუნება ძმისა მის, არცა მხილება მისი T
172,1.*

μη μελων ο γερων καταισχυναι αυτον μηδε ελεγχαι. 1697, D.

ზოგჯერ თარგმანებს შორის განსხვავებაა:

თანა-გუაც სახელისათჳს ქრისტესისა ვნებად E 20,7.

ვიღირს ვნებად სახელისათჳს მისისა T 20,7.

χρεωσταις του ονοματος αυτου παθειν 1684, C.

უჭმს მას მოთმინებად ყოვლისავე E 23,3.

თან-აც დათმენად ყოველსავე T 23,3

αναγκη αυτον υπομειναι τα επιφερομενα... 1685, A.

ბ) ინფინიტივის გადმოსაცემად თარგმანებში ერთმანეთს ენაცვლება პირიანი ფორმა ზმნისა და საწყისი სახელობითსა ან ვითარებითში:

განავრცელებ მონასტერსა E 14,5.

გნებავს განვრცობდა მონასტრისაჲ T 14,5.

πλατυσαι μελων το μοναστηριον 1681, D.

ბერძნულის ერთი წინადადების ორი ინფინიტივიდან ქართულ თარგმანებში ერთი გადმოღებულია პირიანი ფორმით, მეორე - მასდართ ვითარებით ბრუნვაში:

იწყო წინა-აღდგომად მათდა და უტყოდა ET 80,2.

იρξατο αντιτεινεν και λεγειν αυτοις 1689, C.

გ) სათარგმნი ტექსტის ინფინიტივს ეფთვიმეს თარგმანში შეესატყვისება საწყისი სახელობითსა ან ვითარებით ბრუნვაში, თეოფილეს თარგმანში კი - შესაბამისი შინაარსის დამოკიდებული წინადადება:

ვინმეა დაარწმუნა ქეშმარიტსა მდაბალსა ბოროტისა წურთაჲ ვისთჳსმე? E 36,2.

ვინ არწმუნოს მდაბალსა, ვითარმეა თხზვიდა გულისსიტყუათა ვისთჳსცა? T 36,1.

τις πειθει ποτε τεταπεινωμενον πλεξαι λογισμοις κατα τινος? 1688, A.

არცა ოდეს დამარწმუნა ვინ თქუმად შენთჳს ბოროტი E 115,4.

ვერცა ვინ დამარწმუნა ყოვლადვე, რადთამეა ვთქუ შენთჳს დაკლებული T 115,6.

ουδ επεισε μοι τις ειπειν κατα σου 1692, D.

განსაკუთრებით ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა მიზნის გარემოების გადმოსაცემად ეფთვიმეს თარგმანში გვაქვს მასდარი ვითარებითში, თეოფილესთან - დამოკიდებული წინადადება:

წარვიდა ოდესმე სავაჳროდ სყიდად სამოსლისა თავისა თჳსისა E 179,1.

წარვიდა ოდესმე სავაჭროდ, რადეთა იყიდოს შესამოსელი თჳსი T 179,1.

απελθοντος ποτε εις αγοραν αγορασαι ιματιον 1700, C.

შევწუხენ და მოვედ ნუგეშინის-ცემად შენდა E 177,6.

შევწუხდი და შემოვედ, რადეთა ნუგეშინის-გვე T 177,6.

...και λυπηθεις, εισηλθον ποιησαι σοι παρακλησιον 1700.

მივიდა ძმისა მის თხრობად საქმე იგი E 171,4.

მივიდა ძმისა მის, რადეთა უთხრას მას, რად-იგი იქმნა T 171,4.

ηλθε προς τον αδελφον αναγγειλαι αυτω 1697, D.

აღვდეგ წარსლვად მისა და შერდომად E 162,2.

აღვდეგ... და წარვემართე დიაკონისა, რადეთა ვითხოო შენდობად და ვჰმადლობდე მას T 162,1.

αναστας... ηλθον μετανοησαι τω διακονω, και ευχαριστησαι αυτω 1697, C.

ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი მიზნის გარემოებად ეფთვიმეს თარგმანისათვის უფრო დამახასიათებელი ენობრივი მოვლენაა, ვიდრე თეოფილეს თარგმანისათვის.

მასდარული კონსტრუქციის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა აზრი. მასდარული კონსტრუქციები მიჩნეულია ინფინიტივის ჩანასახად, ძველ ქართულშივე შედარებით ახალ წარმონაქმნად, რომელმაც ვერ მოასწრო, მტკიცედ ჩამოყალიბებული სახე მიეღო და რომელიც X საუკუნიდან გადის ხმარებიდან. ასეთი მასდარი მიზნის გარემოებად ქართულ ენას მოჰყვა XII-XIII საუკუნეებამდე⁶⁸ ივ.ქავთარაძე, უარყოფს რა იმ მოსაზრებას, „რომლის მიხედვითაც ინფინიტივის ეს სახეობა მიჩნეულია სათ: ᾿გმნი (უცხო) ენის გავლენად“, ასაბუთებს „მის დამოუკიდებლად, ქართულ ნიადაგზე წარმოშობას“.⁶⁹ დ.ჩხუბიანიშვილი მდიდარი მასალის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ინფინიტივი არის ძველი, ორიგინალური, საკუთრივ ქართული და არა უცხო ენის გავლენით გაჩენილი მოვლენა.⁷⁰ ამ მხრივ საინტერესოა, ალბათ, ისიც, რომ ეფთვიმე,

რომელიც საერთოდ თარგმნისას ითვალისწინებდა ქართული ენის ბუნებას, ფართოდ იყენებს მასდარულ კონსტრუქციებს.

დ) ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ვითარებითი დასმულ საწყისთან შეწყობილი სახელის ბრუნვის თვალსაზრისით. ძველი ქართული ენის ძეგლებში ასეთ საწყისს დამატება უმეტესად მიცემითა ან სახელობითი შეწყობობდა, იშვიათად ნათესაობითში.

„სწავლაჲს“ ორივე თარგმანში ცოტაა შემთხვევები, როცა ვითარებითი დასმულ მასდართან სახელი დგას სახელობით ბრუნვაში:

არცა ოდეს დამარწმუნა ვინ აქჳმად შენთჳს ბოროტჳ E 115,4.

მივიდა... თხრობად საქმე იგი E 171,5.

აჰა, ჟამი ჩუენებად ნაყოფი წადიერებისა ჩემისაჲ E 127,5.

...რადთა ვისწაოთ მათგან შეყარებად სიმდაბლო და სიმშჳდე T 150,4.

ეფთვიმეს თარგმანში ასეთ მასდართან ნორმად ჩანს სახელის ნათესაობითი ბრუნვა: ვიწყოთ ამიერიტგან სულთა ჩუენთა ცხორებისა ზრუნვად E 1,12.

იწყო შემუსრვად მხალეებისა მის E 7,3.

მრავლით კერძო შეედლოს ნაცვლისა მისისა პოვნად E 10,7.

იშვიათად მასდართან შეწყობილი სახელი მიცემითშია:

*შემძლებელ არს გონებაჲ მჯურვალე... ჩუენებად ღმრთისა გულს-
მოდგინებასა E 12,3.*

თეოფილეს თარგმანში, პირიქით, ასეთ მასდარს სახელი ეწყობა მიცემითში, ნათესაობითში იშვიათად: ვიწყე წურთად წივნსა მას იგავთასა T 138,4.

თანა-აგ დათმენად ყოველსავე T 23,3.

იწყო აღმოდებად ქუებსა მას და მარგალიტებსა T 59,2

შეიძლება ვთქვათ, რომ ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანები პარალელურ ადგილებში ამ მხრივ უპირისპირდებიან ერთმანეთს:

ვერ შემძლებელ არს მონიჭებად ჩუენდა აჯავე მრავლისა სიმდიდრისა E 101,2 - ვერ ძალ-უც აჯავე მოცემად ჩუენდა სიმრავლესა კეთილთასა T 101,2;

...ოდეს ინებოს უფალმან მრავლისა მის ძალისა თჳსისა გამოჩინებად E 105,1 - რამეთუ ოდეს ინებოს ღმერთმან გარდამეტებულსა მას ძლიერებასა თჳსსა გამოჩინებად T 105,1;

რომელმან-ესე ღირს-მყავ სახისა მისისა მოღებად E 126,7 - რომელმან ღირს- მყავ შემოსად სახესა მისსა T 126,7.

მასდართან შეწყობილი სახელის მიცემითი ბრუნვა იმდენად დამახასიათებელი და ჩვეულებრივია თეოფილეს თარგმანისათვის, რომ იგი სახელობითში დასმულ საწყისთანაც კი გვხვდება.

არცადათუ სნეულსა ეკამების... სუმაჲ მწარესა მას სასუძელსა სანავდლოსა T 24,1

იკონნაიშვილი მიუთითებს ასეთი შემთხვევების იშვიათობაზე ძველ ქართულში.⁷¹

როგორც ვხედავთ, ეფთვიმეს თარგმანში ჭარბობს ისეთი შემთხვევები, რომლებიც ენის განვითარების შემდგომ პერიოდში თანდათან ნორმად იქცა - საწყისთან გაბატონდა ნათესაობითი ბრუნვა. თეოფილეს თარგმანში კი პროდუქტიულია ბერძნული ინფინიტივის შესაბამისი კონსტრუქცია.

2. ბერძნული მიმღეობური კონსტრუქციების გადმოცემისათვის ცნობილია, რომ ათონის სკოლიდან გამოსულ თარგმანებში ბერძნული წყაროს მიმღეობური კონსტრუქციები უმრავლეს შემთხვევაში გადმოცემულია პირიელი ფორმებით. ძირითადად ასეა ეს „სწავლაჲს“ თარგმანებშიც.

ა) ორივე თარგმანში ბერძნულ მიმღეობას შეესაბამება პირიელი ფორმა ზმნისა:

განმიღო და პირველად იგი შემვივრდა და მრქლა E 162,4.

განაღო ოღენ, მეესეულად დავარდა პირველად პირსა ზედა
თჳსსა და თჳსა T 162,5.

ανοιξας βαλλει μοι ματανοιαν πρωτος λεγων 1697. C.

აღვანთე სანთელი და ვიწყე ზუენებად ET 128,2.

Αψας λυχνον ηρξαμην δεικνυειν αυτοις 1693, D.

ხოლო მე განვილიმენ და ვარქუ მას E 82,8, T 82,9.

Εγω δε υπομειδιασας ειπον αυτω 1689, D.

ბერძნული მიმღეობის შეცვლა ზმნის პირიანი ფორმებით ცვლის წინადადების აგებულებასაც - ვღებულობთ ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებებს.

ბ) ბერძნულის მიმღეობურ კონსტრუქციას ორივე თარგმანში შეესატყვისება სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადება, რომლის შემასმენელი ლექსიკურად მიმღეობის შესაბამისი პირიელი ზმნაა:

და აჯსენებდა ძმასა მას, რომელსა დაესხა მხალი E 6,1

და იჯსენებნ ნეტარი ძმასა მას, რომელსა ედგა მხალი T 6,1

Και εμεμνητο του αδελφου εχοντος τα λαχανα 1681, B.

ხოლო მე მესმა რაჲ, ვარქუ მას E 80,4.

ხოლო მე მესმა რაჲ ესე, ვარქუ მას T 80,5.

Εγω δε ακουσας ειπον αυτω 1689, C.

რამეთუ მე ვარ, რომელმან განვკრებე სენაკი შენი E 176,6, T 176,9.

Εγω γαρ ειμι ο κλεψας τα σκευη σου 1700, B.

გ) „სწავლაჲს“ ქართული თარგმანები ზოგჯერ შორდებიან ერთმანეთს. თეოფილეს თარგმანში ბერძნულის მიმღეობურ კონსტრუქციას შეესაბამება დამოკიდებული წინადადება, ეფთვიმესაში - მიმღეობა:

ესოდენი მაღლი მოსცა მორწმუნეთა მისთა E 16.

ესოდენი მაღლი მისცა რომელთა ჰრწმენა T 16.

Μηγαλην χαριν παρεσχη τοις πιστευσασιν 1681, A.

გზღირს... მის მიერ მოწვეწულთა მათ, რადცა იყოს, შეწყნარებად, ვითარცა წამალსა საკურნებელსა, მოვლინებულსა ქრისტეს მიერ E 21,11.

გიღირს, რადთა მიიღო მისგან საკურნებელი წამალი, რომელი წარმოუგზავნიეს შენდა იესუს T 21,11.

δέχεσθαι τα παρ αυτου ως φαρμακα μεραπευτικα πεμψεντα σοι παρα του Ιησους 1684, D.

ასევეა იმ ნაწილებშიც, რომლებსაც არა აქვთ შესატყვისი ბერძნულში:

იხილის რად უფალმან სული წყურთელი ცხორებისათჳს საუკუნოვსა და მოქმედი თესლისა კეთილისა... E 168,3;

უკუეთუ იხილოს უფალმან სული, რომელსა წყუროდის ცხოვრებისათჳს და მუშაკობდეს თესლთა კეთილთა T 168,1.

მსგავს არს იგი მკუდარსა, მდებარესა სახლსა შინა და დაყროლებულსა E 186,22;

მსგავს იქნების იგი მკუდარსა, რომელი ძენ სახლსა შინა და ყარნ T 186,21.

გვხვდება პირიქითაც: ბერძნულის მიმღეობა ეფთვიმესთან დამოკიდებული წინადადებით არის გადმოცემული, თეოფილესთან მიმღეობით:

ვინ მოატყუა წმიდასა სტეფანეს ესევითარი იგი დიდებაჲ, გარნა რომელთა-იგი ქვაჲ დაჰკვრიბეს E 26,10;

ვინ აღიყვანა წმიდაჲ სტეფანე ეგევითარსა დიდებასა თჳნიერ დამქოლველთა მათ მისთა? T 26,11;

Τις εδωρησατο τω αγιω Στεφανω τοιαυτην διξαν ην εποιοησεν ει μη οι λιμιασαντες; 1685, B

...არამედ ესრეთ ვსცნობდი სულსა ჩემსა, ვითარმედ ჰვარვიდა მას მაღლი ღმრთისაჲ E 120,5;

...არამედ ვხედევდ სულსა ჩემსა, დაცვულსა ქრისტესგან T 120,5;

...αλλ ουτως ησθομεν την ψυχην μου, ως υπο μεου σκεπομενην 1693,

B.

ემზაკთა იხილიან რაჲ სული, ვითარმედ ისმენს მათსა და ადვილად შეიწყნარებს ბოროტთა გულისსიტყუათა... E 76,1;

ოდეს იხილონ სული ადვილად მორჩილი და მიმხუმელი გულისსიტყუათა მათ მათთა მედგართა... T 76,2.

ამ ადგილს არა აქვს შესატყვისი ბერძნულ ტექსტში.

ბერძნულის მიმღეობების შესატყვისად ეფთვიმესთან ერთსა და იმავე წინადადებაში დასტურდება როგორც დამოკიდებული წინადადება, ისე მიმღეობაც, თეოფილესთან მიმღეობებია:

არავინ ესრეთ იტყჳს ცილსა, ვითარ მაქებელნი ჩუენნი და რომელნი-იგი გუნატრიდიან E 31,1;

არავინ ტყუის სხუაჲ, თჳნიერ მაქებელნი და მნატრელნი ჩუენნი T 31,1;

Ουδεις γαρ ψευδεται ει μη οι επαινουσντες με και μακαριζοντες με· 168 5, C.

ქართული თარგმანების შეჯერებით ბერძნულთან გამოვლინდა, რომ მიმღეობურ კონსტრუქციებს ორივე მთარგმნელი მიმართავს, მაგრამ უფრო ხშირად მაინც თეოფილე, რაც აიხსნება მისი მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებით - ზუსტად გადმოიღოს ბერძნული.

3. ბერძნული წყაროს ზმნათა აღწერითი წარმოებისა და ორგანული ფორმების გადმოცემისათვის

თავისებურებას ავლენენ ქართველი მთარგმნელები ბერძნული ტექსტის აღწერითი - პერიფრასტული ანუ ანალიზური წარმოებისა და ორგანული - სინთეზური ფორმების გადმოცემისას.

ა) ბერძნულის აღწერითი - ანალიზური წარმოება ორივე თარგმანში გადმოღებულთა ანალიზური თვე:

და ვყოთ დღეს სიყუარული E 8.

მაგას ზედა ვყოთ სიყუარული T 8,3.

και ποιουσιν εις αυτο αγαπην 1681, B.

ყავ სიყუარული და მომეც... E 175,4; T 175,8.

ποιησον αγαπην· δο· μοι... 1700, A.

ორივე თარგმანში აღწერილი წარმოებაა იმ ნაწილებშიც, რომლებსაც არა აქვთ შესატყვისი ბერძნულში:

ადგილი იგი, სადა მდგომარე იყო, იქმნა თიჯა E 17,4.

იქმნა თიჯად ქუეშე ფერჯთა მისთა ადგილსა მას, სადა მდგომარე იყო T 17,5.

პირველ ყოვლისა საჯმარ არს შეწევნად ღმრთისად E 96,4.

უპირატეს-ლა ყოვლისა საჯმარ არს ჩუენდა შეწევნად ღმრთისად T 96,5.

მარადის შემწე ეყოს საქმეთაცა ზედა E 106,6.

მარადის შემწე იყოს მისდა T 106,10.

სათარგმნი ტექსტის აღწერით წარმოებას ეფთვიმეს თარგმანში შესატყვისება აღწერილი, თეოფილესაში - ორგანული:

რაჲსა ღირს იყოს სამოსელი იგი? E 181,1.

რაჲზომის ღირდა სამოსელი იგი? T 181,2.

πιστος ην αξιος το ματιον 1700. C.

საჯმარ სადმე არს ძმისა მის... E 169,6.

საჭიროდ სამე უჯმს ძმისა ამას T 169,7.

Ταχα χρειαν εχει ο αδελφος 1697, D.

ასეთივე მიმართებაა ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანების იმ ნაწილებს შორისაც, რომლებსაც შესატყვისი არა აქვთ ბერძნულში, ეფთვიმესთან ზევრია ზმნის აღწერილი ფორმა:

არა საჯმარ არს ჩუენდა გზათა შორთა წარსლავად... E 71,12

არცა გჯჯმს ჩუენ წარსლავად შორთა გზათა... T 78,16.

ვითარ მძლე ექმნას გულისწყრომასა E 85,2.

ვითარ ვინ იპყრას გულისწყრომად T 85,3.

გამოცდილ ვარ ამას საქმესა E 156,6;

მე საქმით გამომივდიან სიტყუანი ესე T 156,5.

ბ) საინტერესო ჩანს ისეთი შემთხვევები, როცა ბერძნული ტექსტის ორგანული ფორმების შესატყვისად ქართულ თარგმანებში

აღწერითი წარმოება გვაქვს. განსაკუთრებით გამოირჩევა ამ მხრივ ეფთვიმეს თარგმანი, რომელშიც მრავლად დასტურდება ასეთი შემთხვევა. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს:

...არა მაღლიერ ვიყვნეთ E 22,2;

...არა ჰმადლობდე T 22,2;

...ουκ ευχαριστείς 1684, D.

არა თუ ქონებად რაგსადმე არს მავნებელ... E 181,12;

არა თუ ქონებად რასმე ავნებს... T 181,14;

οὐ το εχειν βλαπτει. 1700. C.

გარნა შენდობა ყვ E 135,6;

შეგუნდეე ჩუენ, ძმაო T 135,9;

συγχαρησων იჟივ 1696, B.

ნურას შფოთ ხარ E 128,4;

ნუ აღშფოთნებით T 128,5;

μη φορβεισθε 1696, A.

იშვიათად ბერძნულის ორგანულ წარმოებას ორივე თარგმანში შეესატყვისება აღწერითი:

განსუენებულ არს სული ღმრთისაჲ შენ ზედა, ძმაო ET 8,8;

Αναπεπαιται το πνευμα του Θεου επι σε, αδελφε 1681, B.

აღწერითი წარმოება ეფთვიმესათვის აზრის გადმოცემის პროდუქტიული ხერხია, რომელსაც ბერძნული წყაროსაგან დამოუკიდებლადაც იყენებს.

მიდრეკილება აღწერითი ფორმებისაკენ შეინიშნება ეფრემ მცირის მთარგმნელობით მუშაობაშიც, რაზეც ყურადღებას ამახვილებს კდანელია.⁷²

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ ორი რიგის (აღწერითი და ორგანული) ფორმები ერთნაირად დასტურდება ძველი ქართულის როგორც თარგმნით, ისე ორიგინალურ ძეგლებში. გამოყოფენ აღწერითი ფორმების სხვადასხვა ტიპს, რომლებიც ერთ სიბრტყეზე ვერ მოთავსდება, „ნაწილი უფრო ძველია, ნაწილი ნეოლოგიზმი ან თავისებური სტილის დამახასიათებელია“.⁷³ ივ.ქავთა-

რაბე აღნიშნავს, რომ აღწერითი „ფორმები საერთოდ არ ყოფილა უცხო ქართული ენისათვის, თუმცა სავარაუდოა, რომ იგი უფრო უნდა მოხშირებულიყო ისტორიულ ქართულში, რამდენადაც თარგმნილ ლიტერატურას ერთგვარი ბიძგი უნდა მიეცა მისი გავრცელებისათვის“.⁷⁴ სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია ივ.ქავთარაძის ეს ვარაუდი. თვამაჰიძე მიუთითებს: „ძველ ქართულში ზმნის აღწერითი წარმოება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. იგი არ წარმოადგენს უცხო ენათა გავლენის შედეგს“. ავტორი გამონაკლისად თვლის კაუზატივის აღწერით წარმოებას, რომელიც სომხურის კალკად მიაჩნია.⁷⁵

მკვლევართა ამ ვარაუდს მხარს უჭერს „სწავლაჲს“ ქართული თარგმანებიც: ის ფაქტი, რომ ქართულ თარგმანებში აღწერითი წარმოება ბერძნული წყაროსაგან დამოუკიდებლად გვაქვს და ისიც ეფთვიმესთან, რომელიც ითვალისწინებდა მშობლიური ენის ბუნებას, აღწერითი ფორმების ქართულ ბუნებაზე მიუთითებს. აღწერითი ფორმების გვერდით ორგანულის გამოყენება ამ თარგმანებში იმაზე მიუთითებს, რომ „ძველ ქართულშივე ისახება და ფართოდ ვითარდება ტენდენცია შეიცვალოს აღწერითი წარმოება ორგანულით“.⁷⁶

4. ბერძნული ზმნის პასივის გადმოცემისათვის

ბერძნული ზმნის პასივის ფორმა „სწავლაჲს“ ქართულ თარგმანებში გადმოიცემა ი - პრეფიქსიანი ვნებითით, აღწერითი წარმოებითა და იშვიათად ზმნის აქტიური ფორმითაც.

ბერძნულის პასივს ორივე თარგმანში შეესაბამება ინიანი ვნებითი:

უკუეთუ იხილონ ეშმაკთა, თუ იგინა ვინმე, ანუ შეურაცხ-ექმნა
E 13,2; T 13,1

Και εαν ιδωσιν οι δαιμονες οτι σβρισθη τις η ητυμασθη... 1681, C.

არა განიკურნა ET 27,12

Ουκ ιαθη 1685, B.

სათარგმნი წყაროს პასივს ეფთვიმეს თარგმანში შეესაბამება აღწერითი კონსტრუქცია, თეოფილეს თარგმანში - ინიანი ვნებით:

...საცნაურ იქმნა მის თანა კუმაშისა მისგან E 174,2;

...ცნობა ბერისა ჭურქლები ძმასა მას თანა T 174,2;

...εγχαρισθῆσαν τα σκευη του γεροντος 1700, A.

ბერძნული წყაროს პასივი თეოფილეს თარგმანში აღწერითად არის გადმოცემული, ეფთვიმესთან - მოქმედებითი გვარის ზმნით:

ერთსა უკუე დღესა ადბრა ეშმაკმან კაცი ვინმე E 119,1;

დღესა ერთსა ოდესმე ძლეულ იქმნა ვინმე მტერისაგან T 119,1;

ποτε ουκ ενεργηθεις τις σπο του εχθρου 1693, B.

ხოლო კითხეს ძმათა ნეტარსა მას E 108,1;

კითხულ იქმნა ესევე T 108,1;

Ηρωτηθη παλιν 1692, A.

მიტხა ვინმე E 85,2 - კითხულ ვიქმენ ოდესმე T 85,2.

უკანასკნელი წინადადების შესატყვისი ბერძნულში არ დასტურდება.

ერთ შემთხვევაში აღწერითი კონსტრუქციის მეშველი ზმნა აწმყოს ფორმითაა წარმოდგენილი:

ბრძანებულ ვართ მათდაცა შეურაცხ-ყოფად... T4,10 - προσ
τεταγμεθα καταφροσιν 1681, B (ეფთვიმეს თარგმანში შესაბამისი არ დასტურდება).

„ძლეულ იქმნა“ ტიპის წარმოება ძველ ქართულში გავრცელებული წარმოებაა (დადგინებულ იქმნა, განკეთებულ იქმნა, განძლიერებულ იქმნა, წარტყუენულ იქმნა, შეწყნარებულ იქმნეს, უწყებულ იქმნა...)⁷⁷ „კითხულ“ მიმდგომიანი კონსტრუქცია იშვიათი ჩანს. შდრ.: რომელსა-იგი კითხულ იქმნა A 689,49v.⁷⁸ ივ.ქავთარაძე აღნიშნავს, რომ მიუხედავად ასეთი ფორმების გავრცელებისა, „გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართულის ძეგლებში უფრო მეტად აქტიური კონსტრუქციებია (მოქმედებითი გვარის ფორმებია) გავრცელებული და უწყებულ იქმნა ჩვეულებრივ აუწყეს ტიპის ზმნებით არის წარმოდგენილი“.⁷⁹

5. ბერძნული ნაცვალსახელების გადმოცემისათვის

ერთგვაროვანი არაა ეფთვიმესა და თეოფილეს დამოკიდებულება ბერძნული ზმნის ფორმებთან შეწყობილი ნაცვალსახელების მიმართ. როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ნაცვალსახელების დამატება-დაკლებას რედაქციული თვალსაზრისით არა აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა, რადგან ეს მოვლენა უმთავრესად ქართულ ნიადაგზე ხდება. ორ და სამპირიან ზმნაში შეიძლება ბერძნულში არ იყოს ესა თუ ის ნაცვალსახელი და ქართველმა მთარგმნელმა თავისი მშობლიური ენის მოთხოვნის მიხედვით დაუმატოს, ანდა პირიქით: შეიძლება ბერძნულში იყოს იგი და ქართულში გამოტოვონ იმავე მიზეზით.⁸⁰

„სწავლავს“ ქართული თარგმანების შედარებით ბერძნულ ტექსტთან ერთი მხრივ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთარგმნელები ითვალისწინებენ ქართული ენის ბუნებას და არ თარგმნიან ბერძნულ ზმნასთან შეწყობილ ნაცვალსახელებს, რომლებიც ქართულ ზმნას ყოველთვის არც სჭირდება.

ა) ზმნის ფორმებს არ ახლავთ ობიექტური პირის ფარდი ნაცვალსახელები, რომელთა შესატყვისები დასტურდება ბერძნულში. ამ მხრივ ორივე თარგმანში ერთნაირი ვითარებაა:

შემინდვე, ვერ გულსავსე ვიქმნები E 157,13; T 157,15;

Συγχαριστον μοι: οσ πληροφορουμαι 1697, A.

...გიჟუნა სენი შენი E T 42,6;

...ενδειξε σιν την νοσον σου 1688, C.

მითხრობდა მამასახლისი მონასტრისა ერთისაჲ E 169,10;

მითხრა მუნ მამამან ვინმე მონასტრისამან T 169,11;

დიუიჟათო μοι τις των ηγουμενων 1697, D.

ბ) ზოგჯერ ზმნის ფორმებთან ორივე თარგმანში დასტურდება ბერძნული ტექსტის შესაბამისი ნაცვალსახელებიც:

უკუანახსენელ მრქუა მე ET 82,6 - σπερον δε λεγει μοι 1689, D.

შემინდვე ჩუენ E 136,6; T 136,5 - συγχαριστον ημων 1696, B.

მოვიდა უკუ ჩემდა და მრქუა მე E 175,3; T 175,4 -
ελθων ο ηγουμενος προς με... λεγει μοι 1700, A.

ასეთი შემთხვევები მეტია თეოფილესთან. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

მომეც მცირედი კუერცხი E 175,4;

მომეც მე მცირედი კუერცხი T 175,8;

დიც μοι ολιγα ωα 1700, A.

რომელსაცა საქმესა ზედა შეგაწუხოს ვინ... E 40,5;

უკუეთუ ვინ შეგაწუხოს შენ... T 40,5;

εαν τις σε εν οιωδηποτε πραγματι θλιψη... 1688, C.

მაშინ ჰრქუა... E 8,2;

მაშინ ჰრქუა მას... T 8,2;

τοτε ειπεν αυτω 1681, B.

ხოლო მე ლალობის სახედ ვარქუ მას E 130,1;

ვარქუ უკუე სიხარულით ნეტარსა მას T 130,1;

εγω; δε χαριεντισαμενος, ειπον προς αυτον 1696, A.

გ) ქართულ თარგმანებში ზმნებს ახლავს ნაცვალსახელები, რომელთა შესატყვისები ბერძნულში არ არის:

...რომელთა-იგი უწოდო შენ ჩემთანა E 16,10;

...რომელნი-იგი შემოჰკრიბნე შენ ჩემ თანა T 16,13;

οτε καλεσεις συν εμοι 1684, B.

და ვითარ მე ვასწაო E 16,9;

ანუ ვითარ ვასწაო T 16,12;

και παρ διδαξα 1684, B.

დ) ზოგჯერ დაპირისპირების გადმოსაცემად, ნაცვალსახელებზე ყურადღების გასამახვილებლად ზმნის ფორმასთან საჭიროა ნაცვალსახელი, რომელიც დასტურდება კიდევ „სწავლადს“ ორივე თარგმანში (და ბერძნულშიც):

მე ვარ, რომელმან განვკრეხე სენაკი შენი E 176,8; T 176,9;

εγω γαρ ειμι ο κλεψιας τα σκευη σου· 1700, B.

უკუანადგენელ მრქუა მე... ხოლო მე განვიდიმენ და ვარქუ მას
ET 82,6

σπερον δε λειπει μοι... *Εγω δε σπομειδιασαζ ειπον αυτω 1689, D.*

საერთოდ, რაიმე გარკვეული წესის, კანონზომიერების დადგენა ბერძნული ზმნის ფორმებთან შეწყობილი ნაცვალსახელების გადმოღებისა ჩვენი ძეგლის მაგალითზე შეუძლებელი ჩანს. ხან გადმოდის ეს ნაცვალსახელები, ხან - არა, ხან კიდევ ბერძნული ტექსტისაგან დამოუკიდებლად არის ისინი გამოყენებული ქართულ თარგმანებში.

ე) ბერძნულ განუსაზღვრელობითს ნაცვალსახელს იც (იც კითხვითი და მიმართებითი ნაცვალსახელია) ქართულ თარგმანებში შეესატყვისება „ვინ“, „ვინმე“, „კაც“, „ერთი“:

არს კაცი, რომელმან შეურაცხ-ყვნის მრავალნი კენტინარნი... E 51,3;

არს კაცი, რომელი დაუტეობს მრავალსა ტალანტსა... T 51,4;

Εστι γαρ οτε καταφρονει ις πολλων κεντηναριων... 1689, B.

უკუეთუ ვინ ცხონდეს... E 47,1;

უკუეთუ ცხოვნდეს კაცი... T 47,2;

Εαν ζηση ις... 1689, A.

უკუეთუ აქუნდეს კაცსა თავი თჳსი უდარეს სხუათასა... E 108,6;

უკუეთუ ვისმე აქუნდეს თავი თჳსი უდარეს მოყუსისა... T 108,5;

Εαν ις, ειπεν, εχη εαυτον ευτηλη... 1692, A.

იყო ძმა ვინმე ჩემ თანა E 109,2;

იყო ოდესმე ძმა ერთი T 109,1;

οτι ποτε ις των αδελφων 1692, B.

ნაცვალსახელების გამოყენების თვალსაზრისით ეფთვიმე და თოფილე იცავენ ქართული ენის ბუნებას.

6. ბერძნული რიცხვის გადმოცემისათვის

ბერძნული ტექსტისა და ქართული თარგმანების რიცხვის ფორმები საერთოდ ერთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ზოგჯერ ბერძნული

წყაროს მრავლობითი რიცხვის ფორმა ქართულში მხოლოდობით გადმოიცემა და პირიქით.

ა) ბერძნულში არსებითი სახელი მრავლობითშია, ქართულ თარგმანებში - მხოლოდობითში:

ვინ მოატყუა წმიდათა მოწამეთა გურგუნი... ET 26,8;

τις προέξενησε τοις αγιοις μαρτυσι τους στεφανους εκεινους 1685, B.

რომელსა დაესხა მხალი იგი E 6,1.

რომელსა ედგა მხალი T 6,2.

...εχοντος τα λαχανα 1681, B.

„მხალი“ კრებითი შინაარსისაა, ამდენად ბუნებრივია, რომ ქართულ თარგმანში იგი მხოლოდობითშია. თუმცა ეფთვიმესთან ეს სახელი მრავლობითშიც გვხვდება:

...და იწყო შემუსრვად მხალებისა მის E 7,3, მაგრამ აქ ბერძნული წყარო არ ჩანს ამოსავალი, ბერძნულში აღნიშნული არსებითის შესატყვისად არის ნაცვალსახელი:

και ηρξαντο συστριψειν αυτα 1681, B. (თეოფილესთან მხოლოდობითი რიცხვი გვაქვს: იწყო შემუსრვად მხლისა T 7,2).

ბერძნული ტექსტის მხოლოდობითი რიცხვის არსებითი ქართულ თარგმანებში გადმოსულია მრავლობითით:

უპატოსნეს ყოვლისა მონაგებისა, გუამნი ჩუენნი არიან E 4,6;

ჯორენი ჩუენნი უმჯობეს არიან და უპატოსნეს T 4,7;

...τιμιωτερον εστιν... το σωμα 1681, A.

„ჯორენი“ სხეულის მნიშვნელობით (το σωμα) ბევლ ქართულში იხმარება მრავლობით რიცხვში. მისი სინონიმია „გუამი“.⁸¹

ბერძნული წყაროს რიცხვის გადმოცემის თვალსაზრისით ქართული თარგმანები ზოგჯერ სხვაობენ ერთმანეთისაგან:

მვირედი ჟამი წარჯდა E 111,1;

წარჯდეს ამას ზედა ჟამნი მვირედნი T 128,1.

μικρος χρονος παρηλθε 1692, B.

არა მეტმარების წიგნი E 150,6.;

არღარა მოვიგებ წიგნთა T 150,8.

ოს მელა κτησασθαι βιβλιον 1696, D.

ბერძნულის მხოლოდითი ასევე გადმოაქვს ეფთვიმეს.

ბერძნული ტექსტის მრავლობითი რიცხვი მრავლობითითვეა გადმოცემული ეფთვიმესთან, თეოფილესთან - მხოლოდითით:

...არა მეტმარებიან ჩუენ წამალნი შენნი... μορχιλ εμμακια ყოფად E 22,5;

...არა მიტმს წამალი შენი... μορχιლებად მნებავს εμμακια T 22,6;

ოს მელა τα φαρμακα σου... σπηκοις მელა γενεσθαι των δαιμονων I 684, D .

ბ) ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანები განსხვავდებიან ზოგჯერ ბერძნული ზმნის რიცხვის გადმოცემის მხრივაც. ასე, მაგალითად:

არა გუტმს შენ მიერ კურნებად, არა მეტმარებიან ჩუენ წამალნი შენნი, არამედ წყლულებათა შინა ჩუენთა გუნებავს დალპობად E 22,2.

ხაზგასმული ზმნების შესატყვისად ბერძნულ წყაროშია პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმა: მელა, რომელიც უცვლელად გადმოაქვს თეოფილეს:

არა მნებავს განკურნებად შენგან, არა მიტმს წამალი შენი, დალპობად მნებავს წყლულებათა შინა ჩემთა, მორჩილებად მნებავს εμμαკια T 22,5;

ოს მელა ιαθηναι σπο σου· ოს მელა τα φαρμακα σου· σαπηναι მელა εν τοις τραυμα-σι μου. σπηκοις მელა γενεσθαι των δαιμονων 1684, D .

ბერძნული წყაროს მრავლობითის ფორმით წარმოდგენილ საწყისს ქართულ თარგმანებში შეესატყვისება საწყისი მხოლოდითში:

ლოცვითა მისითა მილხინე მე E 116,4.

ლოცვითა მისითა განმკურნე მე T 116,5.

δια των ευχων αυτου ιασαι με· 1693, A.

ქართულ თარგმანებში დაცული მხოლოდითი რიცხვის ფორმა საწყისისა ქართული ენისათვის ბუნებრივია.

7. ბერძნულის უშემასმენლო წინადადებათა გადმოცემისათვის

ა) ბერძნული წყაროს უშემასმენლო წინადადებების თარგმნისას ეფთვიმე და თეოფილე უმეტეს შემთხვევაში არ მისდევენ ბერძნულს - აღადგენენ შემასმენლებს:

Υμεις μοναχοι 1696, B – თქვენ მონაზონნი ხართა? ET 134,3;

Χαρις Θεου εις το στομα σου 1693, B – მაღლი ღმრთისაჲ არს პირსა შენსა E 119,5; T 119,7;

...και ουδεις αγιος 1685, B – და არღარავინ იპოოს წმიდაჲ ET 26,3.

ქართული თარგმანების არც ერთი ხაზგასმული ზმნის შესატყვისი ბერძნულ ტექსტში არ არის.

თეოფილე უმეტეს შემთხვევაში იხსენიებს იმ წინადადებებშიც უმატებს, რომელშიც იგი არ არის აუცილებელი:

აჰა, ესერა, მოიქნა ჟამი ჩუენებად ნაყოფსა სურვილისასა T 127,7;

ბერძნულში: Ιδου καιριος ενδειξασθαι τον καρπον του ποθου 1693, D.

შდრ. ეფთვიმეს თარგმანი: *აჰა, ჟამი ჩუენებად ნაყოფი წადიერებისა ჩემისაჲ E 127,5.*

ბ) იშვიათად ეფთვიმეს თარგმანში ბერძნულის მსგავსად არ არის შემასმენელი, თეოფილეს თარგმანში არის:

και ο κυριος 1689, B. – კუალად მოციქული E 52,4 - კუალად მოციქული იტყჳს T 52,4.

გ) ბერძნული წყაროს რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი მეორე წინადადება უშემასმენლოა, ასევეა ორივე ქართულ თარგმანში:

აჰა, წიგნი შენი მუნ სადმე ძეს და სამოსელი - მუნ სადმე E 176,9;

აჰა, ესერა წიგნნი შენნი მუნ სამე არიან და სამოსლოები შენი მუნ სამე T 176,11;

Ιδου το βιβλιον σου παρα τωδε εστι, και το ματιον σου παρα τωδε 1700, B.

და იყვნეს დღენი მკისანი და ადგილი იგი ფრიად მჭურვალე E 17,6;

და იყლ ზაფხული და ადგილი მჭურვალე ფრიად T 17,7;

Θερισ γαρ ην και ο τοπος καμαρημος 1684, B.

ისეთი შემთხვევაც დასტურდება, როცა ეფთვიმეს ბერძნული წყაროს რთულ თანწყობილში შემავალი შემასმენლიანი წინადადება უშემასმენლოდ გადმოაქვს, თეოფილე მიჰყვება ბერძნულს

ექმნის მონა ნემსისა, ანუ... და არა მონა ღმრთისა E 51,19;

ექმნების კაცი იგი მონა ნემსისა, ანუ... ვინაჲცა არღარა არს მიერიტვან მონა ღმრთისა T 51,11;

και γινεται τις του ραφιδιου δουλως, η... και ουκ εστι δουλως του θεου 1689, B.

ბერძნული ოქსტის უშემასმენლო წინადადებების ქართულად თარგმნისას ეფთვიმე და თეოფილე უმეტესად ალაღგენენ შემასმენლებს.

8. ბერძნული წყაროს სხვათა სიტყვის გადმოცემისათვის ქართულ თარგმანებში

„სწავლაჲს“ ქართული თარგმანები საინტერესო ჩანს ბერძნული წყაროს სხვათა სიტყვის გადმოცემის მხრივ.

ა) პირველი პირის პირდაპირი ნათქვამი ბერძნული ტექსტისა ორივე თარგმანში გადმოღებულია პირდაპირი ნათქვამითვე:

ვარქუ მათ: „ჰე, მიც სამი დრაჰკანი“ ET 129,2 -

λεγω αυτοις: Ναι, εγω τρια νομισματα 1696, A.

ზოგჯერ პირველი პირის ნათქვამის გადმოცემის მხრივ ქართული თარგმანები სხვაობენ ერთმანეთისაგან: ეფთვიმესთან ირიბი ნათქვამი გვაქვს, თეოფილესთან - პირდაპირი:

ხოლო მე ვჰკითხე მას, თუ რაჲ არს მიზეზი მწუხარებისა მისი-საჲ E 157,7;

ხოლო მე... ვარქუ მას: „რად არს რომლისათჳს შეწყუხებულ ხარ?“
T157,6.

ბერძნულში შესაბამისი შინაარსი განსხვავებულად - ინფინიტი-
ვური კონსტრუქციით არის გადმოცემული: ...ηρωτησα μαθειν την
αιτιαν 1697, A.

მეორე პირის პირდაპირი ნათქვამი ეფთვიმესთან ირიბით არის
გადმოღებული, თეოფილესთან - პირდაპირით, ისევე, როგორც
ბერძნულში:

აწ იტყუ, თუ გიყუარ E 110,5;

აწ იტყუ, შვილო, თუ მიყუარ შენ T 110,5.

თეოფილე მისდევს ბერძნულს, სადაც სხვათა სიტყვის შემასმე-
ნელი იმავე ფორმით (პირველი პირის) არის წარმოდგენილი, როგორ-
ც მთქმელმა, მოქმედების ჩამდენმა იხმარა: υυν λεγεις οτι
Αγαπω σε 1692, B.

გვხვდება საპირისპირო შემთხვევაც: მეორე პირის პირდაპირი
ნათქვამი ბერძნული ტექსტისა ეფთვიმეს თარგმანში
პირდაპირითვეა გადმოღებული, ზმნა პირველი პირის ფორმითაა
წარმოდგენილი, თეოფილესეულში - ირიბით, ზმნა მეორე პირის
ფორმითაა:

იტყუ, თუ არა მიქმნიეს ესე E 160,9;

იტყუ, თუ არა გიქმნიეს საქმე ესე T 160,12;

λεγεις οτι ουκ εποιησα το πραγμα τουτο 1697, B.

მესამე პირის პირდაპირი ნათქვამი უმეტესად პირდაპირითვეა
გადმოღებული ორივე თარგმანში:

და იტყოდა იგი, ვითარმედ: „იყო ძმაჲ ვინმე ჩემ თანა
მყოფთაგანი და მიელოცა სქემად ჩემ მიერ და ფრიად მეტჯურთა იგი“
E 109,1-5;

და იტყოდა იგი: „იყო ოდესმე ძმაჲ ერთი, რომელი მკუდრ იყო
ჩემ თანა და ჩემგან შეემოსა სქემად და ფრიად სწავლულ იყო
ჩემგან და დიდად ჩამოვჰყვებოდე“ T 109,1-5;

Και ελεγεν οτι, ποτε τις των αδελφων των μειναντων μετ εμου και λαβοντων παρ

εμου... πολλα συγκρουτησεις παρ εμου 1622, Β.

და მრქუეს მე: „გაქუს ოქროჲ?“ E 129,1;

ხოლო მათ მრქუეს მე: „გაქუსა ოქროჲ?“ T 129,1;

και λεγουσι μοι: “Εχεις χρυσιον 1696, Α.

ბ) ბერძნული ტექსტის ირიბი ნათქვამი, რომელიც მესამე პირს ეკუთვნის, ეფთვიმეს გადმოაქვს პირდაპირით, თეოფილეს ირიბითვე ბერძნულის მიხედვით:

იტყოდა იგი, ვითარმედ: „მმაჲ ვინმე მითხრობდა“, ვითარმედ: „მოდლუარ ჩემი იყო...“ E 118,1-3;

და იქსენებდა იგი ვისმე, რომელსა მიეთხრა მისდა, ვითარმედ აქუნდა მას მოძლუარი მისი.. T 118,1-4.

ამ ფრაზაში ორი სხვათა სიტყვაა: ეფთვიმეს თარგმანში პირდაპირი ნათქვამი: „მმაჲ ვინმე მითხრობდა“ და „მოდლუარ ჩემი იყო...“. თეოფილესაში: „რომელსა მიეთხრა მისდა“ და „აქუნდა მას მოძლუარი მისი“. ბერძნულშია: Εμεμνητο δε ο μακαριος τινος απαγγελαντος αυτον οτι ειχεν αββαν πανυ πραοτατον 1693, Β.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ორი საპირისპირო ვარაუდი:

1. ირიბი მეტყველება ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგო მოვლენაა (ვჭელიძე, გრ.შანიძე).⁸² 2. ირიბი მეტყველების კონსტრუქცია ძველ ქართულშივე ჩამოყალიბდა, მისი გაჩენა ქართულში არ შეიძლება უცხო ენის გავლენით აიხსნას (შ.ძიმიგური).⁸³

„სწავლაჲს“ თარგმანებშიც საერთოდ ბუნებრივი ჩანს სხვათა სიტყვის გადმოსაცემად ირიბი ნათქვამის გამოყენება.

დავასკვნით: 1. ეფთვიმე ათონელი, რომელიც საერთოდ თარგმნისას ითვალისწინებდა ქართული ენის ბუნებას, ამ თარგმანში ხშირად იყენებს მასდარულ კონსტრუქციასა და ზმნის აღწერით წარმოებას. ამ ფაქტს გარკვეული მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ კონსტ-

რუქციათა ქართული ბუნების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდთან დაკავშირებით.

2. მიმდებარე კონსტრუქციებს უფრო მეტად მიმართავს თეოფილე, რაც უნდა აიხსნას მისი მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებით - ზუსტად გადმოიღოს ბერძნული ტექსტი.

3. ბერძნული ნაცვალსახელების, რიცხვის, უშემასმენლო წინადადებების გადმოღებისას ეფთვიმე და თეოფილე ითვალისწინებენ ქართული ენის ბუნებას.

4. „სწავლაჲს“ თარგმანებში ბერძნული ტექსტის სხვათა სიტყვა მთარგმნელებს გადმოაქვთ როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ნათქვამით. ირიბი ნათქვამი სხვათა სიტყვის გადმოსაცემად ქართული ენის ბუნებრივი საშუალება ჩანს.

თავი მეოთხე

ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანების ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი

„სწავლაჲს“ ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანები ძირითადად ძველი, V-XI საუკუნეების ქართული ენის ნორმებს მისდევს, მაგრამ მათში გვხვდება ამ ნორმებისაგან გადახვევის შემთხვევებიც. დავახასიათებთ ორივე თარგმანის ორთოგრაფია-ფონეტიკას, გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებებს. მართალია, ხელნაწერებში დაცულ ორთოგრაფიულ და ფონეტიკურ თავისებურებათა მეტი ნაწილი გადამწერთა ენის კუთვნილება უნდა იყოს და არა მთარგმნელებისა, მაგრამ, ვფიქრობთ, ისინი მაინც საინტერესოა, რადგან ასახავენ ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში საუკუნეთა მანძილზე მომხდარ ცვლილებებს.

ეფთვიმეს თარგმანის ენობრივი მიმოხილვა

I. ხელნაწერთა ორთოგრაფია

ეფთვიმეს თარგმანის ხელნაწერებში ძირითადად ძველი ქართული ენის ორთოგრაფიაა დაცული, მაგრამ გვხვდება ზოგი გადახვევა.

ა) **ღ** ზოგჯერ არ დასტურდება მოსალოდნელ შემთხვევებში: სმენაჲ სიტყუსა მის ამონაჲსა A 40,2; წარპარვაჲ სამოსლისა A 179,10. ათონურ ხელნაწერში (B) ერთ შემთხვევაში **ღ** გვხვდება მოსალოდნელი **ი**-ს ნაცვლად: მონაგებჲ.

ბ) **ჭ** გრაფემა აღნიშნულ ხელნაწერებში არ გვხვდება. ყველგან, სადაც ძველი ქართულის ორთოგრაფიის მიხედვით **ჭ** არის მოსალოდნელი, დასტურდება **ე**: წამალთა მათ ქრისტესთა E 25,9;

სიტყუასა მას ევაგრესსა E 27,1; გონებაჲ მჭურვალე E 12,4; ძე მჭევლისა შენისაჲ E 194,7.

გ) უმარცვლო უ დაცულია „შუერ“ ფუძისაგან ნაწარმოებ ზმნისართში - „უმჭურომელად“ E 94,7. განსხვავებას გვიჩვენებს ათონური ხელნაწერი: ამ სიტყვაში უმარცვლო უ დაკარგულია: უშრომელად B78v.

დ) ზოგჯერ ერთმანეთშია აღრეული უმარცვლო უ და ჯ გრაფემები: მკჳდრ E 186,6, მაგრამ: დამკჳდრებული A 151r, შდრ.: დამკჳდრებული B 86r. B ხელნაწერში უმარცვლო უ-ს ნაცვლად დასტურდება ჯ: მომართუთ (მომართუთ B) აქა ყოველი მოთხები E 59,8. ზმნის ფორმა II ბრძანებითია, უი→ჳ არ არის მოსალოდნელი.

იშვიათად ერთმანეთში ირევა ო და უ გრაფემები: სურუდის (სუროდის B) E 147,1, ცოდისა (ცუდისა B) E 68,3, ქუნებაჲ (ქონებაჲ B) E 181,12, მოქალაქუბაჲ (მოქალაქობაჲ A) B69r, გაფოცებ (გაფუცებ A) B74v.

A ხელნაწერში მოსალოდნელი ვ-ს ნაცვლად გვაქვს ო: ვიყონეთ E 22,2, იყონენ E 35,2, E 52,3. ათონურში ამ ზმნებში უმარცვლო უ დასტურდება: ვიყუნეთ, იყუნენ.

II. ფონეტიკური მოვლენები

აღნიშნული ხელნაწერებით მოღწეულ ტექსტებში ფონეტიკური მოვლენები ნაკლებად გვხვდება.

ა) ასიმილაცია. ხმოვანთა ასიმილაციის მაგალითია მონოზონთა (← მონაზონთა), მონოზონებისაჲ E 186,20, მონოზონთაჲთა E 188,6. ასეთი ფორმები ხშირია, მათ გვერდით დასტურდება ამოსავალი ფორმებიც: მონაზონნი E 134,3, მონაზონნი E 186,4; 189,1.

თანხმოვანთა ასიმილაციის მაგალითებია: განცჳბრდეს (← განცჳფრდეს) E 61,5 და მამადმთავარი (← მამათმთავარი) E 104,11;

101.5. ეს ფორმა, რომელიც ხშირად გვხვდება ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიც, სხვადასხვანაირად არის ახსნილი: მ.ძიძიშვილი ამ ფორმას უძველესი ვითარების გადმონაშთად და ამდენად მრავლობითობის თ სუფიქსის დ-საგან მომდინარეობის საბუთად მიიჩნევს,⁸⁴ ც.ქურციკიძე - ასიმილაციის ნიმუშად თვლის,⁸⁵ ვ.იმნაიშვილი კი - დისიმილირებულ ფორმად.⁸⁶

ბ) ბგერის დაკარგვა. ხშირია სხვადასხვა ბგერის დაკარგვის შემთხვევები:

ვ: ითხოა E 18,8, პოა E 170,5, მაგრამ იპოვა E 134,1, აქსოხა E 114,6, მყოარ ქამ E 171,6.

დ: დიად B74*, მაგრამ: დიდად E 52,11.

დ არ იკარგება ილ-ზე დაბოლოებულ საწყისებში ვითარებით ბრუნვაში: მოსიკუდილდ ვარ 95v, იწყო ტირილდ E 14,20.

ბ: გამოქნის B73v, მაგრამ: გამოქმნის E 49,13.

რ: შემივდა (← შემივრდა) E 180,9, წავიდა E 180,9, მაგრამ წარვიდა B85v; ყმაჲ E 58,1, ყმასა 56,1, მაგრამ: ყრმაჲ B, ყრმასა B.

ნ: გჳჯსენინ (← გჳჯსენენინ) E 146,12.

ე: ესოდენი (← ესეოდენი) E 15,1, ეგოდენნიცა (← ეგეოდენნიცა) E 52,4.

B-ში დასტურდება ფორმა მქუნდა. აქ ო და უ გრაფემების მონაცვლეობა არ უნდა გვეკონდეს (მქონდა || მქუნდა), დაკარგული ჩანს ა. A ხელნაწერში შესატყვისად სწორედ მაქუნდა E 127,1 გვაქვს.

გ) რედუქცია: მკურნლისა E 20,5 მაგრამ: მკურნალისათა E 19,12.

დ) მეტათეზისი: ვიტჯრთვედ (← ვიტჯრთვედ) E 109,6; შეჭვრაცხოთ E 20,11, ამ სიტყვაში გადასმულია ობიექტური პირის ნიშანი ჰ.

ე) შერწყმა: ვე კომპლექსი სისტემატურად ო ბგერად არის შერწყმული დატევება ზმნაში: დატეობისაჲ E 51,5, დაუტეობთ E 64,15, დაგიტეობიეს E 49,8.

ძველი ქართული ენის ზოგიერთი ძეგლის ხელნაწერებში დადასტურებული დატეობა სპეციალურ ლიტერატურაში განიხილება, რო-

გორც ვ-ს დაკარგვის ნიმუში, რადგან ამ ფორმის პარალელურად დაცულია მისი ამოსავალი დატევა ფორმაც. ცქურციკიძე იმოწმებს შესაბამის ფორმებს ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმესეული თარგმანიდან: დამტეობელი, დამტეეობელი.⁸⁷ ჩვენს ძეგლში ამოსავალ ფორმად ჩანს ებ თემის ნიშნიანი: დაგიტეევიეს E 51,2.

III. მორფოლოგია

სახელები

1. ეფთვიმეს თარგმანში ხშირია უსულო საგნის სახელთა ებ-იანი მრავლობითის ფორმები: წიგნები, ქურქლები E 171,3-5, თუალები E 55,2, ასლები E 65,2, ქეები და მარგალიტები E 60,2, მხალეებისა მის E 7,3, მთხები E 59,9 (ძველი ქართული ენის ძეგლებში ხშირად ე ხმოვანზე გათავებული სახელები ებიან მრავლობითში ერთი ე-თია წარმოდგენილი).⁸⁸

2. გეოგრაფიული სახელი ბაბილონი მიცემით ბრუნვაში სავრცობიანია, როცა იგი ზმნის ობიექტური პირის ფარდი სახელია წინადადებაში და არა ადგილის გარემოება:

ვკურნებდით ბაბილონსა და არა განიკურნა E 27,11.

3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით ერთ-მანეთს ენაცვლება უნაწილაკო ვინ და მე ნაწილაკიანი ვინმე, უნაწილაკო ფორმები არქაულად ითვლება.⁸⁹

უკუეთუ ვინ მოიწყდნეს მიზეზნი... E 139,9;

უცხონი ვინ არიან შენ თანა? E 176,1

რამეთუ მესუა ოდესმე საყუარელი ვინმე მეგობარი E 157,1

ასევე ენაცვლებიან ერთმანეთს მიმართებითი ნაცვალსახელების უნაწილაკო და ნაწილაკებიანი ფორმები:

არა ვლოს წრფელსა ამას გზასა, რომელ ვლეს წმიდათა E 47,3;

უქმს მას მოთმინებად ყოვლისავე, რაოდენი უყოს მკურნალმან
მან საკურნებელი E 23,3;

მიიღეთ, რომელ-ესე დაგვიწყდა თქუენსა მას სენაკსა E 123,5;

ხოლო ჩუენ, რომელიცა-იგი რადმე სიმჭურვალე გუაქუნდა...
იგიცა... წარვწყმიდეთ E 100,16.

ეფთვიმეს თარგმანში ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი
- მხოლოდ ცა ნაწილაკიანი ფორმაც გვხვდება:

რადცა მოიწიოს შენ მიერ E 110,10;

ვიწყე ჩუენებად, რადცა მაქუნდა E 128,3;

რომელსაცა უკუე სუროდის E 23,1.

საერთოდ, ნაწილაკდართული ფორმები მეორეულ მოვლენად
ითვლება. უნაწილაკო ფორმები „უფრო ადრინდელია და ენის
განვითარების ძველი საფეხურის ამსახველია“⁹⁰ აღსანიშნავია, რომ
ეფთვიმეს თარგმანში მრავლად გვხვდება ცა ნაწილაკიანი ფორმები,
რომლებიც შემდეგ ახალ ქართულში გაბატონდა.

ზმნა

1. პირის ნიშნები. ა) ჩუენ ნაცვალსახელით გადმოცემული ობიექ-
ტური პირი ზმნაში უმეტესად გუ ნიშნით გამოიხატება:

დაგუამდაბლნა ჩუენ ეშმაკმან და თანა-გუავ გულისჯმის-ყოფად
E 34,6;

ღირს-გუყავნ ნაწილსა მშუდთა და მდაბალთასა E 146,12;

ბოროტნი იგი ნებანი ჩუენნი დაგუმძიმებენ მათ E 53,11;

ოდეს ვისგანმე შეგუემთხუოს ბოროტი რადმე ჯორციელი, არა
გუღირს მწუხარებად ამისთუს E 64,2.

ასეთი ფორმები ნორმა ჩანს ორივე თარგმანში. მ ნიშნიანი ფორ-
მები იშვიათია:

არამედ მცნებისათუს უფლისა შემინდვე ჩუენ E 136,6;

ღმერთსა ვევედრებოდით, რადთა მან მომცეს ძალი წინააღ-
გომად... E 193,13.

ერთ წინადადებაში გვხვდება ორივე წარმოების მაგალითი:

არა გჳჳმს შენ მიერ კურნებაჲ, არა შეტყმარებთან ჩუენნი წამალნი შენნი, არამედ წყლულუებათა შინა ჩუენთა გუნებაჳს დალჳობაჲ E 22,7

ბ) ერთი მაგალითი შეგვხვდა -ედ ნიშნიანი უწყვეტლის ხოლმეობითისა, რაც იშვიათია ძველი ქართული ენის ძეგლებში:

და იგი რაჲ მოვიდის, ივლტოდიედ ვნებანი და სიმყრალე მათი უჩინო იქმნის E 189,9.

სამეცნიერო ლიტერატურაში -ედ მესამე სუბიექტური პირის უძველეს ნიშნად ითვლება. ეს ნიშანი ძველი ქართული ენის ძეგლებში აწარმოებდა აწმყოს ხოლმეობითსა და I-II ბრძანებითის III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებს. -ედ ნიშნიანი იშვიათი ფორმები განხილული აქვთ ილ.აბულაძეს, ზ.სარჯველაძეს.⁹¹ ზ.სარჯველაძის დაკვირვებით, ასეთი საინტერესო ზმნური ფორმები უმთავრესად გვხვდება იმ ხელნაწერებში, რომლებიც დაწერილია ან გადაწერილია სამხრეთ საქართველოში, ან სინას მთასა თუ ათონზე, შესრულებულია სამხრეთ საქართველოს წარმომადგენელთა მიერ. ანალოგიური ფორმები მრავლად არის წარმოდგენილი ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმესეულ თარგმანში.⁹²

გ) ერთ ზმნაში უწყვეტელში მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში მოსალოდნელი -ეს ნიშნის ნაცვლად გვაქვს -ენ, რაც უჩვეულოა ძველი სალიტერატურო ქართული ენის ნორმების მიხედვით:

ყოველნი პატვი-სცემდენ მას სათნოებისა მისთჳს მისისა და ისმენდეს მისსა E 178,3 უნდა გვეჩონოდა პატვი-სცემდეს (იგინი), ამას კონტექსტი და მეორე ზმნაც მიგვითითებს: ისმენდეს.

ელ.ნიკოლაიშვილმა გაარკვია, რომ უძველესი ძეგლი, რომელშიც დასტურდება -ენ ნიშანი, მოსალოდნელი -ეს ნიშნის ნაცვლად, არის „ქართლის ცხოვრების“ ანასეული ნუსხა.⁹³

დ) „შესწირავს“ ფორმაში დაცულია მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანი, მაგრამ მას არ ეწყობა შესაბამისი ობიექტი მიცემით ბრუნვაში:

შესწირავს კაცი ღმრთისა გულსმოდგინებასა E 88,4;

ვედრებასა შევსწირვიდი ღმრთისა E 66,10.

ე) ერთპირიან ფორმაში დაცულია ოდინდელი ობიექტის ნიშანი:

სცდეს ერთსა ზედა E 16,2⁹⁴

2. მომავალი დროის გამოხატვა. ა) ეფთვიმეს თარგმანში მომავალი დროის გადმოსაცემად ხშირად გამოიყენება კავშირებითი მწკრივის ფორმები:

წარვიდე და ვპრქუა მას, რად-იგი შეჰგავს მისდა თქუმად E 149,5.

არა დავიცვნე მცნებანი შენნი, არამედ ნებაჲ მტერისა შენისა - ემშაკისაჲ აღვასრულლო E 82,13;

უკუეთუ მღვკუდე, რად შევიძინო თუალებისა ამისგან? E 63,2.

ბ) მომავალი დრო გამოხატულია ზმნისწინიანი აწმყოთი:

უკეთურებაჲ პირველად მომპოვნებელსა მისსა განჰლევს და ავნებს E 68,6;

მაშინ მოეცემის მას სულიერი იგი მარლი E 189,6;

ამისთჳს მოიღებს ჩუენგან მიზეზსა და აღასრულლებს ნებასა თჳსსა E 168,1;

ხოლო მე, რადცა მოიწიოს შენ მიერ, არა შევიცვალე სიყუარულისაგან შენისა E 110,10.

გ) ერთმანეთის გვერდით - ერთ წინადადებაში მყოფადის გადმოსაცემად გამოიყენებულია კავშირებითი მწკრივი და ზმნისწინიანი აწმყო:

უკუეთუ მოიწყინოს და წარვიდეს, ვერარას და დაისწავლის E 93,1;

უკუეთუ ენებოს კაცსა, ესევეითართაგან ფრიად შეიძენს E 131,7;

უკუეთუ ნივთი იგი მოაკლდეს, დაშრტების... E 139,3.

დ) მყოფადი იშვიათად გადმოცემულია აღწერითი კონსტრუქციითაც - საწყისითა და მეშველი ზმნით - უნდაობითი ფორმით.⁹⁵

შემდგომად მცირედისა მოკუდობადვე ვართ E 53,7;

ვად მე, რამეთუ მოსიკუდილდ ვარ E 14,19.

ე) ცნობილია, რომ მყოფადი ძველ ქართულში ზოგჯერ ხოლმეობითის მწკრივითაც - განსაკუთრებით მეორე ხოლმეობითით, გადმოიცემოდა.⁹⁶ ამ მოვლენის მაგალითები გვხვდება ეფთვიმეს თარგმანშიც:

მო-რად-ვიდის მარილი, წარწყმდიან მატლნი და სული სიმერალისაჲ დასცხრის E 187,5;

უკუეთუ ღმერთმან არა მოსცის წუმაჲ თესლსა მას, ცუდ იქმნის შრომაჲ მისი E 97,3;

უკუეთუ ვიტჯრთით ძმაჲ ჟამსა შფოთისასა, შევიძინით მისიგა სული E 132,2

ამ მაგალითებში ხაზგასმულ ზმნებს რომ მყოფადის მნიშვნელობა აქვთ, ჩანს თეოფილეს თარგმანის შესატყვისი ადგილებითაც, სადაც მათ ზმნისწინიანი აწმყოს ფორმები შეესაბამებათ.

ამ ძეგლის მიხედვით ხოლმეობითის მწკრივების მყოფადის მნიშვნელობით გამოყენება ეფთვიმეს ენის თავისებურება ჩანს. თუმცა, როგორც ც.ქურციკიმემ გაარკვია, ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმესეულ თარგმანში ძველი თარგმანის ხოლმეობითის ფორმებს აწმყოს ფორმები შეესაბამება.⁹⁷

3. კილო. ა) კავშირებითი კილო, ჩვეულებრივ, ძველი ქართული ენის სხვა ძეგლების მსგავსად გადმოიცემა კავშირებითის და მგა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმებით.⁹⁸

-მგა ნაწილაკი გვხვდება სხვადასხვა მწკრივთან, ყველაზე ხშირად უწყვეტელთან და წყვეტილთან:

ვითარმგა ესრეთ ვეტყობდეთ ქრისტეს E 22,3;

უკუეთუმგა გაქუნდა შიში ღმრთისაჲ, ამასმგა არა იქმოდეთ E 134,5;

უკუეთუმგა არა სნეულ იყავ, არამგა გელმოდა E 42,2;

უფროცხმა ალიძრა მხლისა მისთვის E 10,2;

უკუთუტმა იხილნეს სიღრმენი ბოროტთა ჩუნეთანი, გარე-
მიქცესმა ჩუნგან E 32,1;

ვინმა დაარწმუნა ჭეშმარიტა მდაბალსა ბოროტის წურთაჲ
ვისთვისე E 10,2

I თურმეობითთან:

გაპოვნის-მა ღმერთი E 52,9.

II თურმეობითთან:

...ესემა არა გუქქნა E 135,5.

II თურმეობითთან -მა ნაწილაკის ხმარება XI საუკუნიდან შეიძწნევა.⁹⁹ ეფთვიმეს თარგმანში -მა ნაწილაკიანი თხრობითი კი-
ლოს ფორმების გამოყენება კავშირებითი კილოს გადმოსაცემად ჯერ
კიდევ ნორმას წარმოადგენს. მაგრამ მიუხედავად -მა ნაწილაკის
ასეთი პროდუქტიულობისა ეფთვიმეს თარგმანში მაინც შეინიშნება
ამ ნაწილაკის ფუნქციის მოშლის შემთხვევა - -მა ნაწილაკი ახლავს
კავშირებითის მწკრივს:

ჯერეთ ვერვინ ვპოე, რაჲთამცა უყუარდე, ვითარ მე მიყუარნ იგი
E 114,9.

მდრ. თეოფილე: ვერ ვპოე ჯერეთ კაცი, რაჲთამცა უყუარდე
ესრეთ, ვითარ მე მიყუარნ იგი T 114,10.

ვარაუდობენ, რომ -მა ნაწილაკის ფუნქციის მოშლის პროცესი
დაიწყო XI საუკუნიდან და გაგრძელდა XVIII საუკუნემდე. XI
საუკუნიდან იგი გვხვდება ისეთ შემთხვევებში, სადაც ძველი
ქართულის ნორმების მიხედვით მოსალოდნელი არ არის.¹⁰⁰

ბ) ძველ ქართულში I პირის მრავლობითი რიცხვის I და II
კავშირებითები გამოიყენებოდა ბრძანებითი კილოს გამოსახატ-
ვად.¹⁰¹ ასეა ეფთვიმეს თარგმანშიც: ესრეთ ილოცვიდეუ კაცად-
კაცადი ჩუენი E 193,16;

ამისთვის უკუე ვაგრძალნეთ და მარადის ღმერთსა ვევედრე-
ბოდით, რაჲთა მან მომცეს ძალი... E 193,11.

ეფთვიმეს თარგმანში ერთი მაგალითი შეგვხვდა აწმყოს I პირის მრავლობითი რიცხვის -მცა ნაწილაკიანი ფორმისა, რომელსაც ბრძანებითი კილოს მნიშვნელობა აქვს.¹²

უკუეთუ ვწუხდეთ, მისთჳსმცა მწუხარუ ვართ, რომელ ევრო ძმასა მას სულიერად E 64,6.

4. ზმნისწინი. ეფთვიმესთვის დამახასიათებელია ტმესის მოვლენები. ტმესი გვხვდება თეოფილესთანაც, მაგრამ ეფთვიმესთან მათი რიცხვი მეტი ჩანს:

წარ-რად-სრულ იყო E 170,1; მო-ვინმე-ვიდა E 81,2; E 179,9;

შე-უკუ-გიქციესა E 130,2; შე-რად-ვიდა E 176,4; მი-რად-ვიდა E 7,1;

მი-ოდესმე-ვედი E 169,9; შთა-თუ-ჯდეს, აღ-თუ-ჯდეს E 35,5.

5. ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება. ძველი ქართული ენის ნორმების თანახმად სუფიქსად ვნებითი გვარის ფორმებში გვაქვს ნ←ენ. იმ ზმნებში, რომელთა ფუძე სონორი ბგერით თავდება, ვნებითს აწარმოებს -დ სუფიქსი:

განკაც-ნა რად ქრისტე... E 14; სიყვარულისათჳს ერთისა ნემსისა აღშფოთ-ნ-ის E 51,7; ჯერეთ ჳორციელად ვცხონ-დ-ები E 14,18; ...ზე-ცად აღმალლ-დ-ების E 35,7; ...არცა შეწუხ-ნ-ა E 181,11; შევწუხ-ენ და მოვედ ნუგეშინის-ცემად შენდა E 177,6.

უკანასკნელი ზმნა -დ სუფიქსითაც გვხვდება: არა შეწუხ-და E 131,4.

6. მწკრივები. ა) ეფთვიმეს თარგმანში პროდუქტიული ჩანს აწმყოს ხოლმეობითის - მწკრივი: წუხნ E 21,8; აყუედრებნ E 41,4; იტყუნ E 48,3; არნ E 13,4; სურინ E 41,1. საინტერესოა, რომ თეოფილეს თარგმანში ამ ფორმების სანაცვლოდ პარალელურ ადგილებში ზოგან აწმყოს მწკრივი დასტურდება. აწმყოს ხოლმეობითი ეფთვიმეს თარგმანში ხშირად II ხოლმეობითის გვერდით გვხვდება ერთ წინადადებაში:

არავინ შეეცვის სოფლისა ვაჳრობათა, არამედ ისწრაფინ... E 192,5;

ვაჳარი იგი ანუკვებნ და ტაბლად თჳსა მოხადის მას E 56,4;

აღილის ჳელთა თჳსთა... და იტყუნ E 2,1.

ბ) -ოდ სავრცობიანი ზმნები მისდევენ უღლების ძველ წესს -
შებრუნებით აქვთ ნაწარმოები უწყვეტელი, I ბრძანებითი და I

კავშირებითი. უწყვეტელსა და I ბრძანებითში მწკრივის ნიშანია ე:

უწყვეტელი: მე ყოველი მესმოდა და ვიტყვოდე E 111,5;

ვიდოდეთ მე და ძმაჲ ერთი ოდესმე... E 79,2;

ვსხედით უკუე დღესა ერთსა და ვიტყვოდეთ E 156,1

I ბრძანებითი: *ესრეთ უკუე უწყოდეთ, ვითარმედ... E 3,1;*

უფალო, მაცხოვრე და მიძლოდე მე ნებასა შენსა E 194,8

I კავშირებითის მწკრივის ნიშანია ი:

...რადთა ივინებოდის და შეურაცხ-იქმნებოდის და მოითმენდეს
E 47,5;

რადთა აღიძრვოდის და არას იტყოდის E 85,6.

ერთ შემთხვევაში დარღვეული ჩანს ეს წესი:

ესე უწყოდეთ, ვითარმედ არავინ იტყჳს ჭეშმარიტსა E 29,1.

კონტექსტის მიხედვით უწყოდეთ I სუბიექტური პირის ფორმა,
უ ხმოვნის წინ დაკარგულია პირის ნიშანი ვ. კონტექსტში მას
ბრძანებითის მნიშვნელობა აქვს. ეს ჩანს თეოფილეს თარგმანის
პარალელური ადგილიდანაც, სადაც -მცა ნაწილაკიანი აწმყოს პირ-
ველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა დასტურდება.¹⁵

ესემცა ვივით რომელ არავინ იტყჳს ჭეშმარიტსა... T 29,1.

ბერძნულ წყაროშიც პირველი პირის მრავლობითი რიცხვის
ფორმაა: τὸυτο δὲ μαρτυρεῖ, οτι οὐδεις ἐστιν ἀληθεύων... 1685, C.

ეფთვიმეს თარგმანიდან ზემოთ დამოწმებულ წინადადებაში
უნდა გვქონდეს არა „უწყოდეთ“ (უწყვეტელი), არამედ „უწყოდით“
(I კავშირებითი): პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ბრძანებითი
კილოს გადმოსაცემად გამოიყენება კავშირებითის მწკრივი.

გ) ერთი და იმავე ზმნის II კავშირებითი იწარმოება ორგვარად
ა და ე სუფიქსებით: *მძლე ვექმნა ვნებათა E 16,13;*

და არა ვექმნე მორჩილ მისა E 15,10.

ასეთ ფორმებში ასახულია ის ცვლილებები II კავშირებითის
ფორმათა წარმოებაში, რომლებიც შეინიშნება ძველი ქართული ენის

ბოლო პერიოდში: ა გამოვლინდება იქ, სადაც ე იყო მოსალოდ-
ნელი.⁵⁴

დ) გარდამავალი ზმნების I თურმეობითს მხოლოდ იე დაბო-
ლოება აქვს.

ამ მხრივ ეფთვიმეს თარგმანი მთლიანად ძველი ქართული ენის
ნორმებს მისდევს:

შენ იტყუ... თუ არა მიქმნიეს ესე E 160,9;

ესოდენი მოლუაწებაჲ მომიგიეს... E 15,1;

რაჲ მოვითმენიეს ჯერეთ ღირსად მისსა E 49,5;

დავითობიეს E 49,8; შეურაცხიეს E 3,4; აღმისრულებიეს E 148,4.

ე) ხმოვანმონაცვლე ზმნების აწმყოს მწკრივის წარმოებაში შეი-
ნიშნება ძველი ნორმების რყევა. პარალელური ფორმებია: გამოაჩენ
და გამოაჩინებ.

ამით გამოაჩენ სენსა შენსა E 42,11;

დაღაცათუ განწყუნას, ნუვე მოიწყინებს E 94,8.

„მოიწყინებს“ ფორმისათვის ამოსავალია მეორე სერიის ფუძე,
რომელიც გართულებულია -ებ თემის ნიშნის დართვით.⁵⁵

ასევე დარღვეულია ძველი ქართულის ნორმა „ზარდ“ ფუძისაგან
ნაწარმოები ვნებითი გვარის ზმნის აწმყოში - ფუძე შეკუმშულია:

მეერთგან უჭირველად იქმნ ვიდრელა იზრდებინცა მისგან E
93,10.

ძველი ქართულის ნორმის მიხედვით ასეთი ფუძე I სერიაში არ
იკუმშება.⁵⁶

უდეტრები

1. ეფთვიმეს თარგმანში დასტურდება ივ ბრუნვისაგან ნაწარმოები
ზმნიზედა.⁵⁷

მიზეზნი სიძვისანი არიან... ჭამაჲ და სუმაჲ მადღრიჲ და ფრიადი
ძილი E 140,6.

2. თანა თანდებული ვინ ჯგუფის სახელს ჩვეულებრივ დაერთვის ნათესაობითში:

ვიდოდეთ ოდესმე მე და სხუანი ძმანი ბერისა მის თანა დიდისა E 133,5.

იშვიათად ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ეს წესი ირღვევა.¹⁰⁸ თანა თანდებულთან მიცემითშია მესამე პირის ნაცვალ-სახელი, რომელშიც ნაგულისხმევია ვინ ჯგუფის სახელი:

უკუეთუ... აბრალოს თავსა თჳსსა, მივიდეს და შეუერდეს ძმასა მას, მას თანა არა არს მეორედი გულისწყრომაჲ E 145,3.

3. და კავშირი მაპირისპირებელი *ხოლო* კავშირის მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული შემდეგ წინადადებებში:

ისწავენ მგნებანი ქრისტესნი, რომელსა შეურაცხ-ჰყოფდეს და იგი დუმნა, ჰგუემდეს და არა მიაგებდა E 43,2;

და კულად იგი რისხვით გუაგინებდა და ბერი ეტყოდა E 136,1

„და“ და „ხოლო“ კავშირების მონაცვლეობა ძველი ქართული ენის ძეგლებში დადასტურებული ენობრივი ფაქტია.¹⁰⁹

მაპირისპირებელი *გარნა* კავშირის მნიშვნელობა აქვს და კავშირს შემდეგ წინადადებაში:

შურებინ და იჭირვონ და მრავალგზის განწყუნის და არავე მოიწყინის, არამედ... E 92,5.

„და“ კავშირის ეს მნიშვნელობა ამ მაგალითში კარგად ჩანს თეოფილეს თარგმანის პარალელური ადგილიდან:

შურების და იჭირვის... მრავალგზის და განჰწყუნისცა, გარნა ყოველსავე ზედა არა მოიწყენს T 92,8.

და რადთა კავშირის მნიშვნელობითაც გამოიყენება:

მამაო, დაუტევე ეგე, და ვყოთ დღეს სიყუარული E 8,3.

ეს მნიშვნელობა ამ კავშირისა თეოფილეს თარგმანითაც დასტურდება:

მამაო, დაუტევე ეგე, რადთა მაგას ზედა ვყოთ სიყუარული T 8,3.

ბერძნულში შესაბამისად არის και: καί πατερ, αφες αυτου, και ποιουσμεν εις αυτο αγαπην 1681, B.

4. ა) ეფთვიმეს თარგმანში თეოფილესეული თარგმანისაგან განსხვავებით ხშირია კითხვითი ა ნაწილაკის დართვის შემთხვევები, დაერთვის იგი ზმნას:

თქუენ მონაზონნი ხართა? თქუენ გემინისა ღმრთისაგან? E 134,3;

არა დამამურად იყლა ქმნასა მისსა? ანუ არა ეჭმარებოდდა იგი? E 6,2;

დასტურებით ესრეთ არსა? E 58,1.

„ა“ ნაწილაკის ხშირი გამოყენება ეფთვიმეს თარგმანში, როგორც თეოფილეს თარგმანზე ადრინდელში, ბუნებრივი ჩანს,

ბ) იშვიათი ჩანს სხვათა სიტყვის ო ნაწილაკი:

აქსოსა ღმრთისმოყუარებასა შენსა ოდეს-იგი მარქუ, ვითარმედ მიყუარო E 114,6.

ც.ქურციკობის დაკვირვებით, ეს ნაწილაკი „თავისი ადგილის მიხედვით წინადადებაში შეესაბამება ბერძნულ ფიქს ზმნის მესამე პირის ფორმას, რომელიც ბერძნულში სწორედ სხვისი ნათქვამის გადმოსაცემად იხმარება.¹⁰ ზ.სარჯველაძეს ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი სტილისათვის საერთოდ დამახასიათებლად მიაჩნია სხვათა სიტყვის ეს ნაწილაკი.¹¹

IV. სინტაქსი

1. განსაზღვრება და საზღვრული წევრი

ა) ეფთვიმეს რედაქციაში გვხვდება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური განსაზღვრება:

ბევრეულნი ბოროტნი გიქმნიან E 160,10;

სხუად სოფლად მიიგვალა იგი E 186,5;

მივედ წმიდად ქალაქად E 81,2;

განსწმედ სენთა ჯორციელთა E 22,15;

ვსხედით უაუ დღესა ერთსა E 156,1;

მე ვარ, რომელმან განგვრეხე სენაკი შენი E 176,8.

ზოგჯერ ერთ წინადადებაში გვხვდება ორივე წყობა:

ვითარცა-იგი მგზავრსა უცხოთა ვერ ჯელ-ეწიფების შესლვად
სახედ უცხოთსა მოქალაქისა და სავანე ყოფად... E 193,2;

შემძლებელ არს გონებაჲ მჭურვალე ერთსა შინა ჟამსა ჩუენებად
ღმრთისა გულსმოდგინებასა, რომელი ვერ უჩუენის სხუამან
გონებამან დაქსნილმან ერგასის წელ E 12.

გამორკვეულია, რომ ძველ ქართულში, ახალი ქართულისაგან განსხვავებით, სხვადასხვა მეტყველების ნაწილით გამოხატული მსაზღვრელის ადგილი სხვადასხვაა. უძველეს ქართულში მსაზღვრელის ადგილისათვის ნორმალური უნდა ყოფილიყო პრეპოზიცია.¹² სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია ვარაუდი, რომ ორიგინალურ ძეგლებში ჭარბობს პრეპოზიციური წყობა, ნათარგმნში - პოსტპოზიციური.¹³ ეფთვიმეს თარგმანში თითქმის თანაბრად გამოიყენება ორივე რიგი.

ბ) თანდებული უმეტესად ახლავს საზღვრულს როგორც პრეპოზიციის, ისე პოსტპოზიციის შემთხვევაში. მნიშვნელობა არა აქვს, რით არის გამოხატული მსაზღვრელი:

რად არა უკუე საუკუნთსა მის ცხორებისათჳს ვიგონებთ ამს?
E 54,1;

იწყო მრავლისა ბოროტისა სიტყუად ჩემთჳს, ვიდრელა
ხენუმთაგა სიტყუათამდე E 111,2;

ნუუკუე ჩემისაგა სულისათჳს თქუას E 27,10;

ვირგებთ რას ესევითარისა მის სიმდიდრისაგან E 101,6;

გარემიიქცესმეა ჩუენგან, ვითარცა სიმყრალისაგან მწურისა
ვითარცა სულისაგან არაწმიდებისა E 32,3;

თანა-გუაჲ სახელისათჳს ქრისტესისა ვნებაჲ E 20,7;

ღირს იქმნიან სახელისათვის უფლისა გინებისა... თავს-დებად E 72,5.

შეტად იშვიათია ამ წესისაგან გადახვევის შემთხვევა - თანდებული ახლავს ნაცვალსახელით გადმოცემულ პოსტპოზიციურ მსაზღვრელს:

უკუეთუ სიყუარული ვნებათაჲ ... აღმოვიგდით გულთა ჩუენთა-გან... E 69,3.

ერთ წინადადებაში ორი ერთი და იმავე ტიპის მსაზღვრელიანი შესიტყვებისაგან ერთში თანდებული ახლავს საზღვრულს, მეორეში - მსაზღვრელს:

ვითარცა ილოცავ თუალისათვის შენისა და კელისა... ეგრეთვე ძმისა შენისათვის ქმენ E 67,1.

იშვიათად თანდებული შეიძლება დაერთოს მსაზღვრელსაც და საზღვრულსაც:

არცა თუ ახლადმოსრულთა საზომსა მოვსწუთებით ფრიადისა მის უდებებისათვის ჩუენისათვის E 86,2.

მიუხედავად ამ იშვიათი გამონაკლისებისა, თანდებულის ადგილი ეფთვიძემსთან მყარი ჩანს - იგი დაერთვის საზღვრულს.¹⁴

გ) რიცხვში ურთიერთობის მიხედვით განსაზღვრებასა და საზღვრულ წევრს შორის სავსებით ისეთი ვითარებაა, როგორც საერთოდ ძველ ქართულში. დასტურდება ერთი შემთხვევა, რომლის მსგავსი ძალიან მცირეა ძველი ქართული ენის ძეგლებში - ებიან მრავლობითში მრავლობითის ნიშანი აქვს მხოლოდ მსაზღვრელს:

გარემიიქცესმცა ჩუენგან... ვითარცა სულისაგან არაწმიდებისა E 32,2.

ასეთ შემთხვევაზე ყურადღებას ამახვილებს ივ.იმნაიშვილი. იმოწმებს მაგალითს: „სამოსლითა სპეტაკებითა“ გამოცხ. 7,9.¹⁵

დ) ეფთვიძემს თარგმანში გვხვდება რამდენიმე შემთხვევა ისეთი მსაზღვრელისა, რომელთანაც საზღვრული ჩავარდნილია. ასეთ მსაზღვრელს განმარტოებულ მსაზღვრელს უწოდებენ.¹⁶ განმარტოე-

ბული მსაზღვრელი მომდინარეობს ნათესაობით ბრუნვაში დასმული პოსტპოზიციური მსაზღვრელისაგან:

შეიპყრეს იგი მონასტრისათა E 174,3.

ჩავარდნილად უნდა ვიგულისხმოთ მამათა, მსახურთა, კაცთა... ეს ჩავარდნილი საზღვრული დასტურდება კიდევ თეოფილეს თარგმანში სხვა ადგილას: *მითხრა მუნ მამამან მონასტრისამან T 169,11.*

ასეთივეა შემდეგი მაგალითი: *ვიკითხევდით რაჲ „მამათასა“... E 122,5.* „მამათასა“ არის მსაზღვრელი, საზღვრულად უნდა ვიგულისხმოთ „წიგნსა“. შდრ.: თეოფილე: *ვიკითხევდით ჩუენ „წიგნსა წმიდათა მამათასა“ T 122,7.*

ამავე ტიპისაა შემდეგი მაგალითი, რომელშიც საწყისს არ ახლავს საზღვრული წევრი:

ხოლო კითხვისასა მივემთხუენით თავსა მას... E 138,3.

იგულისხმება: „ჟამსა კითხვისასა“.

2. სახელთან ზმნის რიცხვში შეთანხმების საკითხი

ა) გამორკვეულია, რომ ძველი ქართული ენის ძეგლებში საკმაოდ ხშირია სახელთან ზმნის რიცხვში შეთანხმების ძველ ქართულში ნორმად მიჩნეული წესის დარღვევის შემთხვევები.¹⁷ ამ მოვლენის რამდენიმე მაგალითი ეფთვიმეს თარგმანშიც დასტურდება:

ბევრეულნი ბოროტნი გიქმნიან და დაგვიწყებთ E 160,10.

ქვემდებარედ მეორე შემასმენელთან იგულისხმება „ბოროტნი“. I თურმეობითის ფორმაში მოსალოდნელი იყო „დაგვიწყებინ“, როგორც არის ეს კიდევ იქვე სამიოდე სტრიქონის შემდეგ: *აწ უჟუთ ვითარცა იგინი დაგვიწყებინ... E 161,1.*

შვენიშნავთ, რომ ეს, ძველი ქართულისათვის უსწორო ფორმა, შემდეგ გაცხოველებულ ტექსტშია დაცული.

ბ) ჩუენ ნაცვალსახელით გამოხატული პირდაპირი დამატება II ბრძანებითში შემასმენელს ვერ ითანხმებს რიცხვში - ვერ აჩენს ზმნაში მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ სუფიქსს:

იესუ ქრისტემან გჯესენინ ესევითარისაგან და ღირს-გუყავნ ნაწილსა მშუდთა და მდაბალთასა E 146,11.

ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით მოსალოდნელი იყო: „ღირს-გუყვენინ“ (მან ჩუენ).

საინტერესოა შემდეგი მაგალითიც: *რამეთუ ურთიერთას ასოებ გუყლ ღმერთმან E 65,2.*

დამატებად ამ ზმნის ფორმასთან იგულისხმება „ჩუენ“, უნდა გვქონოდა წყვეტილის მწკრივში „გუყვნა“. რიცხვში შეუთანხმებლობა შეიძლება იმის შედეგიც იყოს, რომ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ებიან მრავლობითშია, ებიანი მრავლობითი კი ძველ ქართულში ზმნას ვერ ითანხმებდა რიცხვში. საინტერესოა, რომ B-ში დასტურდება „გუყუნა“, „ნა“ შემდეგაა დამატებული.

3. თანდებულიანი და უთანდებულო ფორმების მონაცვლეობა ეფთვიმეს თარგმანში წინადადების სხვადასხვა წევრის ფუნქციით ერთმანეთს ენაცვლება სახელთა სხვადასხვა ბრუნვის უთანდებულო და თანდებულიანი ფორმები.

მიცემითი: *არღარა ეგი მაგასვე გულისსიტყუასა E 110,9;*

...რომელ-ესე დაგვიწყდა თქუენსა მას სენაკსა E 123,5;

მას ღამესა მისცა ღმერთმან ყოველი E 18,6.

მოქმედებითი: *განვიდეს ქალაქით თჯსით E 186,9;*

განჯადეს იგი ეკლესიისა მსახურთა სამღდელოთ E 35,7.

ვითარებითი: *ზეცად აღმაღლდების E 35,7.*

უთანდებულო ფორმებს ზოგჯერ ენაცვლება თანდებულიანი:

რაჟ ჰპოე უმეტეს ამას გზასა შინა? E 153,3;

ხოლო ერთსა შინა დღესა ესმა ყრმასა მას E 57,1.

უთანდებულო ფორმები ქარბობს თანდებულიანს. საერთოდ უთანდებულო ფორმები უფრო ძველი ვითარების ამსახველად ითვლება.¹⁸

4. რთული ქვეწყობილი წინადადება

ა) ეფთვიმეს თარგმანში დასტურდება ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიც შენიშნული ისეთი რთული ქვეწყობილი წინადადება, რომელშიც მთავარი წინადადების სახელით გადმოცემული წვერი სინტაქსურად უკავშირდება დამოკიდებული წინადადების შემასმენელს.¹⁹

ეგრეთვე მონაზონმან, რომელმან მისცეს თავი თჳსი სოფლისა საქმეთა..., ესევეთარი იგი დამპალ არს შინაგან E 188,1.

ამ მთავარ წინადადებაში პლეონასტურად არის ნახმარი ნაცვალსახელი. კდონდუა თვლის, რომ ასეთი რთული წინადადება ასახავს იმ დროს, როცა ქვეწყობილი წინადადება საბოლოოდ არ იყო ჩამოყალიბებული.²⁰

ბ) ჩვენს ძეგლშიც დასტურდება ისეთი შემთხვევა, როცა მთავარი, რომელიც მოსდევს დამოკიდებულს, იწყება „და“ კავშირით.²¹

უკუეთუ არა შენ შემწე მეყო და პოოს ჩემთანა მტერმან ნაწილი E 15,7.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ: ეფთვიმეს თარგმანი შესრულებულია ძველი, კლასიკური ქართული ენის ნორმების მიხედვით. მაგრამ შეინიშნება ამ ნორმების რღვევის შემთხვევებიც. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს მერყეობა ზმნის ფორმათა წარმოებაში. ასე, მაგალითად: დარღვეულია ოდ სავრცობიანი ზმნების უღლების ძველი წესი; გარკვეულ ზმნებში II კავშირებითს აწარმოებს ა და ე ნიშნები (ვიქმნე || ვიქმნა); კავშირებითის და ხოლმეობითის მწკრივების პარალელურად მყოფადი გადმოიცემა ზმნისწინიანი აწმყოთი; შესუსტებულია -მცა ნაწილაკის ფუნქცია; დარღვეულია სახელთან

ზმნის რიცხვში შეთანხმების ძველი წესი (ბოროტნი დაგზწყებოეს; ქრისტემან ღირს-გუყავნ...); წინადადების სხვადასხვა წევრი გად-
მოიყვამ როგორც უთანდებულო (შედარებით არქაული ვითარების
ამსახველი), ისე თანდებულიანი ფორმებით.

„სწავლაჲს“ ეფთვიმესეულ თარგმანში ჩანს, რომ ქართულ სა-
ლიტერატურო ენაში დაწყებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები.

თეოფილეს თარგმანის ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი

I. ხელნაწერთა ორთოგრაფია

თეოფილეს თარგმანის შემცველი ხელნაწერები ორთოგრაფიის
მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ა) გრაფემის ხმარების თვალსაზრისით ხელნაწერებში სხვადა-
სხვა სურათია: ერთგან რომ იგი ძველი ქართული ენის ნორმების
მიხედვით მოსალოდნელ შემთხვევებში გვხვდება, მეორეგან არ
დასტურდება: ქონებაჲ რაჲსაჲმე T 4,3BD მაგრამ: ქონება რაჲსაჲმე F,
რაჲსაჲმე E; მთავრობაჲ T3,6B, მაგრამ: მთავრობა DF; რაჲცა T 2,1DE,
მაგრამ: რაჲცა F. ასეთი რყევისა და აღრევის მაგალითი აღნიშნულ
ხელნაწერებში ბევრია. განსაკუთრებით ითქმის ეს XVI-XVII ს.ს. D
ხელნაწერზე (A 168). აქ გამოკვეთილი მოვლენაა იოტაჲმეტობა, რომე-
ლიც საერთოდ ახასიათებს მოგვიანო ხანის ბევრ ხელნაწერს.¹²
მართალია, ამ ხელნაწერშიც გ იხმარება ძველი ქართული
ორთოგრაფიის მიხედვით, მაგრამ ეს აიხსნება არა იმით, რომ
ნუსხის გადამწერი იცავს გ-ის ხმარების წესს, არამედ იგი საერთოდ
ყველგან წერს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი საქირო და
არასწორ ფორმებში სწორიც გამოერევა ხოლმე: დავიცივაჲ D46r,
დამეფარაჲ D59r, მოისთულოჲ D60r, მწარესა მას სასუმელსა
სანავლოსაჲ D47r, უწყიეს გზესა უცხოესა სლვაჲ D80r. ერთი

შეხედვით შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ ფორმებში α ხმოვნის ნაცვლად არის დაწერილი, როგორც ეს გვხვდება საშუალო ქართულში: ბეტონი, ბეჟი.²³ მაგრამ აღნიშნულ ფორმებში α ხმოვნის მომდევნოდ უნდა ვივარაუდოთ, რადგან ქარაგმით დაწერილ ამ ფორმათა გვერდით ხშირად გვხვდება უქარაგმო დაწერილობანი, სადაც უფუნქციო α -ს წინ იკითხება α ხმოვანი: დაგებად, ლოცვაად, მესმად და სხვ.

ბ) θ გრაფემის ხმარების მხრივაც განსხვავდებიან თეოფილეს თარგმანის შემცველი ხელნაწერები ერთმანეთისაგან. საერთოდ ეფთვიძემ თარგმანის ხელნაწერებისაგან განსხვავებით, სადაც არ დასტურდება ეს გრაფემა, ამ ხელნაწერებში ძირითადად დაცულია θ -ს ხმარების წესები. მაგრამ ზოგჯერ დარღვეულია ეს წესი: უმჯობეს და უპატიოსნეს T 4,8; ესრქთვა T 14,12E, მაგრამ: ესრეთვა D45v; სოფქლი T51,2; კქთილთა A48r; დაესცხმრ A60v; რქცა A47v; მამად მთსქ A55v; განვეკრებქ A66vB; წარვლქ A55r.

AF ნუსხებისათვის დამახასიათებელია უქ კომპლექსი: უხუქზად A48rF; უქქუქლად A48rF...²⁴

გ) შეგვხვდა θ და θ გრაფემათა მონაცვლეობის ორიოდე შემთხვევა 5

სალბუნთა T 66,16BDF - სალბონთა F; მუცლისა T 172,6DE - მოცლისა C; ურნატთა T 190,22DE - ორნატთა BCF; პელაგონსა T32,2 - პელაგუნსა BCEF შდრ.ბერძნ.: το πελαγος.

დ) χ ძირითადად θ ჯგუფს გადმოსცემს, მაგრამ იშვიათად მას ცვლის ვი კომპლექსი: დამიკურდა T 126,4 - დამიკვირდა F. მოსალოდნელი ვი ჯგუფის ნაცვლად დასტურდება χ : რისხუთ T 136,2; განსხვავებულია ხელნაწერთა ჩვენება: რისხვით T 136,2BC; გუქყუს T 53,13.

χ გრაფემას ი ხმოვანიც მოსდევს: ნანდჳილჳე F.

ე) გრაფემის ხმარებაში საერთოდ არ შეინიშნება დარღვევები. ერთადერთ შემთხვევაში გ-ს ნაცვლად გვაქვს ხ A ნუსხაში: მოსპარცუა ვინმე ვენახსა ღობე T 191,25.

II. ფონეტიკური მოვლენები

გვხვდება სხვა ძეგლთა ხელნაწერებითაც ცნობილი მოვლენები.

ა) ასიმილაცია: შჯული (← სჯული) T 16,2, ეს ფორმა ყველა ხელნაწერშია დაცული, შჰამენცა (← სჰამენცა) F69v, შეშჰამს (← შესჰამს) T 69,12DE, ნეფსით (← ნეფსით) D65r.

ბ) დისიმილაცია: ჰანბავსა D59vCE; ყველა ნუსხისათვის საერთოა დისიმილირებული ჰურჰელი T 70,5.

გ) მეტათეზისი: რამდენიმე სიტყვაში გადასმულია ვ თანხმოვანი. ნუსხებს შორის განსხვავებაა „ვალ“ ზმნის საწყისის დაწერილობაში: წარსვლა F45r, 46r; სვლაჲ F38vD45v, მაგრამ: წარსლვაჲ T 72,4; 78,17BF, სლვაჲ T13,10BF. აღიდრვლდის T44,6, მაგრამ: აღიდვროდის F. დანიშენენ F38v, მაგრამ: დაჰნიშენენ T 11,2 BCD. სანავდლოსა F40rD, სხვა ნუსხებში ძველი ფორმაა დაცული: სანავდლოსა T24,4 BCE, თუმცა ამოსავალ ფორმაში ვ გადასმული არ არის: ნავდელსა T 24,14.

მეტათეზისის მაგალითია F ნუსხის მწრთველი 51r, რომლის შესაბამისია სხვა ნუსხებში მწურთელი T 112,4 BCE (F-ში უმარცვლო უ-ს ენაცვლება ვ).

საინტერესოა ისეთი ფორმები, რომლებშიც პირის ნიშნისეული ჰ არის გადასმული, იგი ან ზმნისწინშია ჩართული, ან ზმნის ფუძეში: შეჰმოვრიბნე F39r, წაჰრქდე F55vD, მონაჰხვენ F.

დ) სუბსტიტუცია: ზ-ძ: განძრახვა F50r, განიძრახეს F43v, ვეძრახე F46v. პარალელურად დასტურდება ამოსავალი ფორმებიც: ვეზრახე T82,4, ძურისმზრახვალნი F50r.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ ძველი ქართული ენის ძეგლებში უმარცვლო უ-სა და ვ-ს მონაცვლეობაზე,²⁵ რომლის მაგალითები თეოფილეს თარგმანის ხელნაწერებშიც გვხვდება. განსაკუთრებით გამოირჩევა ამ მხრივ F ნუსხა, სადაც სხვა ხელნაწერების უმარცვლო უ ზოგიერთ სიტყვაში ვ ასოთი არის შეცვლილი:

უშვერთა F49r (უშუერთა T 48,9BCDE), მოხვალ F47r (მოხუალ T 85,18BCDE), უხვად F47r (უხუად T 88,4BCDE), გვაუწყებს F48r (გუაუწყებს T 99,15BCDE), იყუნენ F44v (იყენენ A55vBDE), გყუნანა F57r (გყუნანა T 176,2BCDE).

ე) ზგერათდაკარგვა. ზგერათდაკარგვა გავრცელებული ფონეტიკური მოვლენა ჩანს. იკარგება როგორც თანხმოვანი, ისე ხმოვანი.

ვ: ჰპოებს T152,7; ვპოე T114,10; სთხოა T18,9; უპატიოდ T149,9BCDE; შეურდეს D62v; ყოლადვე T40,7; ტყაო შაო T85,16BCEF; შეუდგეთ T184,8.

უ: ითქმის F54rDE; თქმულ იყო T113,6; მოისთლო T122,13BCE; უკეთუ F48rCDE.

ნ: გარყუნას T 75,11; გაუსრულოს F57v; გავლაჲ T 78,19.

რ: წა-რა-ჲ-უჲდა T 181,11.

ლ: აურაცხელ T 112,12; ამალღდების T 35,8.

მ: მქუნვარება D; მქუნვარედ D.

დ: დიად მიყუარ T 114,9.

ვ) ზგერათჩართვა. ზგერათდაკარგვის გვერდით დასტურდება ზგერათჩართვის შემთხვევებიც: ვ: ტყუვის D58r; გუეყოფვის F43rC; ცხოვნდეს T47,2BC; სტოვანთა F70r B. შდრ.ბერძნ.: ησθια.

უმარცვლო უ: შექუმნაჲ F41v, მეყუსეულად F44r, 56rDEF. ამ სიტყვაში უ-ს განვითარებას აქცესიური კომპლექსის არსებობით ხსნიან.²⁶ აღმოვიფუხურით E გამოეფუხურას C.

ნ: წყმედ ფუქეში განვითარებულია ნ. ამ მხრივ გამოირჩევა F ნუსხა, ნარიანი ფორმა აქ ნორმა: წარგწყემენდია F51v, წარ-ვე-ვწყმინდეთ F38r, წარწყმინდოს F38r, წარწყმენდისა F70vCE, განსაწ-

მენდელთა F40r, კუნკული T51,12, ეს სიტყვა ბერძნულიდან მომდინარეა - პარალელურად ბერძნულში იკითხება: η του κοκκισιου 1689, B.

რ: ურთიერთარს T81,7; 124,5. ეს ფორმა ფსევდოლექსიკალიზაციის (ურთიერთას+არს) შედეგად მიაჩნია ზ.სარჯველაძეს.¹²⁷

ღ ჩანს განვითარებული სიტყვაში ეზეზღვის || ეზიზღვის F40rBCE. A და D ნუსხებშია: ეზეზვის A49rD.¹²⁸

ზ) ბგერათა შერწყმა. ვე კომპლექსი თეოფილეს თარგმანშიც გვპოვებს ო-ს: დაუტეობს (← დაუტევებს) T 51,5; 92,14, დაუტეობთ T 64,17, დაგუტეობიეს T 39,1CDE. ეს მოვლენა ხშირია A ნუსხაში. ამ ფორმათა გვერდით გვხვდება ამოსავალი ფორმაც: დაუტევებს F47vBD.

ადრინდელ (XI ს) A ხელნაწერში დასტურდება დაურჩა T 123,3 ფორმა. ამოსავალი ფორმაა: დაუშთა. რჩ კომპლექსის გენეზისს ზ.სარჯველაძე ასე ხსნის: პროგრესული ასიმილაციის შედეგად კბილისმიერი თანხმოვანი (თ) გადაიქცა ნუნისმიერად (ჩ), შემდეგ მოხდა დისიმილაცია სპირანტული ელემენტის მიხედვით: შთ→შჩ→რჩ.¹²⁹ ზ.სარჯველაძე შეუძლებლად თვლის აგრეთვე შთ კომპლექსისაგან ღ-ს მიღებას შერწყმის შედეგად ზმნისწინებში: ჩა, ჩამო (←შთა, შთამო), რომლებიც გვხვდება თეოფილეს თარგმანში: ჩაეტევის T 34,4, ჩამოვჰყეებოდე T 109,5.¹³⁰

თ) რედუქცია. თეოფილეს თარგმანში პარალელური ფორმებია რედუცირებული მკურნლისა T 20,6F და მკურნალისათა T 24,10; ქუეყანიერსა T 190,17, ქუეყანიერისა T 51,14, ქუეყანიერთა T 188,3, მაგრამ: ქუეყანიერთა BF; სარგებელისათჳს T152,2C, სარგებლისათჳს C.

III. მორფოლოგია

სახელები

1. ხშირია ეზიანი მრავლობითი ნარ-თანიანის გვერდით: ყანობი-რებსა T 133,9, ასოები T 65,7, ჭურჭლები, წიგნები T 171,3. ორივე მრავლობითის ფორმები გვხვდება ერთ წინადადებაში:

შეჰგავს მონაზონსა, რადთა არა მოცალე იყოს... წალკოტათაჲს და მტილთა... არცა წყაროებისათჲს... ანუ სამოთხეთათჲს... არცა უჴმს მოგებად არვებსა ცხოვართასა, არცა ნახირსა ზროხათასა, არცა რემაკებსა ცხენთასა T 190,1-15.

დასტურდება თანიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვის ფორმა:

...მრავალთა მიერ აღივსების უკეთურთა გულისსიტყუათა T 187,13.

სხვა ხელნაწერებში იკითხება გულისსიტყუაჲთა. აქ იოტამე-ტობის შემთხვევა უნდა გვქონდეს.

2. უფრობითი ხარისხის ფორმები უმეტესად სრული სახითაა წარმოდგენილი (უპატიოსნესი, უადვილესი...), გვხვდება მოკლე ფორმაც:

განცოფებულთა არარადთა უმოლხინე არნ T 191,32. სხვა ხელნაწერებშია: უმოლხინეს. უ-ე კონფიქსით ნაწარმოები ფორმები შედარებით იშვიათია IX-XI საუკუნეთა ძეგლებში.⁵¹

შესადარებელი სახელი გვხვდება მიცემითსა და ნათესაობითშიც: *მიჴმს უპირატეს ყოვლისა სიმშჴდე T 50,3;*

რად უადვილეს არს სიყუარულსა ყოველთასა T 78,1;

მონაგებსა ჩუენსა ყოველსავე... ჯორცნი ჩუენნი უმჯობეს არიან და უპატიოსნეს T 4,6.

ხელნაწერთა ჩვენება აქაც განსხვავებულია: უკუეთუ არა, რად უადვილეს არს სმენასა (სმენისა CF) კეთილისა მის T 40,1.

იგიმნიშვნელოვანი თვლის, რომ შესაძარებელი სახელის მიცემითი ბრუნვა ხარისხის ფორმებთან უფრო ძველი ვითარების ამსახველია, ნათესაობითი - გვიანდელისა, როცა უფროობითი ხარისხის ფორმა წყვეტს კავშირს ზმნასთან და თანდათან იძენს სახელის ნიშნებს.³² განსხვავებულია ცქურციკიძის ვარაუდი: უფროობითი ხარისხის ფორმებთან დაკავშირებულ შესაძარებელ სახელებში ჩანს ვინ და რა ჯგუფის სახელთა ბრუნვებში დაპირისპირების კვალი: რა ჯგუფის სახელი მიცემითშია, ვინ ჯგუფისა - ნათესაობითში.³³

3. მრავლობით რიცხვს უნდა გამოხატავდეს *ესე* ნაცვალსახელის გაორკეცვით მიღებული *ესე და ესე*.

ესე და ესე განიზრახეს შენთჱს მენავეთა T 58,12;

...ესე და ესე საქმე გიქმნიეს T 157,11.

(შდრ. ეფთვიმე: ესე რაჲმე საქმე გიქმნიეს E 157,9).

დასტურდება *ვინ* ნაცვალსახელის მრავლობითის ნაწილაკიანი და უნაწილაკო ფორმები განუსაზღვრელობითის მნიშვნელობით:

წარიყვანეს იგი ვიეთმე და შეაგდეს საპყრობილესა T 174,3;

4. ეფთვიმეს თარგმანის (და სხვა ძველებითაც ცნობილი) ორი კომპოზიტის - „ავაზაკთმთავარი“ და „საჭურისთმთავარი“ - შემადგენელი ნაწილები თეოფილეს თარგმანში დამოუკიდებელ სიტყვებად არის წარმოდგენილი, როგორც მსაზღვრელი და საზღვრული (შეცვლილია მათი რიგიც):

ნულუჟე არა იყოა პირველ მამაჲ მოსე მთავარ ავაზაკთა..? T 99,1;

მისცა ღმერთმან წყალობაჲ და სიტკბობაჲ წინაშე მთავრისა მის საჭურისთაჲსა T 105,6.

ბერძნულ ტექსტში შესაბამისი ადგილი არ დასტურდება.

ზ მ ნ ა

1. მომავალი დროის გადმოცემა. მომავალი დრო თეოფილეს თარგმანში გადმოიცემა ორი საშუალებით - კავშირებითის მწკრივითა და ზმნისწინიანი აწმყოთი. კავშირებითის მწკრივს თხრობითი კილოს მომავალი დროის მნიშვნელობა აქვს შემდეგ

მაგალითებში: ოდეს მადლი ღმრთისაჲ და ნებაჲ და სურვილი ღმრთისაჲ ერთად შეკრბენ... T 1,11;

ოდეს მე მოვკუდე, რადღა ვიტმარნე ქვანი იგი? T 63,3.

ზმნისწინიან აწმყოს მყოფადის გამოსახატავად, როგორც აღვნიშნეთ, ეფთვიმეც იყენებს, მაგრამ არა ისე ხშირად, როგორც თეოფილე:

მერმე მოხედავს ღმერთი ღუაწლსა მას ზედა მისსა და შეეწევის T 93,10; არა მოვკუდეზოა მცირედ უკუანაჲსა? T 60,11;

მერმე შემოვალს იგი T 167,1;

ბოროტებაჲ რომელსა აქუნდეს, პირველად მას განჰლევს და შეშჰამს T 68,10; მაშინ მოივლინების ღმრთისა მიერ მარლი იგი სულიერი T 189,5;

რადთურთით სრულიად განჰწყუნინან და წარსწყმედენ T 188,33;

ეცეს რაჲ მარლი, მოსწყდებიან და წარწყმდებიან... და სულიცა იგი სიმყრალისაჲ და-ვე-სცხრების T 187,8.

მყოფადის მნიშვნელობით კავშირებითისა და ზმნისწინიან აწმყოს მწკრივები ერთ წინადადებაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება:

უკუეთუ არა ურთვიდე ზედა შეშასა, დაივსების ცეცხლი T 139,3.

მყოფადის გამოსახატავად ზმნისწინიანი აწმყოს მეტი ხვედრითი წილი კარგად ჩანს ისეთ წინადადებაში, რომელშიც ერთი ან ორი ზმნა კავშირებითის მწკრივითაა წარმოდგენილი, დანარჩენი - ზმნისწინიანი აწმყოთი, ასე, მაგალითად:

ოდეს შეგაწუხებდეს შენ ძმაჲ, გინღა ვითარცა ჯელი ტკივნეული ანუ თუ თუალი სნეული შეგაწუხებს შენ... არცა ჯელსა მოვიკუეთთ და განვაგდებთ, არცა თუალსა აღმოვიფხურით და განვსთხვეთ T 66,1-8.

დასტურდება შემთხვევები, როცა ეფთვიმეს თარგმანის კავშირებითის ფორმებს თეოფილეს თარგმანში შეესაბამება ზმნისწინიანი აწმყო:

მივე მათ წინდი იგი მათი და წარვიდენ E 143,6 - მივე მათ
წინდი მათი და თუთ წარვლენ შენგან T 143,8;

უკუეთუმეა აქუნდეს კაცსა თავი თუსი უდარეს სხუათასა, არა
განრისხნეს E 108,6 - უკუეთუ ვისმე აქუნდეს თავი თუსი უდარეს
მოყუსისა, არა განრისხნების T 108,5.

როგორც ზემოთ, ეფთვიმეს თარგმანის დახასიათებისას აღვნიშ-
ნეთ, ეფთვიმე მყოფადს ხოლმეობითის მწკრივებითაც გადმოსცემს.
თეოფილე იმავე ადგილებში მიმართავს ზმნისწინიან ან
უზმნისწინიო აწმყოს (თუ ზმნა საერთოდ არ დაირთავს ზმნისწინს):

...მო-რად-ვევის იგი გონებასა თუსსა და იხილის.. მოიქცის და
სულიცა თუსი დადვის ჩუენტუს E 117,6-10 - ...შემდგომად
მცირედისა მოვალს იგი გონებასა თუსსა და სცნობს.. ესოდენ
შეიყუარებს იგი მას, ვიდრელა და სულსაცა თუსსა დასდებს მისთუს
T 117,8-12.

წიგნები ამისთუს მოვიგით, რადთა ვისწაოთ მათგან სიმდაბლე E
150,4 - წიგნთა ამისთუს მოვიგებთ, რადთა ვისწაოთ მათგან შეყუა-
რებად სიმდაბლე T 150,4.

აღსანიშნავია ისიც, რომ თეოფილეს თარგმანში არ გვხვდება
ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისითა და მეშველი ზმნით
გადმოცემული მყოფადის მაგალითები. ეფთვიმეს თარგმანის
მეშველზმნიან კონსტრუქციას თეოფილესთან შეესაბამება ზმნისწი-
ნიანი აწმყო. კატეგორიულობას, მოქმედების შესრულების
აუცილებლობას, რომელიც უნდაობითი ფორმისთვის არის
დამახასიათებელი,³⁴ თეოფილე ლექსიკურად - სათანადო შინაარსის
ზმნიუდით („უეჭუელად“) გადმოსცემს.

შემდგომად მცირედის მოკუდომადვე ვართ E 53,17 - შემდგომად
მცირედისა უეჭუელად მოკუდებით T 53,22.

ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანებს შორის მყოფადის გად-
მოცემის მხრივ განსხვავება ჩანს შემდეგ მაგალითშიც:

ვად მე, რამეთუ მოსიკუდილიდ ვარ E 14,19 - ვად მე, უბადრუკსა, რამეთუ მეგულეების სიკუდილი T 14,20.

თეოფილეს თარგმანში საწყისს ახლავს „გულემა“ (= ნდომა, ზრახვა), რომლითაც კატეგორიულობის შინაარსი უნდა იყოს გადმოცემული.

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, თეოფილეს თარგმანში ჭარბობს ის გრამატიკული ფორმა, რომელიც შემდგომი პერიოდის სალიტერატურო ქართულში თანდათან მრავლდება და ნორმად იქცევა.

2. კილო. ა) კავშირებითი კილო ისევე, როგორც ეფთვიმეს თარგმანში, გადმოიცემა კავშირებითის მწკრივებითა და -მცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმებით:

უკუეთუშმა გაქუნდა შიში ღმრთისაჲ წინაშე თუალთა თქუნთა, ამას არა იქმთ T 134,5;

უკუეთუშმა ვიყვნით მონაზონნი, ამას არა ვიქმოდეთ T 136,3;

უკუეთუშმა მოვლო გულად, ბევრეულთა მიზეზთა ჰპოვებდა ამაოებისათა, რადთამცა ხედვიდა დიაკონსა მას, ვითარცა ეშმაკსა T 165,1-4.

როგორც აღვნიშნეთ, ეფთვიმეს თარგმანში გვხვდება -მცა ნაწილაკის სინტაქსური ძალის შესუსტების ამსახველი მაგალითები. თეოფილეს თარგმანში შემცირებული ჩანს -მცა ნაწილაკის ხმარების შემთხვევები, ზოგან ეფთვიმეს თარგმანის -მცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმას თეოფილეს თარგმანში კავშირებითის მწკრივი შეესაბამება:

ვინმცა დაარწმუნა ჭეშმარიტსა მდაბალსა... E 36,2 - ვინ არწმუნოს მდაბალსა... T 36,1

მაგათ სიტყუათა იტყუ, რადთამცა კაცთა უწუენე თავი შენი მშუდად E 119,9 - ამას იტყუ, რადთა უწუენო კაცთა თავი შენი, თუ მშუდ ხარ და წრფელ T 119,10.

თეოფილეს თარგმანის ხელნაწერებშიც შეინიშნება -მგა ნაწილაკის ხმარების წესის რღვევა, ხუთ ხელნაწერში (ადრინდელსა და გვიანდელშიც) იგი I კავშირებითის მწკრივთან დასტურდება:

უკუთუმა რასმე ვაჩუენებდით (ვაჩუენებდეთ ABCEF) გულ-სმოდგინებასა მასცა.

ბ) -მგა ნაწილაკიანი აწმყოს მწკრივის მრავლობითი რიცხვის ფორმით გადმოცემულია ბრძანებითი კილო:

ესემა ვიცი, რომელ არავინ იტყვს ესრეთ ქეშმარიტსა T 29,1.

3. გვარი. ა) თეოფილეს თარგმანში ისევე, როგორც ეფთვიმეს თარგმანში, პროდუქტიულია ენ→ნ სუფიქსიანი ვნებითი: *შეწუხნა ფრიად T 58,1, არცა შეწუხნა და არცა აღშფოთნა T 181,11, ინანდეს იგი... თუ რად განრისხნა T 146,4.*

-ნ სუფიქსს ზოგჯერ ცვლის -დ:

უკუეთუ ვინ შეგაწუხოს შენ რასაცა ზედა საქმესა, სდღუმნე (სდღუმდე C) სრულიად T 40,5.

„წუხ“ ფუძისაგან ვნებითი იწარმოება როგორც -ნ, ისე -დ სუფიქსით:

რომლისათუს არა თუ ოდენ არა შეწუხნა, არამედ... T 131,3;

შეწუხდდი და შემოვედ, რადთა... T 177,6.

ბ) დაჰადა ტიპის ზმნის შესაბამის ენიან ვნებითს გვიანდელ ხელნაწერებში ენიანი წარმოება ენაცვლება:

წარიღების იგი და სხუასა ადგილსა დაიდების და დაეფლვის (დაიფლვის BF) T 186,6.

ვნებითის ე- პრეფიქსის ი- მაწარმოებლით შეცვლის საფუძვლად მიჩნეულია ის გარემოება, რომ ე- პრეფიქსიანი ფორმები აღარ გაიზარებოდნენ ორპირიანებად.³⁵

გ) საშუალი გვარის სტკვიის ზმნას მეორე სერიის წყვეტილს დანაკლის ფორმას თეოფილეს თარგმანში უვსებს დონიანი ვნებითი:

აღმტკივდა ოდესმე თუალი ჩემი T 116,1.

აღსანიშნავია, რომ ეფთვიმეს თარგმანში სტკვიის ზმნას წყვეტილში საკუთარი ფუძისაგან ნაწარმოები ფორმა შეესაბამება:

შეტკივა ოდესმე თუალი ძლიერად E 116,1. ივ.ქავთარაძე შენიშნავს, რომ ამ მნიშვნელობით ძველ ქართულში უფრო ხშირად იხმარებოდა ელმის ზმნა, რომელიც ორივე სერიის ფორმებს აწარმოებდა. სტკივის ზმნის ძირია „ტკ“, „ივ“, „ევ“-ისაგან მომდინარე სუფიქსია. ივ.ქავთარაძე ვარაუდობს, რომ ძველ ქართულშიც ახლის მსგავსად წყვეტილში უნდა გექნოდა ეტკინა.⁵⁶

ორივე თარგმანში დასტურდება ენიანი ვნებიტიც, რომელშიც დაცულია სუფიქსი -ივ. ეთვიმეს თარგმანში წყვეტილის ფორმა: მას ესმოდა და ეტკივნა გული E 48,11, თეოფილეს თარგმანში უწყვეტელი (-მცა ნაწილაკიანი, კავშირებითის მნიშვნელობით): უკუეთუმცა არა სნეულ იყავ, არამც გეტკივნებოდა T 42,4.

ამ ფორმებში დაცული ნ იგივე უნდა იყოს, რომელიც გვაქვს მტკივან-ისაგან მომდინარე ფორმებში: ამტკივენებს, დამამტკივენებ.⁵⁷

4. მწკრივები. ა) თეოფილეს თარგმანშიც ხშირია აწმყოს ხოლმეობითის მწკრივი: ეტსენებნ ნეტარი ძმასა მას T 6,1;

რაოდენსა-რას იგი ჯამნ და სუამნ T 56,6;

რომელი ძენ სახლსა შინა და ყარნ T 186,22.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მწკრივის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა: არნ.ჩიკობავა ანალოგიურ ფორმებს ზოგად აწმყოს უწოდებს.⁵⁸ აწმყოს ხოლმეობითს განსხვავებულ მწკრივად არ მიიჩნევს ვ.თოფურია.⁵⁹

ანალოგიურ ფორმებს მესამე სუბიექტური პირის უძველეს ნიმუშებთან დაკავშირებით განიხილავს ავთარაბული და თვლის, რომ „აწმყოს ხოლმეობითი არც ფორმის და არც ფუნქციის თვალსაზრისით გამოყოფილი არაა“.⁶⁰ ზ.სარჯველაძე აღნიშნავს, რომ „წერს, წერენ ფორმები ერთგზის მოქმედებას გამოხატავენ, წერნ, წერედ კი - მრავალგზისს. ძველი ქართული ენის ადრეულ საფეხურზე (V-VIII საუკუნეებში) აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი ერთმანეთს აშკარად უპრისპირდება“.⁶¹ ზ.სარჯველაძის დაკვირვებით, IX საუკუნიდან ისახება აწმყოს ხოლმეობითის მოშლის ტენდენცია. X-XI საუკუნეების ცოცხალ მეტყველებაში ამ მწკრივის

არსებობა აღარ ივარაუდება. წერილობით ძეგლებში იგი ტრადიციითა იხმარება. ამით აიხსნება, რომ ზოგიერთი გადამწერი ვეღარ იცავს ამ მწკრივის ხმარების ნორმებს.⁴² ამ პროცესის ამსახველი ფორმები დასტურდება თეოფილეს თარგმანის მოგვიანოპერიოდის ხელნაწერებში:

ვითარცა სახედ მუშაკი სთესავს (სთესვენ BF) მცირესა T 89,1:

მსგავს იყო შენ ძუნსა შანთსა რკინისასა, რომელსა სცემნ მჭედელი ფრიად, ხოლო ჟურქელსა ვერ შეიქმნ (შეიქმნ CDE) მისგან T 49,9.

შეიქმნ ფორმაში ნ მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ჩანს. ფუძისეული ნ თანხმოვანთა თავმოყრის გამო დაკარგულია, შდრ. CDE ხელნაწერების შეიქმნ. ანალოგიურია მეორე მაგალითი:

რაცა ჯერ-გიჩნს (ჯერ-გიჩნ CE), წარმოგზავნე და წარიხუნე იგინი T 148,6.

ამ ზმნაში ფუძისეული ნ ხშირად იკარგება ძველი ქართული ენის ძეგლებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ძველი ქართული ენის ძეგლებიდან დამოწმებულია მდიდარი მასალა, როცა „გადამწერს აწმყოს ხოლმეობითის III სუბიექტური პირის ნიშანი -ნ მრავლობითი -ენ, -ან აფიქსად გაუაზრებია“. ასეთი მაგალითები აწმყოს ხოლმეობითის დასუსტებისა და მისი მოშლის პროცესის ამსახველ ფორმებად არის ჩათვლილი.⁴³ რამდენიმე მაგალითი თეოფილეს თარგმანის შედარებით გვიანდელ ხელნაწერებშიც გვხვდება:

...არა აღიღებნ (აღიღებნ DEF) იგი, რაჯცა დახუდის T 2,1;

მეცა შინა ყოველსავე ადვილად განსთხვენ (განსთხვენ DEF) გულსმოდგინედ T 53,32.

ამ კონტექსტებიდან ჩანს, რომ სუბიექტი ერთია, მხოლოდობითია, ამიტომ ზმნების მრავლობითის ფორმა შეცდომაა. კარგი მაგალითია ამ მხრივ შემდეგი:

...ესრეთვე ზროხათათჳს და უღლეულისა ჯართაჯსა იჴრვიდნ მუშაკთა იმიზდებნ (იმიზდებნ BDF), ერქანსა ჰმზადებნ, ურნატთა განაპებნ... შფოთებით განიკაფებინ T 191,18.

ხუთივე ზმნა აწმყოს ხოლმეობითის ფორმითაა წარმოდგენილი, ერთი მათ შორის BDF ხელნაწერებში აწმყოს მესამე პირის მრავლობითის ფორმით. აშკარაა, აღნიშნული ხელნაწერების გადამწერთა შეცდომა.

თეოფილეს თარგმანში აწმყოს ხოლმეობითის მოშლაზე მიუთითებს განსაკუთრებით ის გარემოებაც, რომ ეფთვიძემ თარგმანის აწმყოს ხოლმეობითის ფორმებს თეოფილესთან აწმყოს ფორმები (ზოგჯერ სხვა მწვრივისაც) შეესაბამება: უჭირველაძ იქმნ ვიდრელა იზრდებინცა მისგან E 93,10 - უჭირველაძ იქმს ყოველსავე... ვიდრელა იზარდებინცა (იზარდებისცა F) იგი კელოვნებისა მისგან T 93,12;

შურებინ და იჭირვინ E 92,5 - პირველაძ შურების და იჭირვის T 92,8;

ესე ნუ შეგაურეებინ E 70,1 - ესე ნუ შეგაშინებინ T 70,1.

აშკარაა, რომ თეოფილეს თარგმანში, როგორც ენის განვითარების გვიანდელი საფეხურის ამსახველ ძეგლში, ნაკლებია აწმყოს ხოლმეობითის ხმარების შემთხვევები.

ბ) -ოდ სავრცობიან ზმნებში უღლების ძველი წესია დაცული - შებრუნებით აქვთ ნაწარმოები უწყვეტელი, მასზე დაყრდნობილი I ბრძანებითი და I კავშირებითი.

უწყვეტელი: აქსოვსა ღმრთისმოყუარებასა შენსა, ოდეს-იგი მეტყოდე? T 114,7.

I ბრანებითი: მტკიცედ უწყოდე, რომელ-ესე დაამტკიცეს თუსაგან შენთუს T 59,4; I კავშირებითი: ვითარცა უკუე ილოცავ თუალისათუს შენისა, ...რადთა განიკურნოს და არღარა გტკიოდის... T 67,1.

აღნიშნავთ ამ ნორმის რღვევის გვიანდელი ხელნაწერებისათვის დამახასიათებელ რამდენიმე მაგალითს:

ესხედით დღესა ერთსა და ვიტყოდეთ (ვიტყოდით E) სარგებლისათუს T 156,1.

იშვიათია I კავშირებითის გარდამავალი ფორმა მესამე პირის მრავლობით რიცხვში: *რომელთა იცნან უძლურებაჲ თჳსი და სიმდაბლისა მიმართ მიივლტოდინ (მიივლტოდინ CE) T 35.1.¹⁴⁴*

გ) ძველი ქართული ენის სხვა ძეგლების მსგავსად თეოფილეს თარგმანშიც „შეინიშნება ცვლილებები II კავშირებითის ალომორფთა განაწილებაში“¹⁴⁵ - მოსალოდნელი ე სუფიქსის ნაცვლად გვაქვს ა: *ნუჯუჳ რასმე უღებ იქმნეს (იქმნას ABCF), ნუჯუჳ რადმე განრყუნას T 75,10:*

ოდეს იწყოს, დაღათუ განრყუნას, ნუ განუშორებინ T 94,7;
წარვგზავნე ძმაჲ ჩუენი... რადთა მოიხუნეს (მოიხუნას ACDE) იგი T 149,2.

შდრ.: არა უწყის, თუ რომელი ქმნეს, ანუ რომელი დაუტეოს T 69,5;

რადთა ზეშთა იქმნე ყოველთაგანვე ვნებათა T 25,5;
უჟუეთუ რადმე იქმნეს, რომელი შენ არა გინდეს... T 114,12.

ინიანი ვნებითის მრავლობითი რიცხვის პირველ პირში II კავშირებითში ნ სუფიქსის შემდეგ მოსალოდნელი ე ნიშნის ნაცვლად ზოგჯერ არის ო:

...და მივიწინოთ უღელგოსა მას ნავთსადგურსა ზეცათასა T 192,20.

დ) დასტურდება ორი ზმნა, რომელთა წყვეტილის ფორმებში შემონახულია ოდინდელი, ამჟამად დაკარგული პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშანი ენ→ნ:¹⁴⁶

მხედნეს გულსმოდგინებასა სრულსა T 168,4;
და-ღა-ვხედნეთ, ძმანო, ამას T 62,1;
ხოლო მე განვილიმენ (განვილიმე D) და ვარქუ T 82,10.

ე) როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნების I თურმელობითი იწარმოება იე-ს დაბოლოებით:

...რომელი წარმოუგზავნიეს შენდა იესუს T 21,12;
...რომელი უფროჲს აღურჩევდეს ღმერთსა T 137,7;
ესე და ესე გიქმნიეს T 30,8.

იე დაბოლოება ნორმა სტატიკური ზმნების აწმყოს მწკრივში:
ესრეთლა და მოყუსისაჲ ჰგონიეს ვნებაჲ T 68,4;

...არლარა ჰგდე მაგასვე ზედა T 110,8.

ეფთვიმეს თარგმანისაგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ ძველი წარმოება დაცული I თურმეობითში, იშვიათად გამოჩნდება ია დაბოლოებაჲ:

რამეთუ წარგჳწყმედლა ცნობაჲ ზუენი და გონებაჲ T 117,4;

რამეთუ ზღვევად შეგჳრაცხდა თჳთოეულისა დაჰირვებაჲ T 66,8.

მხოლოდ ერთი მაგალითი დასტურდება გარდამავალი ზმნის ინვერსიულად ნაწარმოები სუბიექტური წყობის პირველი პირის მეშველზმნიანი ფორმისა, რომელიც თეოფილეს თარგმანის ყველა ხელნაწერშია დაცული: *რამეთუ წესსა ზედა ასოთასა შეუქმნივართ ჩუენ ღმერთსა T 65,2.* (ზმნის ფორმაში დაკარგულია I სუბიექტური პირის ნიშანი უ ხმოვნის წინ).

I თურმეობითის ახალ ფორმათა არსებობა XI საუკუნისათვის დასაშვებ ფაქტად არის ჩათვლილი.¹⁴⁷

I და II პირებში უმეშვლოდ არის წარმოდგენილი აწმყომში სტატიკური ვახლავ და საშუალი მიყუარ (=მიყვარხარ):

არცა თუ ახლადმოხრულთა საზომსა ვახლავთ T 86,2;

მამო, დიდად მიყუარ შენ T 110,1.

ამ ორი ფორმის წარმოების თვალსაზრისით ორივე თარგმანში ერთნაირი სურათია.

ვ) ეფთვიმეს თარგმანის მსგავსად თეოფილეს თარგმანშიც ერთ-მანეთს ენაცვლება I სერიაში (აწმყომში) ენ||ინ ფუძეები ხმოვანმოზნაცვლე ზმნებისა:

გარნა ყოველსავე ზედა არა მოიწყენს T 92,10;

ნანდჯღვე თჳთ ამით გამოაჩინებ ცხადად T 42,1.

გამოაჩინებ ტიპის ფორმები ეყრდნობა II სერიის ფუძეს, რომელსაც ერთვის თემის ნიშანი.¹⁴⁸

ზ) პირველ სერიაში პრეფიქსიანი ვნებითის ფუძე ორგვარად არის წარმოდგენილი - შეკუმშულად და შეუკუმშავად:

ქემბარიტად სამართლად დავისაგებით (დავისაგებით E) T 65,1;
ესრეთ ისაგების (ისაგების E დაისაგების CDF) საქმეთაგან
თესთა... T 103,9;

გამოიკადების (გამოიკადების D) ამით ნებაჲ და გონებაჲ კაცისაჲ
T 104,12.

საერთოდ ძველი ქართულის ნორმის მიხედვით ასეთი ზმნის
ფუძე I სერიაში არ იკუმშება.¹⁴⁹

თ) უწყვეტელში და უწყვეტელზე დაყრდნობილი I ბრძანებითის
პირველი და მეორე პირების მხოლოდითი რიცხვის ფორმებში
ზოგჯერ გამოჩნდება მრავლობითიდან გადმოსული თანხმოვანთა-
საყარი ი:

ხოლო მე ყოვლადვე არას უჩუენებდი მას საეჭუსა T 113,9;

თავსავეცა შენსა აბრალობდი (აბრალეობდი F) T 25,8.

ეს ფორმები ყველა ხელნაწერშია დაცული.

უდეტრები

1. ეფთვიმეს თარგმანის მსგავსად თეოფილესთანაც თანა თანდებ-
ული ზოგჯერ ვინ ჯგუფის სახელის მიცემით ბრუნვასთანაც
გვხვდება:

იგნობა ბერისა ჭურჭლეები ძმასა მას თანა T 174,2;

*მოვიდა ბერი მიერ და იწყო სიტყუად ძმასა მას თანა (ძმისა მის
თანა E)*

სხუასა რასმე ჰამზავსა T 173,1.

2. დასტურდება ზმნიზედის პარალელური ფორმები:

მართლიად || მართლად: მართლიად (მართლად AB) იტყუ,
შვილო... T 136,3;

მათ იციან ყოველივე მართლიად (მართლად AB) T 31,6.

ერთგან || ერთად: ესხედით რაჲ ერთად (ერთგან BCDEF), სთხოა...
T 48,3.

სრულებით||სრულიად: იწყებს თესვად თესლოთა მათ უკეთურებისა თჳსისათა, ვიდრემდის სრულებით (სრულიად CE) განავსნეს ყანანი T 167,1. სამე||სადმე: რად შრომად აქუს მტერთათჳს ლოცვასა? არა თუ... ანუ სამე (სადმე BF) წარსლვად გზასა შორსა? T 72,1.

3. თეოფილეს რედაქციაში ბერძნულის კავშირი και ხშირად ერთდროულად გადმოდის როგორც და კავშირის, ისე ც, ცა ნაწილაკის სახით:⁵⁰

ვიდრელა და სულსაცა თჳსსა დასდებს მისთჳს T 117,11;

ეგრეთვე უჳუე იქმან და ეშმაკნიცა T 76,1;

...არამედ და ვეტყოდეცა ვითარმედ... T 115,9;

ესრეთვე სახედ შეემთხუევის და მონაზონსაცა T 188,1.

ქართულისთვის ამ წინადადებებში და კავშირი ზედმეტი ჩანს. ეფთვიმეს თარგმანისათვის ეს მოვლენა არ არის დამახასიათებელი. აქაც გამოჩნდა თეოფილეს, როგორც მთარგმნელის თავისებურება - ზუსტად გადმოიღოს ბერძნული.

4. ეფთვიმეს თარგმანისაგან განსხვავებით თეოფილესთან ხშირი ჩანს სხვათა სიტყვის ო ნაწილაკი:

და იტყოდა, ვითარმედ: ეშინოდათ ევაგრეს თავისათჳს თჳსისა T 28,1;

ამხილა მათთჳს მეფეთა: ნუ შეეხებით ცხებულსა ჩემსა T 104,19;

მოვიდალ ჩემდა, იტყოდა მამად იგი T 175,4;

ნუუჳუე აქუნდალ ცრემლთა მისთა წყვად... T 18,2;

სიტყუათა შენთა დაამტკიცებდინო ცხორებადცა შენი T 155,5.

ეფთვიმეს თარგმანის უნაწილაკო ფორმას თეოფილესთან ნაწილაკიანი შეესაბამება: და იტყოდა ნეტარი იგი: არა თუ გლახაკი არს იესუ E 101,1 - და იტყოდა იგი: ნუუჳუე გლახაკი არსო იესუ T 101,1;

არცა თუ მიმიშუა გულსავსე-ყოფად მისა E 163,3 - არცა თუ მიტევალ შეერდომად მისა T 163,4.

IV. სინტაქსი

1. სახელთან ზმნის რიცხვში შეთანხმების საკითხი

ა) XI საუკუნის A 1105 (A) ხელნაწერში ზოგჯერ დარღვეულია სახელთან ზმნის რიცხვში შეთანხმების ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი წესი: ნარიანი მრავლობითით გადმოცემული პირდაპირი დამატება არ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში: მომცა მცნებანი მისნი წმიდანი T 22,13. სხვა ხელნაწერებში იკითხება „მომცნა“.

ბ) ყველა ხელნაწერში ნაცვალსახელი მრავლობითი რიცხვის ნაცვლად მხოლობითის ფორმით არის წარმოდგენილი რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნასთან:

რაგა ჯერ გიზნს, წარმოგზავნე და წარიხუენ იგი T 148,6;

მისა საფასლ მწერალსა მას და წარიხუნა იგი T 148,9.

ანალოგიურია შემდეგი მაგალითი: *წარვგზავნე ძმაგ ჩუენი...*
რაგთა მოიხუნას იგი (იგინი BF) T 149,2.

ასეთი დარღვევები მრავლად გვხვდება ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიც.⁵¹

2. თანდებულის დართვა განსაზღვრებასა და საზღვრულ წევრზე

თეოფილეს თარგმანში გამოიკვეთა გარკვეული კანონზომიერება განსაზღვრებასა და საზღვრულ წევრზე თანდებულის დართვის თვალსაზრისით: თანდებული ერთვის იმ წევრს, რომელიც პირველ ადგილზეა. პრეპოზიციური წყობისას - მსაზღვრელს, პოსტპოზიციური წყობისას - საზღვრულს, მნიშვნელობა არა აქვს რით არის გადმოცემული მსაზღვრელი:

...რაგთა ზეშთა იქმნე ყოველთაგანვე ვნებათა T 25,5;

ჯელ-ვყოთ განშორებად ჯორციელთაგან საქმეთა T 192,8;

რად არს ზემთაგან საქმეთა კეთილ T 30,9;

...მიიღებს უხუად მადლისაგან საღმრთოესა T 88,4;

თუთ ეგე.. სნეულუებისაგან არს სულისა T 21,5;

ვითარცა უკუე ილოცავ თუალისათუხ შენისა T 67,1.

თეოფილეს ენის ეს სტილური თავისებურება კარგად ჩანს შემდეგ წინადადებაში, სადაც მსაზღვრელისა და საზღვრულის ორივე რიგის მაგალითებია, თანდებული დაერთვის იმ წევრს, რომელიც პირველია:

შეკვავს მონაზონსა, რადთა არა მოცალე იყოს შუენიერებისათუხ
ნერგთაესა და ხენარისათუხ ნაყოფიერისა.. არცა წყაროებისათუხ
კეთილად აღმომდინარისა.. და ფერად-ფერადთათუხ მხალთა T
190,1.

ეფთვიმეს თარგმანში მნიშვნელობა არა აქვს მსაზღვრელისა და საზღვრულის რიგს - თანდებული უმეტესად დაერთვის საზღვრულს.

3. სინტაქსური წყვილებისა და ერთგვარი წევრების გათიშვა

თეოფილეს მთარგმნელობითი მუშაობის და საერთოდ მისი სტილის ერთ-ერთ თავისებურებად ჩვენი ძეგლის მიხედვით ჩანს სინტაქსური წყვილებისა და ერთგვარი წევრების დაშორება, მათი გათიშვა ზმნით. ასეთი შემთხვევების უმეტესი ნაწილი მოდის განსაზღვრებასა და საზღვრულ წევრზე, შედგენილ შემასმენელზე.

ა) თეოფილეს თარგმანში მრავლად გვხვდება განსაზღვრება, რომელიც უშუალოდ არ ახლავს საზღვრულ წევრს - გათიშულია მისგან უმეტესად ზმნა-შემასმენლით, იშვიათად ზმნიზედით ან სხვა მეტყველების ნაწილით. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს რიგს - გათიშულია როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური განსაზღვრება:

მურაცხემაჲ წამალი არს საკურნებელი მზუაობარისა სულისაჲ
T 27,6.

ბერეულთა მიზეზთა კჳოებდა ამათებისათა T 165,2;

არგაღა ჳმაჲ ესმის მუნ მყოფთაჲ T 186,3;

გზასა უცხოსა უწყიეს მას სლოვად ცხორებისასა T 190,24.

იშვითად მსაზღვრელისა და საზღვრულის გათიშვას თეოფილეს
თარგმანში განაპირობებზ ბერძნული წყარო: ესე სადაგველი არს
იესუესმიერი დასაწყუავი 59v. ბერძნულშია: καυστην εστι του
Ιησου 1692, B.

ბ) სინტაქსური წყვილების გათიშვის სხვა შემთხვევებია:

მორჩილებაჲ მნებავს ეშმაკისაჲ T 22,8;

აღბრვანი არიან გონებისანი T 12,1;

ესოდენი მოლუაწებაჲ და განშზადებულებაჲ მაქუს გულისაჲ T
15,1.

შდრ. ბერძნული: τοσαυτην ασκησιν και ετοιμασιαν καρδιας εχων
1684, A.

ბერძნულში მსაზღვრელი სიტყვა καρδιας (= გულისაჲ)
უშუალოდ მოსდევს საზღვრულ წევრებს.

დაფარულნი კულა ჩემნი ყოვლად არიან აღურავებელ T 112,11.

ასეთი რიგი ბერძნული წყაროთი არ ჩანს განპირობებული:
αγαριμετα εισιν 1692, C.

გ) უფრო ხშირია ერთგვარი წევრების გათიშვა, განსაკუთრებით
შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილებისა.

მშუდ ხარ და წრფელ T 119,12; რადსათჳს განლიგებულ ხარ,
სულო, და განძუნებულ T 41,6; სახიერ არს უფალი ჩუენი და
მოწყალე T 22,10.

გათიშულია ერთგვარი ქვემდებარეები:

სინანულიცა თანა-გუაც და მწუხარებაჲ ბოროტსა მას ფიცსა
ზედა E 83,3;

არამედ უფროდსლა სინანული გჳგმს და წუხილი T 83,3.

ბერძნულშია: αλλα; και μαλλον μετανοειν και გλιβεσθαι... 1689, D.

ერთგვარი პირდაპირი დამატებები:

მბაგებელი კერძოსა რასმე იტყუს და ნაწილსა T 33,6.

ერთგვარი ვითარების გარემოებანი:

სადაცა შევიმთხზნით, მოწლედ მომიკითხის და სურვილით T 113,8;

უჭირველად იქმს ყოველსავე და განსუენებით T 94,12.

აღნიშნული მოვლენაც თეოფილეს სტილის ერთ-ერთი თავისებურება ჩანს.

4. თანდებუიანი ფორმების გამოყენება

თეოფილეს ენის ერთ-ერთი სტილური თავისებურებაა თანდებუიანი ფორმების გამოყენება ეფთვიმეს თარგმანისა და ქართული ენის სხვა ძეგლების უთანდებულო ფორმების მაგივრად. შეიძლება ვთქვათ, რომ ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანები ამ ნიშნით უპირისპირდებიან ერთმანეთს. თეოფილეს თარგმანის ამ თავისებურების უკეთ წარმოჩენის მიზნით დავიმოწმებთ მაგალითებს ორივე თარგმანიდან.

ეფთვიმეს თარგმანის უთანდებულო უბრალო დამატებას თეოფილესთან შეესატყვისება თანდებუიანი:

გამოისახა სასწაული ჯუარისაჲ პირსა თჳსსა E 1,2 - ამან პირველად გამოისახა პირსა ზედა თჳსსა სასწაული პატიოსნისა ჯუარისაჲ T 1,1;

მადლი ღმრთისაჲ არს პირსა შენსა, ძმაო E 119,5 - მადლი ღმრთისაჲ არს პირსა მაგას შენსა ზედა, ძმაო T 119,7;

...არღარა ეგი მაგასვე გულისსიტყუასა E 110,9 - არღარა ჰგიე მაგასვე ზედა გულისსიტყუასა T 110,8.

ეფთვიმესთან გვაქვს სახელის ამა თუ იმ ბრუნვის უთანდებულო ფორმებით გადმოცემული გარემოებები, თეოფილესთან - თანდებუიანი:

ყოველივეს კემპარიტსა იტყვს და სიყვარულითა ჩემითა E 115,
- ყოველსავე... კემპარიტსა იტყვს და სიყვარულისაგან იტყვს
115,10;

სიყვარულით მითხრა E 160,6 -შეტისაგან სიყვარულისა მითხრა
T 160,8;

იგიცა უღებებითა ჩუენითა წარვწყმიდეთ E 100,3 - უღებების
მიერ ჩუენისა იგიცა წარვეწყმიდეთ T 100,4.

იშვითად ეფთვიმეს რედაქციაში მიზნის გარემოებად გამოყენებულ მასდარს ვითარებითში, თეოფილესთან შეესაბამება თუ თანდებულნიანი საწყისი ნათესაობითში:

ბორგნ შეძინებად ერთისა დანგისა E 53,26 - შეძინებისათუ
დანგისა მეცა შინა ყოველსავე ადვილად განსთხვენ T 53,2.

გარკვეულ კანონზომიერებად ჩანს თეოფილესთან - მიერ თანდებულნიანი უბრალო დამატების გამოყენება ეფთვიმეს თარგმანის - განსაზღვრულიანი შესატყვისად:

მიელოცა სქემაჲ ჩემ მიერ E 109,3 - ჩემგან შეემოსა სქემაჲ
109,3;

მოიკიცხა ძმისა მის მიერ E 149,4 - მოიკიცხა მისგან T 149,5;

...ხოლო მე, რაჲცა მოიწიოს შენ მიერ, არა შევიცვალე... E 110,1.

• ხოლო მე, რაოდენიცა-რაჲ შემემთხვოს შენგან, ვერავინ მიმიღებს.
T 110,9;

...არა გუკმს შენ მიერ კურნებაჲ E 22,4-არა მნებავს განკურნება
შენგან T 22,6;

ეშმაკათა მიერ მოვიკიცხე E 162,6 - ეშმაკათაგან მოვიკიცხე T 162,8.

თეოფილეს თარგმანში თანდებულნიანი ფორმათა მოჭარბება ქართულ სალიტერატურო ენაში მომხდარი ცვლილებების ამსახველია ადრინდელი უთანდებულო ფორმები თანდებულნიანმა ფორმებში შეცვალეს და შემდეგ გაბატონდნენ კიდევ.

5. ჰიპოტაქსური კონსტრუქციები

თეოფილეს თარგმანისათვის დამახასიათებელია რთული ქვეწყობილი წინადადებები ეფთვიმეს თარგმანის მარტივ წინადადებათა შესაბამისად. ეფთვიმეს თარგმანის მარტივი წინადადების ერთი სიტყვით გადმოცემული რომელიმე წევრის მნიშვნელობა თეოფილესთან შესაბამისი დამოკიდებული წინადადებით არის გამოხატული:

უფროდსა მათ უღირს... ამის მიერ სირცხული E 80,9 - უფროდსა მაგათ უღირდა... რადთამცა შესწმა T 80,9;

მონაზონსა თანა-აც... სრულიად განშორებად თჳსთაგან E 186,7 - ესრეთვე უჳმს მონაზონსაცა... რადთა მანცა დაუტეოს ყოველივე - მშობელნი თჳსნი და ნათესავნი T 186,9;

ქსენუბადცა მათი აღუშლინ გულსა E 23,5 - მოეჭსენოს რად, გული ეუზუვის T 23,5;

რამეთუ ვითარცა ჯორცსა უმარდილოსა მყის დაესხის მატლი E 187,1 - ვითარცა ჯორცი, რომელსა არა აქუნ მარდილი, დალპების T 187,1;

ერისკაცთა მათ ზუეულულებსაებრ მისცეს ხარკი იგი E 79,6 - ერისკაცთა მათ, ვითარცა აქუნდა ზუეულულებად, მისცეს ბაჟი მათი T 79,6

ზოგჯერ გვხვდება საპირისპირო შემთხვევებიც - ეფთვიმეს თარგმანის რთული ქვეწყობილი წინადადების აზრი თეოფილესთან მარტივით არის გადმოცემული, მაგრამ მაინც ჰიპოტაქსური კონსტრუქციები უფრო თეოფილესთვის არის დამახასიათებელი.

1. თეოფილეს თარგმანის ენობრივი მიმოხილვიდან ჩანს, რომ მასში, ეფთვიმეს თარგმანისაგან განსხვავებით, მეტია ძველი ქართული ენის ნორმათა რღვევის ამსახველი მაგალითები, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: ზმნისწინიანი აწმყო მყოფადის მნიშვნელობით; აწმყოს ხოლმეობითის მოშლის ტენდენცია (აღიღებნ||აღიღებენ იგი); უწყვეტელსა და I ბრძანებითში ი დართული ფორმები (ვა-

ჩუენბდი, აბრალობდი); I თურმეობითში მწკრივის ახლებური წარმოება (წარგუწყმედია, შეგჳრაცხია, შეუქმნივართ); -მცა ნაწილაკის ფუნქციის მოშლა, სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების წესის მოშლა და სხვ.

2. ხელნაწერები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ორთოგრაფიულად. ხშირად ირღვევა *ჟ*, *ჭ* და ნაწილობრივ *ჴ* და *წ* გრაფემების ხმარების წესები. ფონეტიკურ მოვლენათაგან შედარებით ხშირია მეტათეზისის, ბგერის დაკარგვისა და ჩართვის შემთხვევები.

3. გამოიკვეთა თეოფილეს სტილის ზოგიერთი თავისებურება: ა) მსაზღვრელ-საზღვრულთან თანდებული დაერთვის ყოველთვის პირველ ადგილზე მდგომს - პრეპოზიციის შემთხვევაში მსაზღვრელს, პოსტპოზიციისას - საზღვრულს (ჯორციელთაგან საქმეთა, მადლისაგან საღმრთოჲსა ...)

ბ) სინტაქსური წყვილები და ერთგვარი წევრები ხშირად გათიშულია ზმნით ან სხვა სიტყვით (მორჩილებაჲ მნებავს ეშმაკისაჲ; მოწლედ მომიკითხის და სურვილით).

გ) ეფთვიმეს თარგმანის მარტივი წინადადების ერთი სიტყვით გადმოცემული შინაარსი, თეოფილესთან გადმოცემულია დამოკიდებული წინადადებით (მათ უღირს ამის მიერ სირცხული E - უფროჲსლა მაგათ უღირდა, რადათამცა შესწბა T).

თავი მეხუთე

„სწავლადს“ ქართული თარგმანების ზოგიერთი ლექსიკური თავისებურება

ზოსიმეს „სწავლადს“ ქართული თარგმანები საინტერესოა ლექსიკის მხრივაც.

I

„სწავლადს“ თარგმანებში წარმოდგენილია ძველი ქართული ენის მდიდარი სინონიმური ლექსიკა. ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანების პარალელურ ადგილებში გვხვდება სინონიმთა მონაცვლეობის შემთხვევები. დასტურდება მრავალი სინონიმური წყვილი. ასე, მაგალითად: *ამოდ - ცუდად, დაბა - სოფელი, დავსება - დაშრეტა, დამარხვა - დაცვა, დილეგი - საპყრობილე, ვალი - თანანადები, ზანდუკი - მოთხე, ზრახვა - ბურდნა, მანქანება - მრავალღონობა, მადრივ - უძღებებით, მიშუება - მიტევა, საეშმაკოე - სატანებრი, სამდდლოე - კკლესიაე, სამაგელი - ხენეში, ფიცი - განჩინება, შელაღვა - მკსინვარება, ჯორენი - გუამი* და მრავალი სხვა.

სინონიმური წყვილები გვხვდება არა მარტო თარგმანების პარალელურ ადგილებში, არამედ ერთი თარგმანის ფარგლებშიც - ერთ ფრაზაში, ერთმანეთის გვერდით. ასეთებია მაგალითად, ეფთვიმეს თარგმანში: *საწადელი - გულისსათქუმელი* E 63,9, *საწადელი - სასურველი* E 72,9, *მოდღურება - მასწავლელობა* E 141,5, *უჭირველად - განსუენებით* E 91,3.

უფრო მეტია სინონიმური წყვილების ხმარების შემთხვევები თეოფილეს თარგმანში: *წრფელი - ქეშმარიტი* T41,2, *ცუდი - ამო* T96,9; 107,8, *ტკივნეული - სნეული* T66,3, *უპატიო - შეურაცხი* T72,16, *უჭირველად - ადვილად* T94,20, *უჭირველად - განსუენებით* T91,3, *ლუაწლი - შრომა* T94,17, *სიმწნით - ახოვნად* T99,7, *უდები*

- დასწნილი T 98,5, მოძღუარი - მასწავლელი T 75,4; 92,16, ზუერტი
ბეგარი T 80,14 და სხვ.

გამოყოფთ სინონიმთა გამოყენების რამდენიმე შემთხვევას:

გული - მარცხენე კერძოჲ. ერთ-ერთ თხრობაში, სადა
ლაპარაკია ბერის სათნოებაზე, თავმდაბლობაზე, თეოფილ
თარგმანში ნათქვამია: „უკუეთუმცა მიელო გულად, ბევრეული
მიზეზთა კპობდა ამოეობისათა, რადთამცა ხედვიდა დიაკონსა მ
ვითარცა ეშმაკსა“ T 165,1-3. საერთოდ, აღნიშნული ძეგლის ერთ
თარგმანის „გულს“ უმეტეს შემთხვევაში მეორეშიც „გულ
შესატყვისება, მაგრამ ამჯერად ეფთვიმეს თარგმანშია არა „გული
არამედ „მარცხენე კერძოჲ“ - მარცხენა მხარე: „უკუეთუმცა კუდ
მარცხენე კერძოჲ დაემჭირა, რაოდენიმცა მიზეზი ეპოვნა დიაკონ
მის მიმართ, რადთამცა ვითარცა ეშმაკსა ხედვიდა“ E 165,1-
(ბერძნულში შესაბამისი ადგილი არ დასტურდება).

გული და გონება. „მითხრა, რად-იგი აქუნდა გულსა მისსა
160,6 - მითხრა, რად-იგი აქუნდა გონებასა შინა თუსსა T 160,9. ბერ
ნულშია η καρδια (=გული), რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „სურ
ვილი“, „განზრახვა“. ბერძნულ ენაში „გონება“ არის ο νοος, რომლი
ერთ-ერთი მნიშვნელობაა აგრეთვე „სურვილი“, „განზრახვა“, „ჩან
ფიქრი“. სწორედ ამ მნიშვნელობის მიხედვით ენაცვლებიან „გულ
და „გონება“ „სწავლაჲს“ თარგმანებში ერთმანეთს, როგორც სინონ
მები. „გული“ და „გონება“ ერთმანეთის გვერდით გვხვდება თეოფ
ლეს თარგმანში ბერძნული წყაროს η καρδια-ს და ეფთვიმ
თარგმანის „გულის“ შესატყვისად:

გულსავსე იყავნ გული შენი, შვილო E 177,2 - გულსავსე იქმენ
გული შენი და გონებაჲ T 177,1 - πληροφορηθει η καρδια
თს 1700. B.

დამშუდდეს გული შენი E 40,8 - დამშუდდეს გული შენი
გონებაჲ T 40,9.

ბერძნული η καρνία-ს შესატყვისად „გონება“ გვხვდება ახალი აღთქმის წიგნთა ძველ ქართულ რედაქციებში.⁵²

თავი - საკითხავი - სიტყვა. „თავი“ ცნობილი მნიშვნელობების (სხეულის ნაწილი, მეთაური, მთავარი, წიგნის ნაწილი, უკუქცევითი ნაცვალსახელი...) გარდა ეფთვიმეს თარგმანში „ამზის“, „იგავის“ მნიშვნელობებითაც იხმარება.

ვიკითხვედ რაჲ „მამათასა“, აღმოვიკითხე თავი ესე E 126.3;
ვიკითხვედით რაჲ „მამათასა“, მივემთხუენით თავსა მას ბერისა მისთვის E 122.5.

თეოფილეს თარგმანში „თავის“ შესატყვისია „საკითხავი“:

დიდად სარგებელ მეყო მე ოდესმე თავი ესე E 125,3 - დიდად სარგებელ მეყო მე ოდესმე საკითხავი ესე T 125,3.

ბერძნულშია:

τοιοτο το αποφθεγμα πανυ με αφηλεσε 1693, D. το αποφθεγμα -ს მნიშვნელობაა „მოკლე გამონათქვამი“, „იგავი“, „მახვილგონიერი ნათქვამი“.⁵³

ერთ შემთხვევაში „თავის“ შესატყვისად თეოფილეს თარგმანში იკითხება „სიტყვა“:

ვიწყეთ რაჲ კითხვად თავსა ზედა, ხოლო კითხვისასა მივემთხუენით თავსა მას, რომელ იტყჳს... E 138,2.

ამ კონტექსტში პირველად ნახმარი „თავი“ „მამათა წიგნის“ დასაწყისს უნდა ნიშნავდეს, ხოლო მეორე - „იგავს“, „ამზავს“, ეს ჩანს თეოფილეს თარგმანიდანაც:

ვითარცა ვიწყეთ წურთად წიგნსა მას იგავთასა, მოვედ სიტყუასა მას თანა, რომელსა იტყჳს... T 138.4.

შეშა - ნივთი. გარკვეულია, რომ „შეშა“ და „ნივთი“ ბერძნული η σλη-ს შესატყვისისი ლექსიკური ერთეულებია ძველ ქართულში. აღნიშნული ბერძნული სიტყვა ყოფითი შინაარსით ნიშნავდა „ტყეს“, „ხის მასალას“, „შეშას“, „მელს“, „ბუნქნარს“, ფილოსოფიური აზრით კი - „მატერიალს“, „ნივთიერებას“, „შიგთავსს“, „მატერიალურ სამყაროს“. იგი უძველეს პერიოდში ყოფითი შინაარსის შესაბამისად ქართულად ითარგმნებოდა როგორც „ტყე“, „ფიცარი“, რაც მოგ-

ვიანებით „ნივთა“ შეცვალა. „ნივთს“ VI საუკუნის დამდებნიდან უთუოდ უკვე შეძენილი ჰქონდა „მატერიის“ შინაარსი.¹⁵⁴

„სწავლავს“ ორივე თარგმანში „შეშა“ გვხვდება ცეცხლთან დაკავშირებულ კონტექსტში - შეშა მიზეზია, მასალაა ცეცხლისა:

მრავალსა შეშასა შორის იშუებს ცეცხლი... E 138,2 - შორის შეშასა ფრიადსა იხარებს ცეცხლი... T 138,4.

ამ ადგილს ორივე თარგმანში მოსდევს ვრცელი განმარტება მსჯელობა იმის შესახებ, რომ როგორც შეშა არის მიზეზი, მასალაა ცეცხლისა, „ეგრეთვე არიან მიზეზნი ვნებათანი...“ მოაკლდება შეშა ცეცხლს, ჩაქრება, თუ მოემატება - ცეცხლიც გაძლიერდება. ან მსჯელობაში ეფთვიმე ერთმანეთს უნაცვლებს „შეშასა“ და „ნივთს“:

ვითარცა-იგი შეშად მიზეზი არს ცეცხლისაჲ და უკუეთუ ნივთი იგი მოაკლდეს, დაშრტების, ხოლო რაოდენცა ნივთი ფრიად იყოს იგი უმეტესად იშუებს, ეგრეთვე...“ E 139.

თეოფილეს თარგმანში მხოლოდ „შეშა“ დასტურდება: ვითარცა სახედ შეშად მიზეზი არს აღსა მას ცეცხლისასა და უკუეთუ არ ურთვიდე ზედა შეშასა, დაივსების ცეცხლი, ესრეთვე...“ T 139.

ეფთვიმეს თარგმანში სწორედ ის შემთხვევა უნდა გვქონდეს როცა „ნივთი“ იმდენად გაუიგივდა ბერძნულ ტერმინს, რომ მისი ყოფითი შინაარსიც შეითვისა“.¹⁵⁵ ქართული თარგმანებიდან დამოწმებულ ადგილებს შესატყვისები არა აქვთ PG-ში დაბეჭდილ ბერძნულ ტექსტში, ამდენად საშუალება არა გვაქვს ქართული და ბერძნული ტექსტების შედარებისა, მაგრამ აშკარაა, რომ „შეშა“ და „ნივთი“ ბერძნული η σλη-ს შესატყვისებს წარმოადგენენ.

საქმე - ნივთი. ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანების მიხედვით სინონიმები ჩანს „საქმე“ და „ნივთი“, რომლებიც ბერძნულ ტექსტის τὸ πρᾶγμα-ს შესატყვისებს წარმოადგენენ. τὸ πρᾶγμα-ს მნიშვნელობას შორისაა „საქმისა“ (1) და „ნივთის“ (4) მნიშვნელობები: ეფთვიმესთან ჩვეულებრივია „საქმე“, თეოფილესთან - „ნივთი“ არა შემსკულალოდ არს გონებაჲ მისი საქმეთა სოფლისათა E 11,4 არარად შეურაცხიეს ნივთი სოფლისაჲ T 11,4;

ვიწურთიდიტ გულისსიტყუათა საქმეთათჳს ცუდთა და არარათა E 64,19 - ვწმასნით გულისსიტყუათა განხრწნადთათჳს და განქარვეზადთა ნივთთა T 64,19;

უკუეთუ სიყუარული ვნებათაჲ და საქმეთა ჳორციელთაჲ აღმოვიგდოთ გულთა ჩუენთაგან... E 70,4 - რომელსა არად შეერაცხოხს ნივთი რაჲ ამიერი... T 70,4.

საქმე - ჳამზავი, თხროზა, სიტყუა. „ამზავი“, „თხროზა“ და „სიტყუა“ თავის მხრივ სინონიმური მნიშვნელობის სიტყუებია. ეფთვიმეს ოარგმანში აღნიშნულ სინონიმთაგან უშეტესად „საქმე“ გამოიყენება:

იწყო ძმისა მის თანა ზრახვად რეცა სხჳსა საქმისათჳს E 173,2 - იწყო სიტყუად ძმასა მას თანა სხუასა რასმე ჳამზავსა T 173,1; შდრ.: *πειρὶ ἀγλοῦ πραγμάτων*: 1700, A.

გჳთხროზდა ნეტარი იგი ესევეითარსა საქმესა E 155,6 - მომითხრა ჩუენ ამას ზედა თხროზაჲცა ესევეითარი T 155,7.

წვიათად ეფთვიმესთან გვაქვს „სიტყუა“, თეოფილესთან - „საქმე“:

ბალო დასამტკიცებელად სიტყუასა ამის იტყოდა ნეტარი იგი, ვითარმედ... E 55,1 - და სიმტკიცისათჳს საქმისა ამის იტყოდა ნეტარი იგი თხროზასა... T 55,1.

II

„სწავლადს“ ქართულ თარგმანებში ბევრია ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებისთვისაც დამახასიათებელი ე.წ. ჳენდიადისი - ბერძნული ტექსტის მრავალმნიშვნელობიანი სიტყუა გადმოცემულია სხვადასხვა მნიშვნელობის ორი სიტყუით. ჳენდიადისეუბი ფართოდ იყო გავრცელებული XI-XII საუკუნეების ქართულ მწერლობაში.⁵⁶ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თარგმანის ამ წესს საფუძველი დაუდო ეფთვიმე ათონელმა: ჳენდიადისეუბი საკმაოდ

ხშირდაა გამოყენებული ბასილი კესარიელის „სწავლათა“ მისეულ თარგმანში.⁶⁷

ჰენდიადისებს იყენებს ეფთვიმე „სწავლაჲს“ თარგმანშიც:

η υισος (სავადმყოფობა. 2.უვარგისობა, უნაყოფობა) - უძლურებაჲ

და სენი⁶⁸ E 21,11;

ιαθηναι (ιαομαι - 1.განკურნება. 2.გამოსწორება) - განკურნებაჲ
და განთავისუფლებაჲ E 23,2;

λεγει (λεγα)- მომიგო და მრქუა E 126,1.

ჰენდიადისები მრავლადაა თეოფილეს თარგმანში. შეიძლება ვთქვათ, რომ ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანები ამ მხრივ უპირისპირდებიან ერთმანეთს. მოვიტანთ მაგალითებს ორივე თარგმანიდან პარალელურად:

επιπλητειν (επιπληττω - გინება. შეურაცხყოფა. ცემა) -

აყუედრებ E 41,2 - ჰგუემს და ჰყუედრის T 41,5;

τα δεσποται (δεσποτις - 1.ბატონი. 2.პატრონი, მფლობელი) -

უფალნი E 52,4 - უფალნი და პატრონნი T 52,4;

αθλια (2.უბედური. 3.ცუდი) - უბადრუკო E 45,1 - უბადრუკო და

უღებ T 45,1;

τιματιρον (τιμος - 1.საპატიო. 4.ძვირფასი) - უპატიოსნეს E 4,6 -

უზტობეს და უპატიოსნეს T 4,8;

η μαχη (1.ბრძოლა. 2.კამათი, დავა. 3.ჩხუბი) - შფოთი E 150,6 -

შფოთი და ბრძოლაჲ T 150,8;

διακλαγμαι (διακλαττω - 1.სანაცვლოს მიცემა. 2.ზავის დადება.

3.შერიგება) - დაგებაჲ E 82,7 - დაგებაჲ და ყოფად სიყუარულისა T 82,7;

της ταπεινωσεως (η ταπεινωσις - 1.დამდაბლება. დამცირება. 2.

სულმოკლეობა. მოწყენილობა. სიმხდალე. 4.მორჩილება) - დამდაბ-
ლებისა E 34,8 - შემუსრვილებისა და სიმდაბლისა T 34,10.

ანალოგიური შემთხვევა ბევრია: თეოფილე ორი სიტყვით გადმოსცემს ეფთვიმეს თარგმანში ერთი სიტყვით გამოხატულ შინაარსს. ასეთი განსხვავება ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანებს შორის

დასტურდება იმ ადგილებშიც, რომელთაც შესატყვისები არა აქვთ ბერძნულში:

დასაბამი E 85,4 - თავი და დაწყება T 85,4;

მადლოსა E 91,8 - მადლოსა და ნიქისა T 91,9;

ნიქნი E 98,13 - მადლოთა და ნიქთა T 98,13;

ნიქთა E 106,3 - მადლოთა და ნიქთა T 106,6;

მოძღუარი E 118,3 - მამა და მოძღუარი T 118,3;

კაცთმოყუარე E 101,13 - სახიერ და კაცთმოყუარე T 101,15.

III

„სწავლაჲს“ თარგმანებში ზოგი სიტყვის მნიშვნელობა განსხვავებულია სხვა ძეგლებში დადასტურებული ამავე სიტყვების მნიშვნელობათაგან.

აკრება. სხვა ძეგლების მიხედვით ამ სიტყვის მნიშვნელობაა „შეკრება“, „მოგროვება“ (ილ.აბულაძე),⁵⁹ „შეკრება“, „მოსპობა“ (ზ.სარგველაძე).⁶⁰

„სწავლაჲს“ ტექსტში „აკრება“ „აღებას“, „აღაგებასაც“ უნდა ნიშნავდეს: ბერმა მეზობელი ბერის სენაკიდან მოიპარა ნივთები. მასთან მისულმა პატრონმა დაინახა სენაკში მიმოზნეული თავისი ნივთები. ბერს ვერ მოესწრო მათი შენახვა, დამალვა. მოსულმა მოიმიზეზა „განსლვად გარე-განსავალთა საგმართათჳს მუცლისა“ და დიდხანს დარჩა იქ, რომ ბერს მოესწრო მოპარული ნივთების აღაგება და შენახვა: „დაიფიქნა მუნ მყოვარ ჟამ, ვიდრემდის უკუ-აწყნაროს ძმამან ჭურჭელი მისი და შორის მდებარებისაგან აკრიბოს“ T 172,6.

განჩემებული. ძველი ქართულის ძეგლებში აღნიშნავს „განკუთხ-ნილს“ (ილ.აბულაძე). საბა ამ სიტყვას განმარტავს როგორც „განწი-ლულივით“,⁶¹ ნ.ჩუბინაშვილთან „განჩემება“ ნიშნავს „გაცალკეებას“.

„განწილვას“.⁶² „განჩემებული“ ორჯერ გვხვდება თეოფილეს თარგმანში განსხვავებული მნიშვნელობით:

ხოლო იგი განჩემებული ეტყოდა... T 119,9. ბერძნულშია: εκεινους δε μαινομενους και λεγοντας 1693, B. ხაზგასმული სიტყვა არის მიმღობა ზმნისა μαινομαι (= ბოზობა, გაგჟება, განრისხება). შდრ. ეფთვიმეს თარგმანი: *ხოლო იგი უმეტესად აგინებდა და იტყოდა... E 119,7.*

ერთ-ერთ საკითხავში მოთხრობილია იმაზე, რომ ადამიანს არ ეშინია ღვთისა, ცდილობს შეიძინოს სიმდიდრე. ზოგჯერ კი ის, ვინც ადრე, ცოტა ხნის წინ აბოზობებული, შეშლილი იყო დანგის (წვრილი ფულის) შესაძენად, ზღვის, მტრის შიშით უმალ, საჩქაროდ ყველაფერს გადაყრის, რომ შეინარჩუნოს მცირე ხნის სიცოცხლე:

პირველ მცირედისა განჩემებული იგი შეძინებისათჳს დანგისა მყესა შინა ყოველსავე ადვილად განსთხვენ T 53,31-33.

„განჩემებულის“ აღნიშნულ მნიშვნელობას გამოავლენს ეფთვიმეს თარგმანი:

და რომელი-იგი პირველ მცირედისა ბორგნ შეძინებად ერთისა დანგისა, გულსმოდგინედ ყოველივე განაგდის... E 53,26-29.

„განჩემებული“ იგია „რომელი-იგი ბორგნ“. „ბორგა“ - „გაგჟება“, „კუაზე შემლა“, „შეცთომა“ (ილ.აზულაძე). ამ ადგილს ბერძნულ წყაროში შესატყვისი არა აქვს.

კუმში: გვხვდება ეფთვიმეს თარგმანში. იგი შეესატყვისება ბერძნული წყაროს τα σκευη-ს, რომელიც წარმოადგენს მრავლობითი რიცხვის ფორმას სიტყვისა το σκευος. იხმარება უმეტესად მრავლობითის ფორმით. აქვს თერთმეტი მნიშვნელობა, მათ შორისაა: „საგანნი“, „ავეჯეული“, „ჭურჭელი“, „მოწყობილობა“, „ტანსაცმელი“, „სამოსი“.⁶³ ბერძნულ წყაროშია Μεθ ημερας δε εγυαρισθησεν τα σκευη του γερουτος I 700, A.

ეფთვიმესთან ბერძნული წყაროს ეს ადგილი ასეა თარგმნილი: *შემდგომად რაოდენთამე დღეთა საგნაურ იქმნა მის თანა კუმაშისა მისგან ბერისა E174,1-3*

„კუმაში“ აქ თითქოს სამოსელს უნდა ნიშნავდეს: ბერი, რომელმაც მეზობელი ბერის ნივთები მოიპარა, შეიცნეს კუმაშით - სამოსლით და შეიპყრეს. მაგრამ სხვა კონტექსტში „კუმაში“ არ აღნიშნავს „სამოსელს“ - იგი ბერძნული το ματιον-ის შესატყვის „სამოსელთან“ ერთად იხმარება:

πιστος ην αξιον το ματιον η τα σκευη? 1700, C - რაღსა ღირს-იყო სამოსელი იგი ანუ კუმაში? E 181,1.

ბერძნული ტექსტის ერთ წინადადებაში ორჯერ ნახმარი τα σκευη ეფთვიმეს ნათარგმნი აქვს სხვადასხვაგვარად: ერთი სიტყვით - „ჭურჭელი“ და ორით - „ჭურჭელი“ და „კუმაში“:

μη ευρων τα σκευη αυτου, ηλθε προς τον αδελφον... ευρεν ακμην ουν τα σκευη αυτου εν τα μεσω. 1697, D. - ვერ პოა წიგნები იგი და ჭურჭელი, მივიდა ძმის მის... და პოა ჭურჭლები და კუმაში იგი სენაკსა მისსა E 171,3-6.

„კუმაში“ ძველი ქართული ენის ძეგლებში იშვიათად ხმარებული სიტყვა ჩანს. ჯერჯერობით იგი ჩვენი ძეგლის გარდა დადასტურებულია მხოლოდ გიორგი მთაწმიდლის თხზულებაში - „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“: „სამგზის დაიტყუენა მონასტერი და რაგცა დრისტი ტურფა იყო, მამათა ჩუენთა მოგებული, ყოველი იავარ-იქმნა და ეგრეთვე განძი და კუმაში (116,3).“⁶⁴ აშანიძე იმოწმებს ძეგლის ამ ადგილს და აღნიშნავს: „კუმაში“ არაბულია, ამჟამად სვანურში „საქონელს“ ნიშნავს (უმთავრესად ხარს ან ფურს), ჩვენს ძეგლში კი ქსოვილს უნდა აღნიშნავდეს.“⁶⁵

შევნიშნავთ, რომ „ყუმაში“ ფართოდ გავრცელებული სიტყვა ყოფილა თურქეთში მცხოვრები ქართველების - ჩვენებურების მეტყველებაში. „ჩვენებურების ქართულის“ ლექსიკონში აღნიშნულია „ყუმაშის“ არაბული წარმომავლობა და ახსნილია იგი როგორც „ქსოვილი, მატერია (ფაბრიკის ნაწარმი)“.⁶⁶ „კუმაში“ საბასთან ასეა განმარტებული: „ყუმაში, ნაქსოვი“. ნ.ჩუბინაშვილი კი ამ სიტყვის ბერძნულ ფორმასაც მიუთითებს: „კუმაში - ყუმაში, ნაქსოვი, ლარი, кумац, кумаци“.⁶⁷ თურქულ-რუსულ ლექსიკონში „კუმაში“ (kumaş)

განმარტებულია როგორც „ქსოვილი“, გადატ.: „იშვიათი ნივთი“, „იშვიათობა“.⁶⁸

ზოსიმეს თხზულების ეფთვიმესეულ თარგმანში „კუმაში“ უნდა აღნიშნავდეს არა მარტო ქსოვილს, არამედ საერთოდ ქონებას - საეკლესიო ნივთებს, ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილ საგნებს (გარდა წიგნებისა), ეს ჩანს ეფთვიმეს თარგმანის იმ ადგილიდანაც, სადაც ბერძნული $\tau\alpha$ $\sigma\kappa\epsilon\upsilon\eta$ თარგმნილი არ არის რომელიმე კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი სიტყვით:

ελαψε $\tau\alpha$ $\sigma\kappa\epsilon\upsilon\eta$ αυτου και τα βιβλια. 1697, D. - წარიპარა წიგნები მისი და რაფცა პოა E 170,4.

„რაფცა პოა“ ამ წინადადებაში ბერძნულის $\tau\alpha$ $\sigma\kappa\epsilon\upsilon\eta$ -ს შესატყვი-სია. ამ მხრივ საყურადღებო ისიცაა, რომ ზემოთ დამოწმებული ბერძნული მაგალითების $\tau\alpha$ $\sigma\kappa\epsilon\upsilon\eta$ თეოფილეს გადმოღებული აქვს, მხოლოდ როგორც „ჭურჭელი“: *წარიღო ყოველივე ჭურჭელი მისი და წიგნები T 170,5; შემდგომად უკუე დღეთა რავდენთამე იცნობა ბერისა ჭურჭლები ძმასა მას თანა T 174,1; ვერ პოა ჭურჭლები თუსი და წიგნები. აღდგა და მივიდა ძმისა მის... პოვა ჭურჭლები თუსი T 171,3; რაფზომის ღირდა სამოსელი იგი ანუ ჭურჭლები მისი T 181,1.*

შევნიშნავთ, რომ, შესაბამის ლათინურ ტექსტში ყველგან არის *vasa*, მრავლობითი ფორმა სიტყვისა *vas* (ჭურჭელი).

ბერძნული $\tau\alpha$ $\sigma\kappa\epsilon\upsilon\eta$ -ს შესატყვისად „ჭურჭელი“ „შესაქმეს“ რედაქციებშიც:

και εξευγκας ο παις $\sigma\kappa\epsilon\upsilon\eta$ αργυρα και $\sigma\kappa\epsilon\upsilon\eta$ χρυσα... εδωκε τη Reβεκ και. Γενεσις 24,53. - გამოძმხელმან ყრმამან ჭურჭელსა ოქროჟსა და ვერცხლისასა... მისცა რებეკას. შესაქმე 24,53 CB.⁶⁹

Νυν ουκ λεβη το $\sigma\kappa\epsilon\upsilon\sigma$ σου. Γενεσις 27,3 - აწ აღიღე ჭურჭელი შენი... შესაქმე 27,3CB.

ასე რომ, „კუმაში“ და „ჭურჭელი“ ეფთვიმეს თარგმანში სინონიმები ჩანს. „ჭურჭელიც“ ძველ ქართულში სხვადასხვა მნიშვნელო-

ბით გამოიყენება: „ჯამ-ჭურჭელი“, ჭური, იარაღი, ქონება, საჭურჭლე, სამკაული“ (ილაბულაძე).

ნასხური: გვხვდება „სწავლად“ თეოფილესეულ თარგმანში: „ხოლო მე ყოვლად არას უჩუენებდი მას საეჭუსა, არცა რას ყოვლად ნასხურსა მწუხარებისასა“ T 113,9.

„ნასხური“ შეესატყვისება ბერძნული წყაროს λειψασιον-ს 1692, C, რომელსაც ბერძნულში აქვს სამი მნიშვნელობა: 1.ნარჩენი. 2.ნეშტი, გვამი. 3.წარუშლელი კვალი, უქცნობი დიდება.⁷⁰ მოტანილ კონტექსტს ამ სიტყვის პირველი მნიშვნელობა შეესაბამება - „ნასხური“ ნიშნავს „ნარჩენს“, „ნატამალს“: ერთმა ბერმა უმიზეზოდ შეურაცხყო მეორე, „ხენში და საძაგელი“ სიტყვები უთხრა რამდენიმე ხნის შემდეგ ბერები შეხვდნენ ერთმანეთს ისე, თითქოს მათ შორის „ყოვლად არარაჟ თქმულ იყო“; უდანაშაულო ბერმა შეურაცხმყოფელს მწუხარების, წყენის ნასხურიც კი - ნარჩენი, ნატამალი არ უჩვენა, არ აგრძნობინა.

„ნასხური“ დასტურდება ბერძნულიდან ნათარგმნ რამდენიმე სხვა ძეგლშიც: „ყოველი ვეცხლი ვეცხლსა ნუ ეწიოს, არამედ ნასხურ იყავნ მისა ჩემისა“ ტობე, 19.⁷¹ „ნასხურის“ ფარდად ზოსიმეს თხზულებისაგან განსხვავებით ბერძნულ წყაროშია არა λειψασιον, არამედ περιყოμα (πρῆξ),⁷² რომელიც ძეგლზე დართულ ლექსიკონში შესაბამისად ახსნილია, როგორც „ქუჭყი“.⁷³ „ნასხური“ გვხვდება პავლეს ერთ-ერთ ეპისტოლეში: „მგმობართა ჩუენთა ულოცავთ, ვითარცა ნარჩენი სოფლისანი შევიქმნენით, ყოველთა ნასხურ მოაქამდე“ I კორ. 4,13. ეფრემისეულ რედაქციაში „ნასხურის“ შესატყვისად არის „წარსაჯლცელი“.⁷⁴

კდანელიას დაკვირვებით, პირველწყაროს περιყოμα-ს შესატყვისად, რომელიც ქართულად თარგმნილია როგორც „ნასხური“, სომხურ თარგმანში იკითხება სასურველის, საყვარლისა და მტვრის საწმედი ჩერის აღმნიშვნელი სიტყვა, სირიულში კი - ნარჩენის, ნაყარ-ნუყარის, ნაგვის, უვარგისის აღმნიშვნელი. როგორც შენიშნავს კდანელია, „ამ მნიშვნელობათაგან რომელი უნდა ჰქონდეს ქართულ

თარგმანში ნახმარ ნასხურ სიტყვას, ნათელი არ არის“. რაც შეეხება ეფრემისეულ „წარსატოცელს“, მკვლევრის ვარაუდი ასეთია: ეფრემს ბერძნული სახელი παιρῳγια შეცდომით გაგებული აქვს როგორც მიმღეობა παιρῳα (მოხოცვა, მოწმენდა, მომშრალება) ზმნისა. „ნასხურის“ საბასეული განმარტებაც (აღსაწბელი, წარსატოცელი, გინა იგივე ნასხოვარი) ეფრემისეულ ახსნას უნდა ემყარებოდეს. არც ეფრემისეული და საბასეული განმარტებები შეეფერება კონტექსტის დედნისეულ გაგებას.⁷⁵ ილ.აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც“ „ნასხური“ განმარტებულია როგორც „სახოცი, მძვარი; ნაგავი“.

ორიგინალურ ძეგლთაგან „ნასხური“ გვხვდება გიორგი მთაწმიდელის „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაში“: „ბერძენნი ფრიად რაჟმე შეიწყარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნასხურნი რაჟმე და უნდონი უგულებელსყვნა და შეამცირნა (115).⁷⁶ ძეგლზე დართულ ლექსიკონში აკ.შანიძე „ნასხურ“ სიტყვასთან იმოწმებს ამ ადგილს ტექსტიდან, მაგრამ არ განმარტავს მას. შესადარებლად მოაქვს ბერძნული παιρῳγια-ს შესატყვისი „ნასხურის“ შემცველი ადგილები I კორ. 4,13 და იპოლ. „ქება ქებათა“ 6,15: ვითარცა ნასხორ წარმართთა ვიყავ.“⁷⁷ გიორგი მთაწმიდელის თხზულებაში ნახმარი „ნასხური“ სხვადასხვა დროს მკვლევარებს განმარტებული აქვთ, როგორც „დაცინვა, посмешище“ (ნ.მარი); „უღირსი, უნდო, недостойный“ (დ.ჭუბინაშვილი); „უღირსი, უმნიშვნელო“(მ.ჭაბაშვილი).⁷⁸ კ.დანელია თვლის, რომ „ნასხურ“ სიტყვის უეჭველი განმარტება დღემდე არ მოგვეპოვება“. მისი აზრით, „ნასხური“ ნა პრეფიქსით ნაწარმოები წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობაა „სხურება“ ზმნისა. ეტიმოლოგიურად „ნასხური“ უნდა ნიშნავდეს „სხურებულს“, „ნასხამს“, „გადასხმულს“, მნიშვნელობის ოდნავ გადაწევიტ: „გადაღვრილს (წყალს)“, „ნარეცხს“, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით „უვარგისს“.⁷⁹ „შესხურება“ ზმნის მიმღეობად თვლის „ნასხურს“ ზ.სარჯვე-

ლაძეც. ზოსიმეს „სწავლავს“ თეოფილესეულ თარგმანში შედარებით ნათელი, დაკონკრეტებული ჩანს „ნასხურის“ მნიშვნელობა.

ნაწლევი. ძველ ქართულში „ნაწლევი“ აღნიშნავს „ნაწლავს“. მისი სინონიმებია: „შინაგანი“, „მუცლიერი“, „ეზოჯ გულისაჯ“ (ილ.აბულაძე). თეოფილესეულ თარგმანში „ნაწლევი“ „ნაწილის“, „ნარჩენის“ მნიშვნელობით არის ნახმარი: თხრობაში ლაპარაკია ადამიანებზე, რომელთაც არ აწუხებთ მოძმის ტკივილი, პირიქით, სურთ, „რადთა უმეტესად-რე ტკივნეულ იყვნენ“. მთხრობელი განმარტავს: „ესე ქემშარიტად საქმე არს მისი, რომელსა არა აქუნდეს ნაწლევი წყალობისაჯ T 67,10. ბერძნულში შესაბამისი ადგილი არ დასტურდება. ამ აზრს ეფთვიმე ასე გადმოსცემს: ქემშარიტად ესე არს საქმე კაცთა ცნობამიღებულთაჯ E 67,9.

ძკნი. „ძკნი“ დასტურდება თეოფილეს თარგმანში: „მსგავს იყო შენ ძკნსა რკინისასა, რომელსა სცემნ მკედელი ფრიად T 49,9. A ნუსხის ეს ადგილი სხვა ნუსხებში სხვაგვარად არის წარმოდგენილი: სიტყვას „ძკნსა“ მოსდევს „შანთსა“: მსგავს იყო შენ ძკნსა შანთსა რკინისასა T 51r. (A-ში „შანთ“ აშიაზეა მიწერილი). ეფთვიმეს თარგმანში შესაბამისი ადგილი ასე იკითხება: მსგავს ხარ მკედელსა, რომელი ქედნ დღე ყოველ შანთსა რკინისასა E 49,10.

ამ შემთხვევაში „ძკნი“ და „შანთი“ სინონიმები ჩანს.

ილ.აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ დამოწმებულია თეოფილეს თარგმანის A ნუსხის ზემოთ მოტანილი ადგილი და „ძკნი“ განმარტებულია, როგორც „შანთი, გახურებული რკინის ნაჭერი“. ახსნილია ამ ძირის შემცველი სიტყვები: მძკნვარე, განძკნებული, ძკნება, მძკნვარება... ყველა ამ სიტყვისათვის ამოსავალია მრისხანების, სისასტიკის, ბოზოქრობის მნიშვნელობა. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ ძირის სიტყვებს საბასთანაც.

ვფიქრობთ, რომ თეოფილეს თარგმანის BCDEF ნუსხებში „ძკნი“ „შანთის“ მსაზღვრელია, იგი ზედსართავია - აღნიშნავს გახურებულს, გავარვარებულს.

„ძუნად“ ფორმის მნიშვნელობას ძველი ქართული ენის ძეგლებში განიხილავს ელ.დოჩანაშვილი. სათანადო მაგალითებზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ „ძუნად“ ნიშნავს „შესახებ, მიმართ, ირგვლივ, ზე, წინააღმდეგ“.⁸⁰ ზ.სარჯველაძე „ძუნად“ სიტყვას განმარტავს როგორც „წინააღმდეგ, ბოროტად“.

ჰილაქ||ჰილათი. „ჰილაქ“ დაუცავს „სწავლავს“ თეოფილესეული თარგმანის ხუთ ნუსხას, მხოლოდ ერთ, გვიანდელ (XVI-XVII სს) ხელნაწერში - D-ში დასტურდება „ჰილათი“:

გარნა ესეცა ღონე არს და ჰილაქ (ჰილათი D) ეშმაკისაჲ T 147,2.

„ჰილაქ“, „ჰილათი“ იმავე მნიშვნელობისაა, რაც ღონე (ხერხი, საშუალება, საცთური, ხრიკი), მასთან ერთად არის იგი კიდევ გამოყენებული, როგორც მისი სინონიმი. საინტერესოა, რომ საბას სალექსიკონო ერთეულად აქვს შეტანილი „ჰილათი“, იმოწმებს სწორედ „მამათა ცხოვრებას“ (მამადცხოვ.), მიუთითებს ამ სიტყვის სპარსულ წარმომავლობას და განმარტავს მას, როგორც „ჩხუბით“.⁸¹ როგორც ჩანს, საბასთვის ამოსავალი ფორმაა „ჰილაქ“, „ჰილათი“ გაგებულია მოქმედებითი ბრუნვის ფორმად.

„ჰილაქ“ და არც „ჰილათი“ ძველი ქართული ენის ძეგლებში ჯერჯერობით არ არის დადასტურებული, არც ილაზულაძისა და ზ.სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონებში ჩანს იგი.

შევნიშნავთ, რომ „ვისრამიანში“ ამავე მნიშვნელობით გვხვდება „ილათი“ (← ჰილათი): მითხარ მართალი, თუ რაჲთა ილათითა გამოხველ აქა? (ვისრამ.184); „ვისრამიანში“ „ილათი“ გვხვდება სინონიმურ შესატყვისთან - „სიბიჭე“ (ცბიერება, მატყუარობა, თვალთმაქცობა): შაჰინშას რა ვისის ხმა ესმა, გაეხარნეს. მისი სიბიჭე და ილათი არ იცოდა (144).

„სწავლავს“ ქართულ თარგმანებში მეტად მცირეა უთარგმნელად გადმოღებული ბერძნული სიტყვა - ბერძნიზმი. გვხვდება სხვა ძეგლებითაც ცნობილი ეკლოვება, კერმა, კუნკული, პელაგონი, სინდონი, კენტინარი||კენდინარი, რომელთაგან ზოგი ორივე თარგმანშია, ზოგიც - მხოლოდ ერთში.

ორივე თარგმანში გვხვდება შემდეგი ბერძნიზმები:

კენტინარი||კენდინარი - κεντιναριον (ასიანი, ასის შემცველი, „ასი ლიტრა ოქრო ან ვერცხლი“ (ილ.აბულაძე):

არს კაცი, რომელმან შეურაცხ-ყვნის მრავალნი კენტინარნი საფასეთანი... და ქმნის ერთმან მან ნემსმან ადგილი კენტინარისაჲ E 51,5-10.

თეოფილეს თარგმანში ასიმილირებული ფორმა კენდინარი გვხვდება:

არს კაცი, რომელი დაუტეობს მრავალსა ტალანტსა და... დაიპყრობს ადგილსა სრულისა კენდინარისასა ნემსი იგი T 51,10.

კერმა - το κερμα (ფული) დასტურდება ორივე თარგმანში: მისცა დრაჰკანი და აკლდა მიცემად კერმისა... ვითარცა თუალვიდა კერმასა E 179,5; 180,5. T 179,9; 180,4.

პედიადი - η πεδιας (ველი). ბერძნული წყაროს საზოგადო სახელის (η πεδιας) მიცემითი ბრუნვის ფორმა ორივე თარგმანში აღქმულია როგორც გეოგრაფიული სახელი.

მი-ოდესმე-ვედი პედიადას E 168,9 - ვიყავ ოდესმე პედიადის T 168,11.

ბერძნულშია εν τη πεδιαδι 1697, D. ველის აღმნიშვნელია ლათინური თარგმანის შესაბამისი სიტყვა campestubus 1699.A.

ისმინეთ ამისთვის, რად-იგი მითხრა ნეტარმან სერგი მამასახლისმან პედიადისამან E 133,1.

...ნეტარმან სერგი წინამძღუარმან პედიადისამან (პედიადისმან F) მაუწყა მე T 133,2.

ბერძნულს ამ ადგილის შესატყვისი არა აქვს.

ორივე თარგმანისათვის საერთო ამ ბერძნიზმებს გარდა, გვხვდება მხოლოდ თეოფილეს თარგმანისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ბერძნიზმი:

კუნკული - *κουκουλιου* (ბერის ქუდი): *იქმნების კაცი იგი მონა ნემსისა, ანუ კუნკულისა* T 51,11.

ეფთვიმეს თარგმანში გვაქვს ზოგადად სამოსელი: *იქმნის მონა ნემსისა ერთისა, ანუ სამოსლისა ერთისა...* E 51,10.

თეოფილე მიჰყვება ბერძნულს: *και γινεται τις του ραφιδιου δισκος, η του κουκουλιου*: 1689. B.

ქართული ენის ძეგლებში პარალელური ფორმები ჩანს კუნკული და კუკული (ილ.აბულაძე „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ იმოწმებს ორივე ფორმას, გვ.205).

სინდონი - *η σινδων* (ფარდაგი, ტილო): *მოიღეთ სინდონი და განჰფინეთ* T 59,9; *იწყო აღმოღებად ქვებსა მას და მარგალიტებსა და განჰფენდა სინდონსა (სიდონსა AC) მას ზედა* T 60,2.

„სინდონის“ შესატყვისად ეფთვიმეს თარგმანში არის „ტაბასტაკი“: *განჰმარტა უკუე ტაბასტაკი* E 59,7.

„ტაბასტაკიც“ აქ უნდა აღნიშნავდეს „ფარდაგს“, „ტილოს“, „საფენს“, რომელიც გაშალა ვაჭარმა და „განაწყო ყოველი ქვები იგი და მარგალიტები“. ამ კონტექსტში „ტაბასტაკი“ და „სინდონი“ სინონიმები ჩანს. ილ.აბულაძე განმარტავს: „ტაბასტი - ლოგინი. საწოლი“. იქვე მიუთითებს „ტაბასტაკზე“, მაგრამ განმარტების გარეშე იმოწმებს წყაროს, რომლის მიხედვითაც „ტაბასტაკი“ „მკალისა და თაფლისა ველურისა მჭამელია“. მნიშვნელობა ნათელი არაა.

პელაგონი. *το πελαγος* აღნიშნავს „ხღვას“, გადატანით - „სიღრმეს“, „ღვენიეს“. თეოფილემ გადმოიტანა ბერძნული სიტყვაც და შესაბამისი თარგმანიც: *არა ვიტყუ პელაგონსა მას და ზლუასა ბოროტთა ჩუენთასა* T 32,3 - *ου λεγω το πελαγος των εμων κακων*: 1685.D.

ეფთვიმეს თარგმანშია: *...იხილნეს სიღრმენი ბოროტთა ჩუენთანი* E 32,1.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი მაგალითი: ქალაქის სახელი **Νεαπολεος** თეოფილეს უცვლელად, ამ ფორმით გადააქვს, ეფთვიმე კი თარგმნის მის შემადგენელ ნაწილებს... ვიდოდეთ... გზასა მას ახალქალაქისასა E 79,2 - ვიდოდეთ... გზასა მას ნეაპოლისასა T 79,2.

ამ მცირე მასალის მიხედვითაც ჩანს, რომ ბერძნობაში მეტია თეოფილეს თარგმანში.

დასკვნები

1. ბერძენი ავტორის - ზოსიმეს (VI ს.) „სწავლაჲ“ ასკეტიკური მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი სამომღერო ხასიათის თხზულებაა. შეიცავს თოთხმეტ სიტყვას, რომლებშიც გაერთიანებულია თხრობები, რჩევა-დარიგებები ზნეობრივ თემებზე და შესაბამისი ეპიზოდები ბერ-მონაზონთა ცხოვრებიდან. „სწავლაჲს“ ზოგიერთ თხრობას პარალელი ეძებნება ამ ჟანრის სხვა თხზულებებში (შუა საუკუნეების ნოველებში, იოანე სინელის „კლემაქსში“).

2. ზოგიერთ ცნობას ზოსიმეს შესახებ გვაწვდის PG-ს 78-ე ტომში დაბეჭდილი „სწავლაჲს“ ტექსტისათვის ლათინურ ენაზე წამძვარებული პეტრე პოსინის შენიშვნები, რომლებშიც ზოსიმეს მიეწერება 40 სიტყვა, აგრეთვე „მარიამ მეგჰუპტელის ცხოვრების“ ავტორობაც.

3. ზოსიმეს თხზულება ქართულად უთარგმნიათ ეფთვიმე ათონელსა (955-1028 წწ.) და თეოფილე ხუცესმონაზონს (XI ს. II ნახ.). ეფთვიმეს თარგმანი ცალკე თხზულებას წარმოადგენს, თეოფილეს თარგმანი კი დაცულია „მამათა ცხოვრების“ - პატერიკის მისივე თარგმანის მეორე და მესამე თავების ნაწილების სახით. თეოფილესეული „მამათა ცხოვრებისაგან“ განსხვავებით ეფთვიმეს მიერ ნათარგმნი პატერიკი (A 35) არ შეიცავს „სწავლაჲს“ ტექსტს. მასში ამ თხზულების მხოლოდ ორიოდე ფრაგმენტს აღმოაჩნდა შესატყვისი.

4. „სწავლაჲს“ ქართული თარგმანები უფრო ვრცელია, ვიდრე PG-ში დაბეჭდილი ბერძნული ტექსტი.

სავარაუდებელია, რომ ცალკე არსებული „სწავლაჲსა“ და პატერიკში ჩართული ამავე თხზულების ბერძნული ტექსტები, რომლებიდანაც თარგმნიდნენ ეფთვიმე ათონელი და თეოფილე ხუცეს-მონაზონი, განსხვავდებოდა PG-ში დაბეჭდილი ტექსტისაგან.

5. „სწავლაჲს“ ეფთვიმესეული თარგმანი დაუცავს XI ს. ორ ხელნაწერს A 1104 და Ath 79. გამორკვეულია, რომ Ath 79 გადაწერილია ეფთვიმეს 990 წელს შესრულებული ავტოგრაფიდან.

თეოფილეს თარგმანი დაცულია A 1105 (XI ს.), A 1339 (XII ს.), A 528 (XII ს.), A 168 (XVI-XVII სს.), A 688 (XVII ს. ბოლო), A 169 (1745 წ.) ხელნაწერებით. ორივე თარგმანის ხელნაწერებს შორის განსხვავება ძირითადად ორთოგრაფიული ხასიათისაა.

6. „სწავლაჲს“ ეფთვიმესა და თეოფილესეული თარგმანების შეჯერებით PG-ში გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტთან გამოვლინდა ქართველი მთარგმნელების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება დედნისადმი.

ეფთვიმე თარგმნის მისთვის ჩვეული „შემატება-დაკლების“ მეოთხით - თავისუფლად: ავრცობს, ცვლის, აკლებს სათარგმნ ტექსტს. ეფთვიმეს თარგმანში დაკლების, ბერძნული ტექსტის ცალკეული მონაკვეთების შინაარსის შეკუმშულად გადმოცემის შემთხვევები ჭარბობს გავრცობისა და შეცვლის შემთხვევებს. ეფთვიმე აკლებს ისეთ ადგილებს, რომლებსაც თხრობების ძირითად შინაარსთან შედარებით მეორეხარისხოვნად მიიჩნევს.

თეოფილე ცდილობს მიჰყვეს ბერძნულ წყაროს. მაგრამ ისიც, როგორც ათონის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი, ზოგჯერ შორდება ბერძნულს: მის თარგმანშიც გვხვდება გავრცობის, შეცვლის და დაკლების შემთხვევები. ეფთვიმეს თარგმანისაგან განსხვავებით, თეოფილეს თარგმანში გავრცობის შემთხვევები ჭარბობს შეცვლისა და დაკლების შემთხვევებს.

7. ქართული თარგმანების რედაქციული მიმართება ბერძნულთან შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

ა) ორივე თარგმანში გვხვდება ბერძნული წყაროსაგან სავსებით ერთნაირად განსხვავებული ადგილები: გავრცობილია, შეცვლილია თუ დაკლებულია ერთი და იგივე სიტყვები, ფრაზები და ცალკეული მონაკვეთები. სავარაუდოა, რომ თეოფილე იცნობდა ეფთვიმეს თარგმანს და ზოგ რამეს მის მიხედვითაც ცვლიდა თავის თარგმანში, რადგან ნაკლებ საფიქრებელია, რომ ორივე მთარგმნელს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ასეთი, სავსებით ერთნაირი ცვლილებები შეეტანათ სათარგმნ ტექსტში. ზოგიერთი ამ ცვლილების წყარო განსხვავებული ბერძნული დედნები უნდა იყოს.

ბ) ერთი მხრივ გამოიყოფა შემთხვევები, როცა ეფთვიმეს თარგმანი შორდება ბერძნულს გავრცობილი, შეცვლილი და დაკლებულ-შეკუმშული ადგილებით, თეოფილეს თარგმანი კი ზუსტად მიჰყვება წყაროს. მეორე მხრივ, თეოფილეს თარგმანი შორდება ბერძნულ ტექსტს, ეფთვიმე კი მისდევს მას.

8. „სწავლავს“ თარგმანების ენობრივ მიმართებაში ბერძნულ ტექსტთან ვლინდება ეფთვიმესა და თეოფილეს მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებანი.

მასდარული კონსტრუქციები და აღწერითი ფორმები უფრო ხშირი ჩანს ეფთვიმეს თარგმანში, მიმღეობურ კონსტრუქციას უფრო მეტად მიმართავს თეოფილე.

ქართველი მთარგმნელები იცავენ ქართული ენის ბუნებას ბერძნული ტექსტის რიცხვის, ნაცვალსახელების, უშემასმენლო წინადადებების გადმოღებისას. სხვათა სიტყვას თარგმნიან როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ნათქვამით. ამ თარგმანის მიხედვით ირიბი ნათქვამი სხვათა სიტყვის გადმოსაცემად ქართული ენისათვის ბუნებრივი ჩანს.

9. ეფთვიმესა და თეოფილეს თარგმანები შესრულებულია ძველი კლასიკური ქართული ენის ნორმების მიხედვით, მაგრამ მათში ამ ნორმების რღვევის პროცესის ამსახველი მოვლენებიც დასტურდება.

ეფთვიმეს თარგმანში ნაკლებად, თეოფილესეულ თარგმანში უფრო მეტად. ასეც იყო მოსალოდნელი: თეოფილე ეფთვიმეს შემდეგდროინდელი პერიოდის მოღვაწეა, იმ დროისა, როცა ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში მძლავრად იჭრებოდა ცოცხალი მეტყველების ნაკადი, რაც ბუნებრივია, აისახა თეოფილეს თარგმანში.

10. „სწავლაჲს“ თარგმანები მდიდარ მასალას გვაწვდის ძველი ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონისათვის. სინონიმური წყვილები მრავლად გვხვდება როგორც თარგმანების პარალელურ ადგილებში, ისე ერთი თარგმანის ფარგლებშიც. თეოფილეს თარგმანში ბევრია ჰენდიადისი. ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა განსხვავებული ჩანს სხვა ძეგლებში დადასტურებულ მნიშვნელობათაგან (განჩემებული, კუმაში, ნაწლევი...), ზოგისა ზუსტდება (ნახური). ლექსიკური ბერძნიზმები საერთოდ მცირეა ორივე თარგმანში.

შენიშვნები

- 1 ე. ხინთიბიძე, ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, თბ., 1968, გვ. 12.
- 2 ე. ხინთიბიძე, ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის ისტორიისათვის, კრებ. „ვირონი-1000“, თბ., 1983, გვ. 290-291.
- 3 ე. ხინთიბიძე, ბასილი კაპადოკიელის... გვ. 11.
- 4 ე. ხინთიბიძე, ბასილი კაპადოკიელის... გვ. 12.
- 5 ილ. აბულაძე, ქართულის კვალი ძველი სომხური მწერლობის ერთს ძეგლში, ლიტერატურული მივანი, II, 1944, გვ. 99, გადმოხეჭილია ილ. აბულაძის შრომების კრებულში, II, 1976, გვ. 228.
- 6 Брокгауз Ф. А., Ефрон И. А., Энциклопедический словарь, том XIII. СПб., 1894, გვ. 686.
- 7 Migne, Patrologia Graeca, 78, Τον μακαριον αββα Ζωσιμα, Διαλογισμοι, გვ. 1676-1702.
- 8 კ. კველიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ეტიუდები I, თბ., 1956, გვ. 40; კ. კველიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 545; ელ. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982, გვ. 96.
- 9 კ. კველიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია... გვ. 124-125; 544-545; ელ. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური... გვ. 97.
- 10 კ. კველიძე, იქვე, გვ. 545.
- 11 გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967, გვ. 41.
